



K 49-149  
2



ანზორ  
ერემაშვილი  
ბაბუა



ବିଜ୍ଞାନ  
ଓ ପର୍ଯ୍ୟାନଙ୍କ ଗଜେତ



# ମହାକାଶ



ବିଜ୍ଞାନ ଓ ପର୍ଯ୍ୟାନ  
„ସାହିତ୍ୟର ପାଦମଣି“  
19 ୩୧ ୦୯୦୮୦ ୮୦

782 (C41) (09)  
35.244(2Γ) P

784 (47.922)(092 ერქომაიშვილი)  
0 825

საქართველო  
ციული მუნიციპალიტეტი

თბილი მოგზაურება

წიგნი გვაცნობს გამოჩენილი ქართველი მომღერ-  
ლების სამუელ ჩავლეიშვილის, ვარლამ სიმონიშვილის,  
გიგო და არტემ ერქომაიშვილების, გიორგი ბაბილო-  
ნის და სხვათა ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ავტო-  
რი გვაწვდის ავრეთვე საინტერესო ცნობებს პირველი  
ქართული გრამფიზტიტუდის პოვნისა და რესტავრი-  
რების შესახებ.

სპეც-2000  
გეგმვაზუღა

70303 — 174  
E — 277—80  
M 601 (08)—80

საქართველო  
რესპუბლიკური  
განაკვეთი

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980

1426

16.1.2

-35

## გამუბნება

„შავი შაშვი ჩიო-ოო-და...“ ამეცვიატა სასაფლაოსკენ  
 მიმავალს ძველი გურული სიმღერის მელოდია. ბევრჯერ  
 მომისმენია იგი, და არასოდეს ისე არ განმიცდია რო-  
 გორც ახლა. მე დღეს პირველად მივდივარ იქ, სადაც  
 ერთი თვის წინათ ამ სიმღერის ჭადოქარი შემსრულებე-  
 ლი, ჩემი ბაბუა დავტოვე.

აღრიანი გაზაფხული იდგა. სალამოვდებოდა. მზე  
 ნახევრად ჩაგორებულიყო შავ ზღვაში. ნელა ვათვალიე-  
 რებდი მიდამოს და ვუახლოვდებოდი ერქომაიშვილების  
 საძვალეს. აკვიატებული „შავი შაშვის“ მელოდია ნამ-  
 დვილი შაშვის გალობამ შემაწყვეტინა. შაშვის ძებნა  
 დიდხანს არ დამჭირვებია. ნაზამთრევ, ფოთლებისავან  
 გაძარცვულ ასწლოვანი უზარმაზარი ჭადრის ერთ ტოტ-  
 ზე, რომელიც ბაბუას საფლავს დაჰყურებს, შავი შაშვი  
 იჯდა და „ჩიოდა“...

საოცარია. საფლავთან შორიახლო შევჩერდი, რომ  
 შაშვი არ დამეფრთხო. ასე ვიდექი რამდენიმე ხანს. შა-  
 შვი თვალდახუჭული უსტვენდა თავის საოცარ მელო-  
 დიებს და ჩემს სიახლოვეს არაფრად ავდებდა. ფრთხი-  
 ლად მივუახლოვდი საფლავს და ჩამოვჯექი. შაშვმა გა-  
 ლობა შეწყვიტა. ალბათ დაიღალა და გაფრინდება-მეთ-  
 ქი, გავიფიქრე გულდაწყვეტილმა, მაგრამ მან ადგილი  
 მოინაცვლა ტოტის წვერისაკენ, რომელმაც შაშვის სიმ-  
 ძიმეს ვერ გაუძლო და თითქმის მიწამდე დახარა მგალო-

ბელი. შაშვი გალობდა, ტოტი ნელ-ნელა თანაბრად ირ-სეოდა მიწისკენ და მომეჩენა, რომ ფრინველი ხმამალ-ლა ჩაჰალობდა იმ კაცს, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეძლო გაეგო მისი გალობის ფასი.

თვალები დავხუჭე და მოგონებებში ჩავიძირე...

გამახსენდა ჩემი პირველი საკონცერტო ნათლობა, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ვეღარ გავუძელი, ტონა-ლობას ავცდი, გავჩერდი და „სემესალა ბაბუ“-მეთქი — გუთხარი სკამზე შემდგარმა, ოთხიოდე წლის ბავშვმა ბაბუას, რითაც მაყურებლის გულიანი ხარხარი და ოვა-ცია გამოვიწვიე.

— შენ კი არა, ჩვენ შეგვეშალა, — დამამშვიდა ბა-ბუამ, — აბა, ერთხელ კიდევ დავიწყოთ და აღარ შეგვე-შლება, — მითხრა მან ტკბილად და თავიდან დამაწყები-ნა სიმღერა, რომელიც მართლაც აღარ შეგვშლია.

აქედან მახსოვს ბაბუაჩემი, აქედან მოყვება იგი დღემდე როგორც წინაპარი, აღმზრდელი, მეგობარი, მას-წავლებელი და მართალი კაცური კაცი. ასეთივე გამყვე-ბა იგი ბოლომდე და მინდა ხმამალლა ვთქვა, თუ რამ კარ-გი არსებობს ჩემში — ბაბუას წყალობითაა.

მომღერლებს საქართველოში რა გამოლევს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი შემსრულებლები, როგორე-ბიც ძმები არტემ, ანანია და ვლადიმერ ერქომაიშვილები იყვნენ, იშვიათია.

ვლადიმერ (ლადიკო) და ანანია (ნანიო) ახლაც მღე-რიან. მაგრამ მესამე, რომელიც არტემს შეცვლის, არ მოიძებნება. სიმღერა ძველებურად შეწყობილი, აღარ გამოდის. მხოლოდ სიმღერის სწორად შესრულება როდი განსაზღვრავს მის სილამაზესა და ხარისხს. დაირღვა არ-

ტემისეული ტემბრი, ტემბრი სამი ძმისა, რომელიც ასე  
აჯადოებდა მსმენელს.

როცა საშუალო სკოლას ვამთავრებდი, ბჭობა გაიმარ-  
თა, სად გამეგრძელებინა სწავლა. ბაბუა რატომლაც და-  
უინებით იმეორებდა, აუცილებლად მუსიკალური განა-  
თლება უნდა მიიღოსო. მე კი უნივერსიტეტი უფრო მა-  
ზიდავდა. საშუალო სკოლა დავამთავრე ვერცხლის მეზ-  
ლით, რაც მაშინ გარკვეულ პრივილეგიას მაძლევდა  
უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად.

ერთ საღამოს ბაბუამ ცალკე და საუბარი გა-  
მიბა იმაზე, რომ ერქომაიშვილების გვარის ჩვენი შტო  
უკვე ორ ასეულ წელს ითვლის, მის ბაბუას, ივანეს  
დედ-მამა არ ახსოვდა, ხოლო არტემის მამას გიგოს, ივა-  
ნეს შესახებ უფროსების გადმოცემით გაუგია რომ თურ-  
მე ქორწილი იყო გურიაში, სოფელ ასკანაში, ასათიანის  
ქალს ათხოვებდნენ აკეთში, სოფრომ მგელაძეზე.

მაშინდელი წესისამებრ ასათიანმა მოიწვია საუკეთე-  
სო მომლერლები, მაგრამ აკეთელების მაყარმა აჯობა  
ასკანელებს. შეწუხდა მასპინძელი, უცებ ვიღაცამ გაახ-  
სენა: „ბატონო, დღეს რომ აქ თქვენი ყმის, ცხონებული  
გიორგი ერქომაიშვილის პატარა ბიჭი ივანე გყოლოდა,  
სიმლერაში აკეთელები ვერ გვაჭობებდნენო“.

ასათიანმა ბრძანა სასწრაფოდ მოეძებნათ ივანე. ბრძა-  
ნება წამში შეასრულეს. ივანემ თავისი შესანიშნავი ქრი-  
მანქულით მოხიბლა დამსწრე საზოგადოება და გამარ-  
ჯვებაც ასკანელებს დარჩათ.

ასათიანის სიძე, სოფრომ მგელაძე პირდაპირ იერიშე  
გადასულა და სიმამრისთვის უთხოვია, რასაც გინდა მოგ-  
ცემ, ოღონდ შენი პატარა ყმა ივანე დამითმეო. შენი ფეშ-  
ქაში იყოს, თუ ასე მოგეწონაო—უპასუხნია თურმე სი-  
მამრს.

ასე მოწყვიტეს დედას პატარა ივანე და მზრულ  
დედოფალს გაატანეს. ივანე აკეთში დასახლდა, ძაური  
ქალი ითხოვა და ეყოლა სამი ვაჟიშვილი: ბეგლარი, მრ-  
ხეილი და გიგო. ბეგლარი და მიხეილი მაღვე სახადეთ  
გარდაიცვალნენ, ჩქარა მათ ივანე და მისი მეუღლი  
მიჰყვნენ და დარჩა გიგო უპატრონოდ. სოფრომ მგელა-  
ძის თხოვნით მის დას ჯაჭიკს, რომელიც გათხოვილი ყო-  
ფილა სოფ. მაკვანეთში, ოღუზრდია გიგო. გიგოს მამის  
ნიჭი დაჲყვა. მას ბადალი არ ჰყოლია სიმღერის შესრუ-  
ლებაში.

ერთ სალამოს ჯაჭიკის ქმარი, ნაოსა იორამიშვილი სა-  
მუშაოდან სახლში რომ დაბრუნდა ბიჭი (გიგო) მოიკი-  
თხა. მოახსენეს, კოწია ცეცხლაძემ გვთხოვა და ყანაში  
წაიყვანა ღამის სათევადო. ნაოსამ შუბლზე ხელი იტკიცა  
„ნამდევილად გაჲყიდის მაგ არაკაცი ბიჭს“, — თქვა და  
სასწრაფოდ რამდენიმე შეიარაღებული ყმა შეკრიბა და  
კოწიას ყანისკენ გაეშურა. კოწიას მართლა შეპირებული  
ჰყოლია რამდენიმე აჭარელი, რომლებსაც გიგო თურქეთ-  
ში უნდა გაეყიდათ, ნაოსამ იმ დროს მიუსწრო, როდე-  
საც კოწია უკვე ფულზე ურიგდებოდა აჭარლებს. ბიჭი  
დაიხსნა.

დავაეკაცდა გიგო, ცოლად შეირთო ცნობილი მომ-  
ლერლის გიორგი ბაბილონის და ეგვიტი. იშენა პატარა  
ფიცრული და გააცოცხლა ერქომაიშვილების მიმქრალი  
კერა. გიგო დაუმეგობრდა მაშინდელ ახალგაზრდა მომ-  
ლერლებს: გიორგი იობიშვილს, ნანიკო ბურძგლას, ივ-  
ლიანე კეჭაყმაძეს, გიორგი ბაბილონეს, ერმილე მოლა-  
რიშვილს და სხვებს, რომელთაგან ჩამოაყალიბა მომლე-  
რალთა ჯუფი, რომლის გარეშეც მაკვანეთხა და მის  
ახლო სოფლებში ქორწილი, დლეობა და ნადი არ ჩატარ-

დებოდა. გიგოს ათი შვილი შეეძინა. ბავშვებმა პატარა-  
ობიდანვე შეისისბლხორცეს გურული სიმღერები, ვიზაი-  
დან მათ ოჯახში თავს იყრიდა ყველა მაშინდელი გამო-  
ჩენილი გურული მომღერალი.

— ამრიგად, შენ, — მითხრა ბაბუამ, მუსიკალური  
ტრადიციების მატარებელი მე-6 თაობა ხარ ჩვენს ოჯახ-  
ში. ჩვენ პროფესიული მუსიკალური განათლება ვერ  
მივიღეთ, ვინაიდან მაშინ სხვა დრო იყო და ამის საშუა-  
ლება არ გავვაჩნდა. ახლა, ბაბუ, მომღერლების ძველი  
თაობა წავიდა. ჩვენც თანდათან მივდივართ და ამ სიმღე-  
რებს შენახვა უნდა, პატრონი უნდა, ახალგაზრდობას ეს  
ნაკლებად აინტერესებს, აგრე ჩვენი სასიქადულო მომ-  
ღერლები და გურული საგალობლების იშვიათი და უკა-  
ნასკნელნი მცოდნენი ვარლამ სიმონიშვილი და დიმიტ-  
რი პატარავაც წავიდნენ ჩვენგან და ამჟამად მხოლოდ  
მე გამაჩნია ის სიმდიდრე, რომელიც არც ფულზე იყი-  
დება და არც ოქროზე აიწონება. ამ სიმდიდრის ფასს შენ  
ჯერ ვერ გაიგებ. ეს არის სიმდიდრე, რომლის ბადალი  
მსოფლიოში არ მოიპოვება. მე რომ რაიმე შემემთხვევას,  
ისეთი განძი წამყვება თან, რომლის დაკარგვას ერი არ  
გვაპატიებს, რომელსაც ვერავინ ვეღარ აღიდგენს და  
ამ ცოდვის სიმძიმე მე და შენ დაგვაწვება კისერზე.  
იცოდე, ეგ შენი და ჩემი საქმე როდია, ეგ საერთო საქ-  
მეა, შენ სისხლში გაქვს გურული ხალხური სიმღერა  
გამჯდარი და ამიტომ ყველაზე მეტად შენ შეგიძლია ამ  
საქმის გაკეთება თუ მუსიკალურ განათლებას მიიღებ.  
მახსოვს, ლენინგრადში ცნობილმა მუსიკოსებმა ჩვენი  
სიმღერები რომ ვერაფრით გაშიფრეს, აზრი გამოთქვეს  
ნოტები ესწავლებინათ ჩვენთვის, თავად უკეთესად  
შესძლებენ სიმღერის ჩაწერასო. ეს არ მოხერხდა მა-

შინ. ეს შენ უნდა გააკეთო. საჭიროა პროფესიული მუ-  
სიკალური განათლების მიღება.

ასე გადაწყვდა ჩემი მუსიკალურ სასწავლებელში გა-  
გზავნა. უკვე კონსერვატორიის სტუდენტს, როცა არდა-  
ლაგებზე სოფელში ჩავედი, ბაბუამ მკითხა, შეგიძლია  
თუ არა ნოტებზე გადაიტანო ერთი გურული საგალობე-  
ლიო. მგონი, შევძლებ-მეთქი, ვუპასუხე. მთელი დღე  
ვიმუშავეთ, რომ პატარა საგალობელი სანოტო ფურ-  
ცელზე გადაგვეტანა. ეს იყო „ქრისტეშობის საგალობე-  
ლი“, ამ საგალობლის არაჩვეულებრივმა პოლიფონიურ-  
მა და პარმონიულმა სიმდიდრემ აღმაფრთვანა, მსგავ-  
სი რამ ჩემს სიცოცხლეში არ გამეგონა.

აი, თურმე არა სიმდიდრეზე მელაპარაკებოდა ბაბუა. მართალი გითხრათ, საგალობლების არსებობის შესახებ  
ადრეც ვიცოდი, მაგრამ ახლა მისი შემსრულებლები  
თითქმის აღარავინ დარჩა. მეხსიერებას მხოლოდ გიგო  
ერქომაიშვილის დასაფლავების დღეს შესრულებული  
სამგლოვიარო საგალობლები შემორჩა, რომლებიც ვარ-  
ლამ სიმონიშვილმა, დიმიტრი პატარავამ და არტემმა  
შეასრულეს, მაგრამ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და  
რაიმე აზრის გამოთქმა არ შემეძლო.

რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოდან ეკლესიის გა-  
მოყოფის პერიოდში შეწყდა გალობის შესრულება. მგა-  
ლობლები არც ამხელდნენ, რომ ადრე ეკლესიაში მღე-  
როდნენ, გალობის შესწავლაზე ხომ ზედმეტი იყო ლა-  
ბარაკი. ძველი მომღერლებიდან მხოლოდ არტემი იყო  
ცოცხალი, რომელმაც დასავლეთ საქართველოს (დასავ-  
ლეთ საქართველოში გურული კილო იყო გავრცელებუ-  
ლი) ყველა საგალობლის ყველა ხმა იცოდა. აი, რატომ

სწუხდა არტემი, როდესაც საგალობლების დაკარგვის სა-  
შიშროება შეიქმნა.

ასე დაიწყო ჩვენი მუშაობა დაკარგული სიმღერებისა  
და საგალობლების აღსაღენად. უკვე პირველ ზაფხულს  
ბაბუას იშვიათი მეხსიერების წყალობით 60-მდე სიმღე-  
რა და საგალობელი ჩავიწერე. ამ ამბით თავად ისე იყო  
გახარებული, რომ მომღერლებთან დაიტრაბახა: ისეთი  
საქმე გავაკეთეთ, რომლის ბადალი ჩემს სიცოცხლეში არ  
გამიკეთებია.

როცა თბილისში მაცილებდა, ბაბუამ მთხოვა, იქნებ  
შეეცადო ეგ სიმღერები და საგალობლები კონსერვატო-  
რიაში ბიჭებს შეასწავლოო.

ასე ჩაეყარა საფუძველი შემდეგში უკვე ცნობილ  
კონსერვატორიის ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“.

\*

ჯერ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის  
დროს ბაბუამ მე და ბადრი თოიძე ცნობილ ლოტბარ ვა-  
სილ მახარაძეს ჩაგვაბარა და სთხოვა, საქართველოს სხვა-  
დასხვა კუთხის სიმღერები შეასწავლეო. ჩვენ დავდიო-  
დით ვასილ მახარაძის თვითმოქმედ გუნდში, სადაც თავს  
იყრიდნენ თბილისში სახელგანთქმული მომღერლები,  
როგორიც იყვნენ: დავით მდინარაძე, ლევან მახარაძე,  
თეოფილე ლომთათიძე, ილიკო ჯაყელი და სხვები. მე  
მათი სახელები ბაბუასაგან აღრეც გამეგონა და ახლა  
ყურდაცვეტილი ვუსმენდი მათ მიერ შესანიშნავად  
შესრულებულ სიმღერებს.

მახსოვს, ასეთი შემთხვევა, — ვასილ მახარაძემ რე-  
პეტიციაზე პირველად რომ მომიყვანა, შესვენების დროს

ერთ მოხუცთან წარმადგინა და უთხრა: ბატონო თეო-  
ფილე, ეს ახალგაზრდა არტემ ერქომაიშვილის პატიში  
(შვილიშვილი) გახლავთო. თეოფილე დაეყრდნო თავის  
ჯოხს, გამომცდელად ამათვალიერა და მკაფიო: „არტემის  
ხარ, ბიჭო, შენ?“ პასუხის გაცემაც კი ვერ მოვასწარი,  
რომ თეოფილემ გიდღლის დასაკიდი თოჯის მარყუჟივით  
გამონასკვა კრიმანჭული. ვასო მახარაძემ პირველი ხმა  
დააწია, მე მივხვდი, თეოფილემ „ალიფაშა“ წამოიწყო  
და ბანი შევაშველე. თეოფილე ლომთათიძე მაშინ 80  
წელს იყო გადაშორებული, მაგრამ ხმაში ბზარიც კი არ  
ემჩნეოდა. კრიმანჭულის ისეთი კორიანტელი დაყენა,  
რომ გულში ვითიქრე, ლმერთო, ტონალობიდან არ გა-  
დამაგდოს-მეოქი. გავუძელი, როცა სიმღერა დავამთავ-  
რეთ, თეოფილემ გადამკოცნა და მითხრა: კი ყოფილხარ  
არტემის ბადიშიო.

ეს ამბავი ბაბუას რომ მოვუყევი, გაიღიმა და მითხ-  
რა, „ასე იყო უწინ ბაბუ, ცნობილი მომღერლები გამოს-  
ცდიდნენ ახალბედას ან უცნობ მომღერალს მალულად!  
ისინი ისე ჩაახვევდნენ თავიანთ ხმებს, ისე ართულებდ-  
ნენ სიმღერას, რომ თუ მომღერალს კარგი სმენა და  
გამოცდილება არ ჰქონდა, უეპველად ასცდებოდა სხვა  
ხმებს. ეს უკვე „დამარცხებას“ ნიშნავდა. ვინც ამ გამოც-  
დას კარგად ჩააბარებდა, ცხადია, მისი ავტორიტეტი მომ-  
ღერლების თვალში მაღლდებოდა.

სიმღერის მცდნე კაცს გურიაში დიდი დაფასება  
ჰქონდა, როდესაც ქალს ათხოვებდნენ, ყოველთვის იკი-  
თხავდნენ, სიძემ სიმღერა თუ იცისო, და თუ იცოდა, მისი  
ავტორიტეტი ერთიორად იზრდებოდა ქალის ნათესავების  
თვალში. გურული მომღერლები ცდილობდნენ, ცოლი

მომღერალთა ოჯახიდან შეერთოთ, რათა მემკვიდრეს მუ-  
სიყალური ნიჭი დაჰყოლოდა.

კარგი მგალობელ-მომღერალი (მგალობელ-მომღე-  
რალს უწოდებდნენ იმას ვინც სავალობლებიც იცოდა და  
სიმღერებიც) დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხ-  
ში. იგი ყველას უყვარდა, ყველასათვის საპატივცემულო  
პიროვნებად ითვლებოდა და, საერთოდ, საზოგადო მო-  
ლვაწედ სთვლიდნენ.

საუკუნეების მანძილზე გურიაში ჩამოყალიბდა ეგ-  
რეთწოდებული „სუფრის წესი“, რომელსაც ხალხი ყო-  
ველთვის ემორჩილებოდა.

ქორწილში მასპინძელი საგანგებოდ პატივებდა სა-  
ხელგანთქმულ მომღერლებს თავის მოსაწონებლად. მაქ-  
რულით მოახლოებულ მაყრებს დამხედურები თოფის  
სროლით ეგებებოდნენ და პირველი ოფიციალური ცე-  
რემონიის შემდეგ მასპინძელი სუფრასთან შიიპატივებდა  
სტუმრებს. გაისმოდა პირველი საგალობელი „დღეს სა-  
ლვთო მადლმან შეგვერიბა ჩვენ“. ამას მოჰყვებოდა --  
„მოველი და ვსვათ სასმელი ახალი“.

შემდეგ მასპინძელი საზოგადოებას წარუდგენდა  
სტუმრებს და დალოცავდა თამადებს, რომლებიც გამო-  
ირჩეოდნენ ენამჭევრობით, სიმღერის ცოდნითა და ლვი-  
ნის კარგი სმით.

თამადების საღლეგრძელოს მოჰყვებოდა სუფრული  
სიმღერა „თამადებს გაუმარჯოს“, ხოლო საპასუხოდ  
თამადა მომღერლებთან ერთად შეასრულებდა სიმღერას  
„მადლობელი ვარ“.

თამადა პირველ სასმისს მშვიდობისას ასწევდა, რა-  
საც მოჰყვებოდა სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“.

მეორე სასმისი ამ ბედნიერი შემთხვევის მიზეზს,

ნეფე-დედოფალს ეკუთვნოდა, რომელსაც „შენ ხარ ვე-ნახს“ უგალობდნენ და მრავალუამიერს უმღერებდნენ. მომდევნო სასმისით ნეფე-დედოფლის მშობლებს ადღე-გრძელებდნენ და სიმღერას „მასპინძელსა მჩიარულსა“ შემოსძახებდნენ, ხოლო გარდაცვლილი მშობლების მო-გონებას საგალობელ „უამთა და წელთა“-ს მიუგებდნენ.

შემდეგი სასმისი აუცილებლად ხელის მომკიდეებს, მეჭვარეებს ეკუთვნოდათ, მეჭვარეებს დიდი დაფასება ჰქონდათ, რადგან მურდო-ნათლულობა მყარ მოყვრობად მიაჩინდათ, რომელიც შთამომავლობას ცხრა თაობის მან-ძილზე გაჰყვებოდა. ამ სადღეგრძელოს მოჰყვებოდა სა-გალობელი — „შენ რომელმან განანათლე“ და სიმღე-რა — „ჩემო ნათლიდედაო“.

მორიგი სასმისით წინაპრებს ადლეგრძელებდნენ, ურო-მლისოდაც საერთოდ არ არსებობს ქართული სუფრა. მათ პატივსაცემად შეასრულებდნენ საგალობელს „ქე-ბადი“ და სიმღერას „წუთისოფელი“ („რა კარგია, სა-წუთრო ასე გამატარებდეს“).

მომდევნო სასმისებით მაყარ მანდილოსნებსა და ვაჟკაცებს, მასპინძლებსა და ოჯახის ახლობლებს ადღე-გრძელებდნენ, რასაც შესაფერის სიმღერებს მიაგებებ-დნენ. ამ პერიოდში იწყებოდა კრიმანჭულიანი ორპირუ-ლი სიმღერები და ტრადიციული შეჯიბრი სტუმარ და მასპინძელ მომღერლებს შორის. ეს შეჯიბრი იმდენად აზარტული იყო, რომ ერთ ქორწილში შესანიშნავშა გურულმა მგალობელ-მომღერალმა სამუელ ჩავლეი-შვილმა სიმღერა „წამოკრული“ ორმოცდათვერაც კი გაიმეორა მიმდევრობით სხვადასხვა ჯგუფებთან ერთად და ყველა გამეორებისას ახალ-ახალი ვარიანტი შეა-რულა.

სიმღერის დროს სუფრაზე სიჩუმე სუფევდა. სუფრის წევრები ტკბებოდნენ სიმღერებით, ხოლო მომღერალი ჯგუფები ერთმანეთს ყურს უგდებდნენ, რომ უცნობი სიმღერა ან ვარიანტი „მოეპარათ“.

დილით ეზოში გამოიტანდნენ სუფრას და შემოსძახებდნენ სიმღერას „ჰა დილა“, რასაც საფერხულო სიმღერები და ცეკვები მოჰყვებოდა.

ჩემს ბიჭობაში ქალებს საზოგადოების თანდასწრებით არ ამღერებდნენ. მახსოვს, ერთხელ, სოფელ გოგიეთში ცეცხლაძის ოჯახში კრიმანვულის შემსრულებელი კაცი არ ჰყავდათ და ქალი ამღერეს. დილით ეზოში დიღი ჩხუბი ამტყდარა.

„ვიცოდი, ძამა, აქანე კაი ამბავი რომ არ მოხდებოდა, წუხელი დედალმა იყივლაო“ — იხუმრა ერთმა მაყარმა (დედლის ყივილი გურიაში ავისმომასწავებლად მიაჩნდათ).

— ეჰ, მაშინდელ ქორწილს სულ სხვა ეშნი ჰქონდა; ახლანდელ ქორწილებს კი არ ჰყავდა, — თქვა ბაბუამ, — ხომ გახსოვს, იმ დღეს ვაშალომიძის ქორწილში ერთი გურული სიმღერაც არ თქმულა, აბა გურულ ქორწილში კლარნეტის, აკორდეონის და დოლის დაკვრა რა საკადრისია. ხალხი გაიტაცა ახალმა მოდამ მუსიკაში, თავიანთი მამა დავიწყებით და მამინაცვალს ფიცულობენ. ახალგაზრდობას ძველი სიმღერები არ აინტერესებს, მოხუცები კი მივდივართ... თუმცა ეს ყველაფერი მალე შოსწყინდებათ, მაგრამ მერე გვიან იქნება თითზე კბენი.

აბა იმ ქორწილში ჩემი სადღეგრძელო რა მოსატანი იყო, ჩვენ ხომ ერთი სიმღერაც ვერ ვთქვით, თუმცა ძალიან ეცადნენ ილარიონ სიხარულიძე და ვარლამ ვაშა-

ლომიძე, მაგრამ კლარნეტის ჰყვიტინისაგან ყურთისმენა აღარ იყო. ისე, ჩემი სადლეგრძელო ფირთე სიტყვებით დალიეს.

გამახსენდა, სუფრის დასასრულს როგორი პათოსით შესვეს ბაბუას სადლეგრძელო. ნოდარ ლომჯარიამ და რეზო ბაბილონებმ მას „გურული სიმღერების პელე“ უწოდეს. ხალხი ფეხზე წამოდგა და ისე შესვა ბაბუას სადლეგრძელო. ბაბუამ მადლობა გადაიხადა და დასძინა — „ხომ წარმოგიდგენიათ პელე ბურთისა და მოედნის გარეშე, ისე ვარ მე ამ სუფრაზეო“.

— საერთოდ, მთავრობამ სპეციალური სკოლა უნდა გახსნას, სადაც ახალგაზრდებს მხოლოდ ძველ ხალხურ სიმღერებს შეასწავლიან, — გააგრძელა ბაბუამ საუბარი, — ამას წინათ ეს აზრი მოვახსენე ჩვენი რაიკომის მდივანს, ხოლო სკოლის გახსნამდე ვითხოვე, მომეცით საშუალება, ჩვენს ახალგაზრდობას ძველი სიმღერები შევასწავლო-მეთქი. შემპირდნენ, ვნახოთ, რა გამოვა!“

ერთხელ ბაბუა დასაფლავებიდან ძალიან დაღონებული დაბრუნდა.

— რა ვართ ადამიანები, როგორი მახსოვს დიმიტრი ჭა როგორი გამხდარა ახლა. ადრე საუკეთესო გარეგნობის ვაჟკაცი იყო, კარგ მომღერალად და მომღერნად ითვლებოდა, ახლა ვეღარც კი ვიცანი. ძნელი წარმოსადგენია, რომ კუბოში ჩადებული ეს პატარა კაცი ერთ დროს სახელგანთქმული ვაჟკაცი იყო. ნეტავი არ მენახა. და იცი რა, ბაბუ? ქართველებს სხვა კარგ ტრადიციებთან

ერთად „გლოვის წესიც“ კარგი აქვთ, მაგრამ ერთი რიზ  
შინც არ მომწონს. მიცვალებულს სახე დაფარული უნ-  
და ჰქონდეს. ჭირისუფალს და საზოგადოებასაც იგი იმ  
სახით უნდა ახსოვდეს, როგორითაც იცნობდნენ. შემა-  
ძრწუნებელია მიცვალებულის სახის შეხედვა, რომელიც  
თავისი ნამდვილი სახის აჩრდილსაც აღარ წარმოადგენს.

ბაბუმ უჯრაში რაღაც წერილებს დაუწყო ძებნა,  
შემდეგ ერთი მათგანი გადმომცა. წერილი ბაბუას მისა-  
მართით იყო გამოგზავნილი მამაჩემის დასაფლავების  
მეორე დღეს. მას სწერდა ჩვენი სოფლელი დიომიდე  
ანთელიძე, ერთ დროს ფრიად განათლებული კაცი, ამ-  
ჟამად ავადმყოფი. მე სწრაფად ჩავიკითხე იგი:

„ბატონო არტემ! ალბათ გავიკვირდებათ, რატომ არ  
დავიტირე სხვებთან ერთად დავითის ცხედარი. მე ჯან-  
მრთელად ვარ და შემეძლო თქვენი მოსამძიმრება, მაგ-  
რამ შევნებულად არ მოვედი.

დავითი მე მახსოვს ლამაზი გარეგნობის, ზრდილი,  
თავმდაბალი, ძალიან ნიჭიერი, შესანიშნავი მომღერა-  
ლი, მოსიყვარულე, გულისხმიერი, მხიარული და სიცო-  
ცხლით სავსე ახალგაზრდა. იგი შვენოდა ჩვენს სოფელს,  
იგი შვენოდა ჩვენს რაიონს, იგი შვენოდა საერთოდ  
აღამიანთა მოდგმას.

მე არ შემეძლო მენახა მისი დასახიჩრებული და გა-  
ციებული სხეული, ეს ორმაგი მწუხარება იქნებოდა  
ჩემთვის. მე მინდა იგი ისეთივე მედგას თვალწინ, რო-  
გორიც სიცოცხლეში მინახავს. ასეთივე მინდა მისი სახე  
წამყვეს სიცოცხლის ბოლომდე. იგი ჩემს მოგონებებს  
ვაძლამაზებს.

ვწუხვარ, ვერაფრით განუგეშებთ,  
პატივისცემით დ. ანთელიძე“.

ჩემს თვალშინ უცბად გაირბინა მამაჩემის ტრაგიკულად დალუპვის ამბავმა. იგი დილით აღრე გავიდა სამსახურში და საღამოთი გუნდის რეპეტიციაზე არ მოვიდა.

მაშინ პირველად ვნახე ბაბუა ატირებული. მწუხარება განუზომელი იყო. მთელი სოფელი, მთელი რაიონი თანაუგრძნობდა ჩვენს ოჯახს.

მამაჩემის დასაფლავების დღეს მახარაძეში ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა საღამო იყო დანიშნული. ბაბუას თავისი გუნდი უნდა გამოეყვანა. მამაჩემს და დედაჩემს ამ გუნდში სოლო სიმღერები უნდა შეესრულებინათ.

ბაბუას პატივსაცემად გამარჯვებულების საღამო ერთი დღით გადადეს, ხოლო როცა მამა დავასაფლავეთ, მეორე დღეს დილით ჩვენთან მოვიდა რაიონის ხელმძღვანელობა და ბაბუას სთხოვა დაესახელებინა ვინ შესძლებდა პროგრამის შეცვლასა და გუნდის გამოყვანას. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე და ყველასაგან მოულოდნელად ბაბუამ სთქვა, შემცვლელი არ მეგულება და ამ საღამოს თვითონ გავუძლვები გუნდსო.

საღამოს ბაბუას გუნდმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მაყურებელმა ოვაცია გაუმართა არტემ ერქომაიშვილს და თვალცრემლიანს სცენიდან გასვლის საშუალება არ მისცა. დარბაზში ტაშთან ერთად ხალხის ქიოთინიც გაისმოდა.

როგორ უჭირდა და იმღერა, იმღერა მაშინ, როცა ჩვენს სოფელში მამაჩემის გლოვის აღსანიშნავად არათუ სიმღერა არ თქმულა, არამედ 40 დღე რაღიოც არავის ჩაურთავს.

— მიცვალებულს პატივისცემა უნდა, — ფიქრებიდან გამომიყვანა ბაბუამ, — გარდაცვლილის ოჯახში თავს იყრიდნენ ახლობლები და ნათესავები, რათა მიცვალებუ-

ლის გასაპატიოსნებლად თავიდანვე დაეჭირათ თაცარო-  
გი. სხვადასხვა სოფლებიდან მოიწვევდნენ ნათესავებსა  
და ახლობლებს, რომლებიც მეზობლებისა და მოზარუე-  
ბის თანხლებით მიღიოდნენ მიცვალებულის „დასატი-  
რებლად. მიცვალებულის „წესის აგების“ შემდეგ ცხე-  
რართან მდგომი მღვდელი ან დიაკვანი წარმოსთქვამდა  
ანდერძს თითქოს გარდაცვლილის მაგიერ:

„სტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მეგობარნო,  
მოყვასნო და მეცნიერნო, რამეთუ  
გუშინ თქვენთანა შზრახველ ვიყავ მე,  
და დღეს მოიწია ჩემზე უამი სიკუდილისა,  
და წავილ იქ სადაც არ არის თვალლება,  
მწუხარება და სულთქმა, სადაც მონა და  
უფალი ერთად წარსდგებიან“.

მოსულ მომტირლებს მოზარეები თუ არ მოჰყებო-  
დათ, მაშინ მათ ჭიშკართან ადგილობრივი მოზარეები  
რახვდებოდნენ და ზარით მიაცილებდნენ იმ ადგილამდე,  
სადაც მიცვალებული ესვენა.

ხშირად ეზოში გროვდებოდა მოზარეთა ჯგუფი, რო-  
მელიც რიგრიგობით მიაცილებდა მომტირლებს მიცვა-  
ლებულამდე. მიცვალებულს თავზე ადგნენ ჭირისუფლის  
მიერ მოყვანილი მოზარე-მგალობლები. ნათესავების  
მიერ მოყვანილ მოზარეებს ზარის თქმის უფლება არ  
ჰქონდათ იქ, სადაც მიცვალებული ესვენა. იმ დროს,  
როცა მომტირლების მხლებელი მოზარეები გალობდნენ,  
ჭირისუფლის მოზარეები ჩერდებოდნენ. ყველა ასაკის  
მიცვალებულისათვის იგალობებოდა „ზარი“ და „სულთა-  
თანა“. აგრეთვე საგალობელი „ვგოდებ და ვიგლოვ“ ასე-  
თი ტექსტით: „ვგოდებ და ვიგლოვ მე, რეამს გულის  
2. ა. ერქომაიშვილი

ხმა ვყოთ სიკვდილი და ვიხილოთ საფლავსა შენა მდებარე მშვენიერება ხატად ღვთისად დაბადებული, შეურაცხყად უპატიოდ და უსახურად. ეჰე! საგვირველი რა არს ესე ჩვენი ქვეყანისა ნაშობნო საოდუმლო, ვითარ მივეცემით ხრწნილებასა, ვითარ შევეყვენით სიკვდილსა ჭეშმარიტად განჩინებისათა ღვთისათა, ვითარცა წერილ არს, რომელი მიანიჭებს მიცვალებულს განსვენებასა».

თუ ახალგაზრდის დაკრძალვა იყო, მაშინ შეასრულებდნენ საგალობელს „სიჭაბუკის ყვავილი დააჭკნო სიკვდილმან“, ასეთი ტექსტით: „სიჭაბუკის ყვავილი და სიკეთე და მშვენიერება და ახოვნება გვამისა უამსა სიკვდილისასა დასჭენების და დაიხსნების საწყალობელი და თვალთა ნათელი დაშტების და ენა და ხორხი მძვინვარე დასტუმდების და ფეროვნება პირთა უშვერ და ბნელ იქნების, და ქედისა სიმტკიცე შეიმუსვრის, გულის ხმა ვყოთ ესრეთ ძმანო გონიერად და აწვე განვემზადნეთ, რათა მას უამსა საზარელსა არ შევძრწუნდეთ და ხმა ვყოთ ალილუია...“

ამგვარი წესით მივაცილებდით მიცვალებულებს და რა დასანანია, რომ აღარ დარჩნენ ამ საგალობლის მცოდნენი, რომლებიც თუნდაც თვითონ მოზარე-მგალობლებს სცემენ უკანასკნელ პატივს, — დაამთავრა ბაბუამ.

ძალლმა ვიღაცას შეუყეფა. გარეთ გავიხედე. ლადიკო და ნანიო მოვიდნენ-მეთქი, ვახარე ბაბუას. ბაბუას უბბად შეეცვალა ხასიათი, სახე გაებაღრა და მივხვდი, რომ ამ წუთში ამაზე მეტად არაფერი გაახარებდა.

— რავა ხარ, ბიჭო, — პატარა ბიჭებივით გადაეხვივნენ და მოეფერნენ ერთმანეთს 70 წელს გადაცილებული

მოხუცები. მე გამეცინა. ბაბუამ ლიმილი შემამჩნია და  
მომიგო „ორასი წლისანი რომ გავხდეთ ბაბუა, ჩვენ ერ-  
თმანეთისათვის მაინც „ბიჭები ვიქნებითო“. კარისული  
პილიტონი



ძმები ერქომაიშვილები  
მარცხნიდან: ანანია, არტემი და ვლადიმერი.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, ძმებმა ეზო მოიარეს,  
მოესიყვარულნენ თითოეულ სეს. მოინახულეს საწნა-

ხელი, ბალჩაში მწვანილი თავიანთი ხელით დაკრიფტეს, ხილი გასინჯეს. აქაურს ყველაფერს განსაკუთრებული აქმო აქვსო, — თქვა ლადიკომ.

— ღვინოს რომელს დალევთ ბიჭებო, რომელი ჭური პოვხადო?

— იყითხა ბაბუამ და ძმები მარანში წაიყვანა.

— რომელიც გაგიხარდებაო, — უპასუხა ნანიომ და გიგოს მიერ ჩაყრილი ჭურების დათვალიერებას შეუდგა.

— ეს ასფუთიანი ჭური აკეთიდან გიგოს ჩამოტანილი არ არის? — იყითხა ლადიკომ გატეხილ ჭურჭე, რომელიც წყავის ძირში იყო მიყუდებული და თავის ალმდგენელს ელოდებოდა.

— ეს ამ ვაჟაცის ნახელავია, თოხით მიუთითა ბაბუამ ჩემზე, — და განაგრძო ჭურიდან მიწის აყრა.

ბაბუამ ჭურს თავი მოხადა, ალისფერი ადესა ნაპერ-წკლებს ისროდა და მაცდური სურნელებით გვიზიდავდა ყველას.

ლადიკომ გიგოსდროინდელ ტუჩმოტეხილ ნახევარ-ფუთიან დიდ დოქში, გურიაში „ჭარიკას“ რომ ეძახიან, ღვინო ჩაასხა და სამზადში შეიტანა. ეთერ, — დაუძახა დედაჩემს, — ძველი ხის სუფრა და სამფეხა სკამები მოიტანე, აქ დავგდებით! დედაჩემმა იუარა, — ოდაში მობრძანდითო, მაგრამ ძმებმა დაარწმუნეს, აქ გვირჩევნიათ და სამზადში გაიშალა სუფრა.

თამადად ლადიკომ დააყენეს. „დღეს საღვთო მადლ-მან შეგვერიბა ჩეენ“, გაისმა პირველი საგალობელი და მივხვდი, რომ დღევანდელი სუფრა ძველებური „სუფ-რის წესის“ მიხედვით წარიმართებოდა. დიდებული სა-გალობელი იყო და ვინატრე, უცხო ვინმე არ შემოგვ-

სწრებოდა, და თავისი მაღალფარდოვანი სადღეგრძელო-  
ებით ეს შესანიშნავი წესი არ დაერღვია.

ლადიკომ ჭიქა აიღო. „ამ ოჯახს გაუმარჯოს, წგაგული-  
ოჯახს, აქ თითოეული ძირი ხის დარგვა მახსოვები, რასაც კა-  
ოდის თითოეული ფიცრის გამოთლა მახსოვს, ამ ოჯახ-  
ში ბევრი სტუმარი მახსოვს. ამ ოჯახში შესანიშნავი მობ-  
ლერლები მახსოვს, გიორგი მახსოვს ბაბილონე, ჩემთ  
ბაბუა, სიმღერით რომ შემოვიდოდა ჭიშქარში. თითქოს  
გუშინ იყო, ჩეენ რომ შენოდენები ვიყავით, როგორც  
უნ გვისმენ ახლა, ჩეენც ისე ვუსმენდით ამ სუფრაზე  
მსხდომთ: სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილებს, ბესო-  
ნია ინწყირველს, გიორგი ბაბილონეს, ალექსანდრე მახა-  
რაძესა და ივლიახე კეჭაყმაძეს, ნესტორ კონტრიძესა და  
ჟელქისედეგ ნაკაშიძეს, გიორგი იობიშვილს, ნანიკო ბურ-  
გლას და გიგო ერქომაიშვილს, ესენი ხშირად ისხდნენ ამ  
ოჯახში ერთად და მლეროდნენ. და იცი ეს რა იყო? მსგავსი  
შესრულება და სიმღერები მე ჯერ არ მომისმეხია და  
ვერც მოვისმენ, სამწუხაოოდ. იცი ესენი ვინ იყვნენ? —  
გურული სიმღერის დიდოსტატები. აი, ამათ განვითარეს  
გურული სიმღერები და აიყვანეს განვითარების მწვერ-  
ვალზე. დიახ, ამათ დაუდეს ზღვარი გურული სიმღერე-  
ბის განვითარებას, და ბედის ირონია არ გინდა? მაშინ  
ტექნიკა არ იყო ისე განვითარებული, რომ მათი სიმღე-  
რები ჩაეწერათ. ახლა ხომ ხედავ, ბაბუა, აგერ მაგნი-  
ტოფონი გაქვს, მაგრამ გურული სიმღერების ისეთი  
შემსრულებლები აღარ არიან.

აი, ასეთი სტუმრები ახსოვს ამ ოჯახს. ღმერთმა ფუ-  
ქე ნუ მოუშალოს და კაი სტუმრები ნუ გამოულიოს”, —  
თქვა ლადიკომ და დალია.

— „ამ ოჯახში ათი და-ქმა გავიზარდეთ, — დაიწყო

ნანიომ, — ახლა ხუთნი დავრჩით, საღილზე ორმ დავ-  
სხდებოდით, წვეულება გეგონებოდათ. დედაქემი და ბა-  
მაქემი მდიდრები არ ყოფილან, მაგრამ პატიოსნების მშორ-  
მელი ხალხი იყვნენ და ჩვენც პატიოსნების გვინერგავ-  
დნენ. მახსოვს, ერთხელ წილდი ვიპოვე და სახლში მო-  
ვიტანე, გიგომ მკითხა, საიდან მოიტანეო, — მე ვუთხა-  
რი, ტყეში ვიპოვე-მეთქი. წაილე და სადაც იპოვე იქ  
დადე, დადე კი არა, დაყიდე, პატრონმა ადვილად რომ  
მიაგწოსო, — მითხრა. მე უხმოდ შევასრულე მამის  
ბრძანება. აი, ასეთი იყო გიგო. იგი პატიოსნებისა და  
სიმღერას გვასწავლიდა, ასეცავე გაიზარდა ამ ოჯახში  
ყველა და ასეთივე უნდა იყო შენც.

გიგო მთელ სოფელში ჭკუასაკითხავ კაცად ითვლე-  
ბოდა. წერა-კითხვა იცოდა და ეს მამინდელ დროში  
ბევრს ნიშნავდა. მახსოვს, ამ ოდას რომ ვაშენებდით,  
გამამ ნადი მოიწვია ტყიდან მასალის გამოსაზიდად. ჩვე-  
ნი ნადი ყოველთვის მომღერლებისაგან შესდგებოდა და  
ტყეში გაუთავებელი „ელესა“ ისმოდა. საღამოს, როცა  
ტყიდან დავბრუნდით, ეზოში უკვე დამუშავებული რამ-  
დენიმე დიდი წაბლის ხე იდო. „ეს ხეები დათაია იორა-  
შეილმა მოგაროვა, გიგო, ჩემგან ფეშქაში იყოსო“, —  
უთხრა ნენამ. სწორედ ეს ხეები უდევს ამ სახლს დღეს  
საძირკვლად. და ეს საძირკველი ღმერთმა ნუ მოუშა-  
ლოს. ამ ოჯახს გაუმარჯოს გიგო ერქომაიშვილის ნამ-  
რავლით, ღმერთმა მშვიდობა არ მოგიშალოთ“ — დაამ-  
თავრა ნანიომ და ლადიკომ „ჩვენ მშვიდობა“ წამოიწყო.  
ნანიომ პირველი უთხრა, არტემმა ბანი. პირდაპირ გასა-  
ოცარი იყო მათი ხმის დიაპაზონები. სამივე ძმას შესა-  
ნიშნავი ბანი ჰქონდათ, ამავე ღროს თავისუფლად შეეძ-  
ლოთ ყველა ხმის მღერა.

პირველი მუხლი რომ იმღერეს, ლალიკომ თვალით მანიშნა, ახლა შენ გვითხარი პირველიო და სიმღერა მრაბრუნა. მოაბრუნა და, ღმერთო მიშველე, ისე ჩიხხვეუეს ხმები და ისეთი ლაბირინთი შექმნეს, რომ თუ აქედან გამოვდვერი, მერე რაღა მიჭირს-მეთქი, ვიფიქრე. მესამედ რომ მოაბრუნეს სიმღერა, მივხედი, სუფრის წესის მიხეცვით მიღიოდნენ, რადგან სხვა მომღერლები არ ჰყავდათ, რომ გასჯიბრებოდნენ, მე დამიხმარეს, თან ხმებს უცვლიდნენ ერთმანეთს, იმპროვიზაციის კორიანტელი დააყენეს და ამით ცოტა გული მოიოხეს.

სიმღერის დროს იმდენი უცხო ვარიანტი მოვისმინე, დამთავრებისთანავე ბაბუას ვუსაყვედურე, მთლად ასე არ გისწავლებია ჩემთვის-მეთქი. მთლად ასე არც ჩვენთვის უსწავლებიათო, მიპასუხა, მაგრამ ჩვენ თვითონ ვავითარებთ ხმებს, კარგი გურული მომღერალი ორჯერ ერთნაირად არ გაიმეორებს სიმღერას. მას წინდაწინ ეს-მის სიმღერის დაბოლოება და თუ მიზანს ხედავ, იქ მისვლას რა უნდა, რომელი გზითაც გინდა იარო, რამდენიც არ უნდა აუხვიო და ჩაუხვიო, მაინც იქ მიხვალ, ასეა ჩვენი სიმღერაც. ხმები როგორც არ უნდა დავგრახოთ, ვიცით, სად მივედით, მაგრამ ორჯერ ერთნაირად დაგრეხა ძნელია, თუმცა ჩემი გალობის მასწავლებელი მელქისედევ ნაკაშიძე მეტყოდა: „ბაწარს რომ დაგრეხ, მაგრდება, მაგრამ ზედმეტად რომ დაგრეხ, გაწყდებაო“.

სიმღერას ზომაზე მეტი „დაგრეხა“ არ შვენის.

„სუფრის წესი“ ეშხში შევიდა. სადლეგრძელოებთან დაკავშირებული ბევრი სიმღერა იმღერეს. დაკარგული შვილების სადლეგრძელოს რომ სუადნენ, ნანიოს ცრემლი მოერია. „ჩვენი უბედურება ჩემი გივის დაკარგვით დაიწყო, ქერქთან დაიღუპა საცოდავი. რა ვაუკაცი იყო,

ქე გათსოვთ“. „მერე როგორ მღეროდა, — ჩაერიბ საუბარში ბაბუა, — ომში წასკლის წინ გამომიარა და დამემშვიდობა, ძველი „მრავალუამიერი“ წამოიწყო. ომიდან რომ დავბრუნდები, ყველა სიმღერა უნდა მასწავლო, რისი სწავლაც ვერ მოვასწარითო, — მითხრა. აღარ დაბრუნდა. მერე ამას ჩვენი ბახული მიჰყვა, — განა. გრძო ბაბუამ, — ლადიკოს სიცოცხლე აღარ უნდოდა, მაგრამ ცხოვრება თავისის თხოულობს. ახლა აგრე დათიკო დავკარგეთ და სამმა ძმამ, ჩემო ბაბუა, სამი ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები მივაბარეთ მიწას და ქე ვართ მაინც ცოცხლები, ვართ და უნდა ვიცოცხლოთ დიდხანს, ოადგან საქვეყნო საქმე გვაბარია, სიმღერა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა და სანამ საიმედო ხელს არ ჩავაბარებთ, ფეხს არ მოვიცვლით ამ ქვეყნიდან“.

არტემმა დაბალი ბანით დაიწყო საგალობელი „სიჭაბუკის ყვავილი დააჭინო სიკვდილმა“. საგალობელი ჯერ ჩუმად დაიწყეს, მერე ცოტა მოუმატეს ხმას და ბოლოს ცრემლნარევი ღილინით დაამთავრეს. შემზარავი ძოსასმენი იყო. მე ეს საგალობელი პირველად მოვისმონე და, უნდა გითხრათ, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

ლადიკო უცებ გამოცოცხლდა, — 1931 წელს სამი დიდებული გურული მომღერალი დავკარგეთ: შესანიშნავი პირველი ხმა სამუელ ჩავლეიშვილი, წვრილის განუმეორებელი მთქმელი გიორგი ბაბილონე და იშვიათი ბანი ნესტორ კონტრიძე. დავკარგეთ გურული სიმღერის სამი დიდოსტატი, რომელთა მსგავსი არასოდეს განმეორდება. არტემმა მათ ხსოვნას მიუძღვნა პატარა ლექსი და შემდეგ მასზე სიმღერაც ააგო. მე მინდა ამ ხალხის სახით დაკარგული დიდი მომღერლების და ქართული

სიმღერის სადლეგრძელო შემოგთავაზოთ“. ნანიომ არ  
ტემს გადახედა და შემოსძახა...  
დავკარგეთ სამი მომლხენი,  
მსმენელთა დამატებობელი...

კარის განაცხადი  
პილიტონი

„ეჭ რამდენი კარგი გვაქვს მოსაგონებელი, — თქვ-  
სიმღერის შემდეგ ბაბუამ, — მარტო ნაღზე რომ ნადუ-  
რებს მოისმენდი, ის რად ღირდა...“

„საღამოს, — განაგრძო არტემმა, — ვახშმად გვეწ-  
ვია მასიკ სალუქვაძე. მასიკ წარმოშობით სოფ. ლიხა-  
ურიდან იყო, თბილისში საკუთარი სამკერვალოები ჰქონ-  
და და სიმღერის დიდი ტრაფიალი გახლდათ. მასიკ ალ-  
ტაცებული დარჩა მამაჩემის და მისი ჯგუფის სიმღერით.  
გიგო, — უთხრა დილით მამაჩემს, — თბილისში უცხო-  
ელები არიან ჩამოსული და ფირფიტებზე ქართულ სიმ-  
ღერებს იწერენ, თქვენც უნდა ჩამოგიყვანოთ და სიმღე-  
რები ჩაგაწერინოთო.

ასე გაემგზავრა თბილისში სიმღერების ჩასაწერად  
გიგო ერქომაიშვილის ჯგუფი 1907 წ. შემდეგი შემადგენ-  
ლობით: გიორგი ბაბილონძე, ივლიანე კეჭაყმაძე, გიორგი  
იობიშვილი, ნანიკო ბურძგლა, ერმილე მოლარიშვილი,  
გიგო ერქომაიშვილი, ლუკა თოიძე და მე. მე და ლუკა  
მაშინ ახალგაზრდები ვიყავით. უცხოელები აღაფრთო-  
ვანა გურულმა სიმღერებმა და მამაჩემს ინგლისსა და  
გერმანიაში კონცერტებზე გამოსვლაც კი შესთავაზეს.

ჩავწერეთ სიმღერები, მასიკომ შესანიშნავად გვიმას-  
პინძლა, შემდეგ სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ და  
დავბრუნდით“.

ბაბუა ადგა, სიძველისგან გაყვითლებული სურათი და  
ერთი ძველი ფირფიტა მოიტანა და პატეფონზე დადო.

ფირფიტაზე ფრთიანი ანგელოზები ეხატა. ლავაზა  
ჩანიო სურათს დაჰყურებდნენ.

კარიბები  
ანგელოზები



დგანან, მარცხნიდან: ნანიეო ბურძგლა, ივლიანე კეპებმაშვ.,  
მასიკო სალუქეაძე.

სხედან: (II რიგი) გიორგი ბაბილონე, გიგო ერქომაიშვილი,  
გიორგი იობიშვილი.  
(I რიგი) არტემ ერქომაიშვილი, ერმილე მოლარიშვილი  
(დოლით), ლუკა თოიძე.

„აბა გიორგი, ერთი ძველი შვიდკაცა, თუ ძმა ხარ?“  
გაისმა პატეფონიდან ივლიანე კეპებმაძის ხმა და გიორ-  
გი იობიშვილმაც შემოსძახა. წვრილს გიორგი ბაბილონ-  
ეს ასრულებდა, ბანს 20 წლის ბაბუა არტემი. ძმები თვალ-  
დახუჭულნი სმენალ გადაქცეულიყვნენ, მე მათ სახეებს

და უკავშირდი და მივხვდი, რომ ამ წუთში ისინი ფიქტურია  
პარეტო მში „ჩამწყვდეულ“ მომღერლებთან იყენენ.  
„1929 წელს ლენინგრადში მიგვიწვიეს ოლიმპია-  
დაზე გამარჯვებულები, — დაიწყო ლადიკოშ სიმღერის  
დამოკრების შემდეგ. — გიგო მაშინ 90 წლისა შეს-  
დამოკრების რულდა, ხოლო გიორგი 95-ს იყო მიღწეული. კონცერ-  
ტებშა დიდი წარმატებით ჩაიარა. პრესამ მაღალი შეფა-  
სება მისცა ჩვენს სიმღერებს. ლენინგრადის კონსერვა-  
ტორიის პროცესორები დაესწრნენ კონცერტს. ისინი  
აღაფრთოვანა, ამ არი მოხუცის სიმღერამ, კერძოდ, ვი-  
ორგის კრიმანტულმა. კონცერტის შემდეგ მას ყელიც კი  
გაუსინჯეს, რამე ხომ არ უდევს შიგო.

ერთ-ერთ კონცერტს დიდი ფრანგი მწერალი რომენ  
როლანი მაქსიმ გორჯისთან ერთად დაესწრო. ჩვენმა სიმ-  
ღერებში ისინი აღაფრთოვანა. კონცერტის შემდეგ მო-  
იდნენ და გულითადი მადლობა გადაგვინადეს. რომენ  
ასენი ჩვენით დაინტერესდა და ბევრი შეკითხვა დავ-  
იტაცია. გამომშვიდობებისას ითხოვა, „მომასმენინეთ ეს  
ათერი „ხასანბეგურაო“ და როცა სიმღერა დავამთავ-  
ეთ, უკითხრა: ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი ხალ-  
ხი ასოვოთბს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი სიმ-  
ღერები აქვსო. გიპიუსმა ჩვენი სიმღერები პროფ. კუშ-  
ნარიოვის ხელმძღვანელობით ფილფონოგრაფზე ჩაწე-  
რა. ეს ჩანაწერები ახლა საღაა არ ვიციოთ.

ასეთი წინაპრები გვყავდა ბაბუ ჩვენ, მათ არა მარ-  
ტო სიმღერით, არამედ თავიანთი ქცევითაც მოხიბლეს  
უცხოელები. ამ უსწავლელ ხალხს საზოგადოებაში ისე  
ეჭირათ თავი, ისეთი შინაგანი კულტურა გამოამეღავნეს,  
რომ ბევრ განათლებულ კაცს შეშურდებოდა. თუმცა  
კულტურა მარტო განათლებაზე არ არის დამოკიდებული.

ზრდილობა და პატიოსნება კაცს ისევე უნდა დაჰყევეს, როგორც ნიჭი, იგი ღვთის ნაბოძებია, განსოვდეს, ბაზუ, გერ კაცი კაცად უნდა ვარგოდე და შენს ხელოვნებას ძერე ექნება ფასი“, — მითხრა არტემმა და თან მთხოვა, — ერთი სიმღერა კიდევ წამოგვიწყეო.

უარის თქმა აღარ შეიძლებოდა და ყოველგვარი პატის გარეშე დავიწყე „მე რუსთველი“. მოძახილი ლადიკომ მითხრა, ბანი ბაბუამ. „გადაძახილზე“ ნანიო უნდა ძოგვხმარებოდა და გვიან შევნიშნე, რომ ლუკმა ედო პირში. როცა სიმღერა დავამთავრე, ბაბუამ მითხრა: მარტო სიმღერის ცოდნა არ კმარა, ხალხს უნდა გადახედო, არიან თუ არა მზად. მას შემდეგ აგერ რამდენმა ხანმა განვლო და ეს სიტყვები ყოველთვის მახსოვს სიმღერის დაწყების წინ.

როცა ერთმანეთს ადლეგრძელებდნენ, ნანიომ გადაკოცნა ძმები და მე მომიბრუნდა: „ჩვენ ერთმანეთის ქებას არ მოვყვებით, სიმღერით დავლოცავთ ერთმანეთს, ამ სიმღერის ისტორია ასეთია: მე, ლადიკომ და არტეჭმა ერთი ფირალი დავუმილეთ სტრაქნიებს და სიკვდილს გადავარჩინეთ. შემდეგ ლადიკომ ლექსი მისწერა მას. გავიდა დრო და ამ ფირალისაგან მივიღეთ პასუხი, რომელზედაც არტემმა სიმღერა ააგო, სოქვა ნანიომ და შემოსახა:

ლექსი მიძღვენ, გამეხარდა,  
ვკითხულობ, სევდას ინელებს,  
მოძმე ჭირს შიგან გახსოვდეს —  
ზედ დაჰყოლია ქართველებს.  
პასუხს მოგიძლვნი ერთგნით სამს,  
შივ ჩამოგითვლი სახელებს,  
ლადიკოს, არტემს, ნანიოს,  
ხალხურ მუსიკის მომღერლებს.

როცა სუფრიდან ვდგებოდით, არტემმა ლადიკოს  
სთხოვა, ერთი „შავი შაშვი“ ვიმღეროთო. ლადიკომ და-  
იწყო. დაიწყო და, ღმერთო, როგორ ჩამრჩა ეს, ხმა მეტა  
სიერებაში. რა საოცარი სითბო და ხვერდი - ჰქონდა  
ხმაში, რამდენი ობერტონები, რამოდენა გრძნობა და  
სილამაზე...

იმ სალამოს ლვინო ცოტა შეისვა. სადლეგრძელოე-  
ბი ბევრი ითქვა, სიმღერები კიდევ უფრო მეტი. ძმებმა  
მოიგონეს ბევრი სასიამოვნო ამბავი. ჩვენ თითქმის ღი-  
ლამდე ვისხედით სუფრასთან და როგორ მინდოდა, ეს  
ლამე დიდხანს გაგრძელებულიყო.

ეს საოამო ძალიან თბილად დამამახსოვრდა. იმ ლამეს  
ბევრი საინტერესო რამ გავიგვი. მოწმე გავხდი ნამდვი-  
ლი „სუფრის“ წესისა და დავრწმუნდი, რამდენი საქმეა  
გასაკეთებელი იმისათვის, რომ ეს დიდებული ტრადი-  
ცია არ დაიკარგოს.

ამ სუფრის შემდეგ უფრო დავინტერესდი გურული  
სიმღერებით და ბაბუას ვთხოვე, რაც შეიძლება მეტი  
სიმღერა ესწავლებინა ჩემთვის და განა ბაბუას თხოვნა  
უნდოდა!

ყველაზე დიდი სიამოვნება ის არის ჩემთვის, სხვას  
რომ სიმღერის ვასწავლიო, — იტყოდა ხოლმე.

ერთხელ ვკითხე: — ბაბუ, ამდენს რომ მამღერებ, მე  
დავილალე და შენ არ ილლები-მეთქი?

— რა მოვივიდა, ბიჭო, ერთი სიმღერის შესწავლამ  
ასე დაგლალა. ჩემი მასწავლებელი ხანდახან დლეში ათ  
საგალობელს გვასწავლიდა!

— როდის დაიწყე მასთან მეცადინეობა? -- კითხე  
მე.

— „20 წლისა ვიყავი, ფირფიტებზე რომ სიმღერე-

ბი ჩავწერეთ და იქიდან რომ დავბრუნდით, ერთ სალა-  
მოს მამაჩემს წვეულება ჰქონდა. ჩვენთან სტუმრად ცალ  
სახელგანთქმული მგალობელ-მომღერალი შელქისედეგ  
ნაკაშიძე. მას ძალიან მოეწონა ჩემი ხმა, მუსიკალური  
მონაცემები და მამაჩემს სთხოვა: გიგო, გამატანე ეს  
ბიჭი, სიმღერა-გალობას ვასწავლი და კაცს გამოვიყვანო.  
მამაჩემი დათანხმდა. ასე აღმოვჩნდი მელქისედეგ ნაკა-  
შიძის ოჯახში. ჩემთან ერთად გალობას სწავლობდნენ  
დიმიტრი პატარავა, სამუელ ჩხიფვიშვილი და კიდევ რამ-  
დენიმე ახალგაზრდა.

თვითონ მელქისედეგს გალობა ანტონ დუმბაძისგან  
შეუსწავლია. ანტონ დუმბაძე და მისი შვილი დავითი  
იყვნენ მასწავლებლები ისეთი — დიდი მგალობელ-მომ-  
ღერლებისა, როგორიც არიან: ნესტორ კონტრიძე, ვარ-  
ლემ სიმონიშვილი და სხვები. ვინაიდან გალობა გურია-  
ში დუმბაძისაგან ჰქონდათ ნასწავლი, ამიტომ ამ საგა-  
ლობლებს დუმბაძის კილოს ეძახიან.

მელქისედეგი დიდად განათლებული კაცი იყო. არა-  
ჩვეულებრივად იცოდა ლიტერატურა და პოეზია. ჰქონ-  
და იშვიათი მეხსიერება და დაჭილდოებული იყო შესა-  
ნიშნავი ადამიანური თვისებებით. იგი თავის მოსწავლე-  
ებს ასმევდა, აჭმევდა, ტანსაცმელს უკერავდა, მათ ოჯა-  
ხებსაც ეხმარებოდა, მასსოვს ერთხელ ალდგომის წინა  
დღეს სახლში გამიშვა, გამატანა ბევრი ტკბილეულობა  
და ფული, გიგოს გადაეცი, ბავშვებს თითო წულა შეუ-  
კეროს ჩემს სახელზეო. ხშირად ნახავდით მის სახლთან  
ატუზულ მათხოვრებს, რომელთაც ყოველთვის ეხმარე-  
ბოდა.

ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო იტალიიდან ახლად-  
დაბრუნებული ცნობილი საოპერო მომღერალი ფილიმონ

ქორიძე, რომლის ხმაშ განცვიფრებაში მოგვიყვანა  
უკელა. ასეთი დიდი და ლამაზი ტემბრის ბანი არ ვაგვი-  
გონა...

გალობის შესწავლის დროს ესარგებლობდით ხელოუ-  
ნერი ნიშნებით, ე. წ. „ნევმებით“, რომელიც მიუნიშ-  
ნებდა ხმის აწევ-დაწევას და გვიადვილებდა საგალობ-  
ლის შესწავლას. ერთი დღის განმავლობაში ხშირად 10  
საგალობელიც კი შეგვისწავლია. ვსწავლობდით საგა-  
ლობლის სამივე ხმას, თავისი ვარიანტებით.

ამგვარი წესით ორი წლის განმავლობაში ორი ათასამ-  
დე საგალობელი შევისწავლეთ. როცა გალობის შესწავლა  
დავამთავრე, სრულიად ახალგაზრდა ვამგზავნეს სამეგ-  
რელოში სიმღერა-გალობის მასწავლებლად. იმ დროს  
დასავლეთ საქართველოში გალობის ერთი კილტ იყო  
გამეფებული. მარტვილის მონასტერში გალობდა ცნობი-  
ლი შგალობელის (დავით დუმბაძის მეგობრის) დიტო  
(დიმიტრი) ვალაგანიძის ჯგუფი.

— ერთ დღეს ვიღაც დიდებულს ასაფლავებდნენ. მარ-  
ტვილის მონასტერში მის პატივსაცემად წირვა იყო გა-  
მართული. მოხდა ისე, რომ დიტოს ერთერთი მგალობე-  
ლი ავად გაუხდა და ეძებდა დამხმარეს. მე შევთავაზე  
დახმარება.

— ყმაწვილო, რომელ ხმას იგალობებთ? — მკითხა  
დიმიტრიმ.

— რომელიც გნებავთ, — ვუპასუხე მე.

მან გაკვირვებულმა შემომხედა და ცოტა გადაჭარბე-  
ბულად მოეჩვენა ჩემი ნათქვამი.

— მაშ, კარგი, ბანი გვაყლია და დაგვეხმარეთ, — მა-  
თხრა მან. შევასრულეთ ყველა საგალობელი, რაც კი სა-  
კირო იყო წირვის დროს. როცა ყველაფერი დამთავრდა,

დიმიტრიმ შემიყვანა თავის ოთახში, მადლობა გადამიხა-  
ლა და მითხრა, როდის მოასწარი, ბიძია, ამდენი საგალო-  
პლის შესწავლა ასე ახალგაზრდა კაცმაო.

ღირო ფრიად წარმოსადეგი მოხუცი იყო, შესანიშ-  
ნავი ხმის პატრონი, კარგი მგალობელი. შემდეგში ჩვენ  
ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ეს შეხვედრები სა-  
სიამოვნო მოგონებად მრჩება დლემდე.



ბაბუა თავისუფალ დროს ან სიმღერას მასწავლიდა,  
ან მიამბობდა ძველ რიტუალებზე, ტრადიციებსა და  
ზნე-ჩვეულებებზე, მათთან დაკავშირებულ სიმღერებზე,  
რომლებიც საუკუნეების მანძილზე მტკიცედ იქნა და-  
ცული და რამაც სიმღერა რიტუალის შემადგენელი ნა-  
წილი გახდა.

— „სიმღერა ითვლებოდა გურიაში ერთ-ერთ გან-  
მკურნებელ საშუალებად. სიმღერას ვანსაკუთრებული  
ადგილი ეთმობოდა სახადით, კერძოდ „წითელა“, „ყივა-  
ნახველა“ და „ყვავილა ბატონებით“ დაავადებულის გან-  
საკურნავად. ავადმყოფის ლოგინსა და ოთახს მორთავ-  
დნენ წითელი ნაჭრებითა და ყვავილებით, დაუნთებდ-  
ნენ თაფლის სანთლებსა და ბაზმას (შაქარმოყრილი ნი-  
გოზი), რომელიც წვის დროს სასიამოვნო სურნელებას  
გამოსცემდა. ოთახში ასხურებდნენ ვარდის წყალს, შემ-  
დეგ ავადმყოფს თავზე „შემოავლებდნენ“ შესაწირავს  
(ყვინჩილას, ვარიას ან თიკანს)), ფეხშიშველი მივიღოდნენ  
კულესიასთან და „ბატონებისათვის“ დაპირებულ შესა-  
წირავს გაუშვებდნენ ეკლესიის ეზოში. ამის შემდეგ  
ცუკებოდა ბატონებისათვის „მობოლიშება“, ლოცვა და

ჩონგურზე „დალილინება“. ძველად ჩონგურის თანხლე-  
ბით სიმღერას „დალილინებას“ ეძახდნენ.

ოჯახის წევრები და ხშირად მეზობლებიც მეტწილად  
ქალები) მიუსხდებოდნენ ავადმყოფს ლოგინთან და  
ჩონგურზე „ბატონებოს“ დაალილინებდნენ, ასეთი ტექს-  
ტით:

„ბატონებო მოუოხეთ, მოუოხეთ ბატონებო,  
ლამაზი ბატონებია ია და ვარდი ჰუენია,  
თეთრი ტანისამოსებით მობრძანდებიან ბიჭები,  
ლამაზი ბატონებია ია და ვარდი ჰუენია.  
ბატონებს ეხვეწებიან, ეხვეწებიან ბატონებს,  
შემოგწირავ იას და ვარდს და დაგინოებ წმიდა ბაზმას.  
თეთრი ცხვარი და თხის ჭოვი მორბის, თიკანმა იხტუნა,  
გაუხარდა ბატონებსა და უცხად პირი იბრუნა“.

ჩონგურზე დამკვრელ ქალს გურიაში დიდი დაფასება  
ჰქონდა. „ერთ ქალად მარტუათ იგი ლირს, ის რომ ჩონ-  
გურზე დაალილინებსო“ — იტყოდნენ ძველები. ჩონგური  
საუკეთესო სამახსოვრო საჩუქარსა და მზითევის აუცი-  
ლებელ ნაწილს წარმოადგენდა.

სიმღერა-გალობა გურიაში საყოფაცხოვრებო წესჩვე-  
ულებებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დღესასწაული,  
ქორწილი, შრომის პროცესიც უსიმღეროდ ვერ ჩაივლი-  
და. განსაკუთრებით შრომა და სიმღერა მჭიდროდ იყო  
ერთმანეთთან დაკავშირებული. სიმღერა შრომის ხალისს  
ულვივებდა ხალხს, ამიტომ ნაღზე როგორც წესი პირვე-  
ლად მომღერლებს მოიპატიუებდნენ.

ნადი იყო ჭკუფი, რომელსაც გარკვეული სამუშაოს  
შესასრულებლად მოიწვევდნენ. ნადის მიერ შესრულე-  
ბულ სიმღერებს ნაღურებს უწოდებდნენ. ნადს იწვევ-  
დნენ ტყიდან საწნახელის, საშენი მასალის, ან შეშის  
3. ა. ერქომაიშვილი

გამოსატანად, ყურძნის კრეფაზე და თესვის დროს, თოხნასა და ყანის ალებაზე, მოწეული სიმინდის გარევაზე და სხვა. ყველა ამ სამუშაოს შესრულების დროს საწნახელისი სიმღერები იმღერებოდა. მაგ. ტყიდან ზაწნახელის ან საშენი მასალის გამოტანის დროს „ელესა“ იმღერებოდა.

საწნახელს ძირითადად ცაცხვისაგან აკეთებდნენ, რომელსაც თებერვალში მოქრიდნენ (სანამ ხეში წყალი ჩაღებოდა) ხე რომ არ დახეთქილიყო და არ დამპალიყო. საწნახელს გამოთლიდნენ, დაელოდებოდნენ სანამ გახმებოდა და მოიწვევდნენ ნადს მის ჩამოსატანად. საწნახელის გამოსათრევ გზას წინასწარ გაკაფავდნენ. საწნახელს გვერდიდან ხელის მოსაკიდად სამკლავეებს უკეთებდნენ. სამკლავეებად ნედლი წყავის, ან თხილის ტოტებს დაგრეხდნენ. ლვინის გამოსალებს წინასწარ გაბურლავდნენ წინ და შიგ მსხვილ თოქს გამოაბამდნენ. ყოველივე ამის შემდეგ შეუდგებოდნენ საწნახელის გამოთრევას. დიდი საწნახელის ამოსატანად საჭირო იყო 20—30 კაცი. იმისათვის, რომ ამდენ ხალხს ერთად მოწიათ თოქი, გარკვეული რიტმით ვიღაცას ხელმძღვანელობა უნდა გაეწია. ამ სამსახურს „ელესა“ უწევდათ.

რომელიმე მომღერალი დაიძახებდა, „ელესა და“ — „ესა“ უპასუხებდა ნადი, ესას ძახილზე ერთად გამოსწევდნენ თოქს და საწნახელს წინ მოუნაცვლებდნენ აღგილს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მას სწორ გზაზე არ გამოიტანდნენ.

ამგვარად შეძახილი „ელესა და“ — იყო გამაფრთხილებელი, ხოლო „ესა“ სამუშაოს შესრულების ნიშანი. ამის შემდეგ მომღერლები შეუდგებოდნენ სიმღერის მეორე ნაწილს, რომელიც ორპირულია (ორი ჯგუფი ას-

რულებს მიმდევრობით) სიმღერას იმღერებდნენ იმჟან-  
ჭერ, რამდენსაც შრომის პროცესი მოითხოვდა.

ყურძნის კრეფის დროს „აგიდელას“ მღერობდნენ,  
ხოლო სიმინდის გარჩევის დროს „კალოს ხელხვევებსაც“.

ყანაში მუშაობის დროს სრულდებოდა ნადურების  
მთელი წყება, ყანაში შესრულებულ ნადურს ხშირად  
„ყანურს“ უწოდებდნენ. ყანური სიმღერები, განსხვავე-  
ბით სხვა უანრის სიმღერებისა, ოთხხმიანობით ხასიათ-  
დება. ისინი გურიაში ყველაზე გრძელი და ძნელი სიმ-  
ღერებია.

ნადურები მრავალნაირი იყო, აღმოსავლეთ გურიის  
ნადური დიდად განსხვავდება დასავლეთ გურიის გარიან-  
ტისაგან. დასავლეთ გურიის ნადურები ახლოს დგას აჭა-  
რულთან, ასე რომ ნადურების კარგი მცოდნე კაცი აჭარ-  
ლებთან თავისუფლად იმღერებდა.

ნადის წევრები დილით ადრე მასპინძელთან იქრიბე-  
ბოდნენ. თოხებს ყუით შემოჰკრავდნენ რომელიმე ხეს  
და საუზმის შემდეგ წავიდოდნენ ყანაში, სადაც მუშაო-  
ბასთან ერთად დილის ნადურებს იწყებდნენ.

შემდეგ „მზის გულზე“ ჯოხს ჩაასობდნენ მიწაში და  
როცა ჯოხს ჩრდილი გაუქრებოდა (12 საათზე) შუადლის  
ნადურებს იმღერებდნენ ასეთი ტექსტით:

„მიმინოსა მწყერი უყვარს,  
შევარდენსა ნადირობა,  
თუ მასპინძელს ნადი უყვარს,  
აწი კი სადილობა“.

შუადლეზე მასპინძელი სადილს მოიტანდა. ნასაღი-  
ლევს ზარმელის ნადურებს დაიწყებდნენ (ზარმელს სა-  
დილსა და ვახშამს შორის სამხარს ეძახდნენ), ხოლო სა-

ლამოს აუცილებლად მოკლე ნადურს „გორდელის“ იმ-  
ლერებდნენ.

ნადური აადვილებდა შრომას, ახალისებდა ხალხს.  
ხშირად ნადურის ხმაზე ხალხი თავიანთ ჭანებს სტოვებ-  
და და ნადს უერთდებოდა. თუ ადრე მორჩებოდა ნადი  
ყანას, მოთაღრე (მეზობელ) ყანას გათოხნიდნენ. როცა  
ყანას მორჩებოდნენ, „ელესას“ მეორე ნაწილს იმღერებ-  
დნენ და ამით ამცნობდნენ სამუშაოს დამთავრებას.

მთელი დღე, მუშაობის დროს, ნადურებს ისე ომახია-  
ნად ასრულებდნენ, რომ იგი ხშირად რამდენიმე კილო-  
მეტრზე ისმოდა.

ხშირად მინახავს საქმეზე მიმავალი კაცი, საქმეს სტო-  
ვებდა, ყანის პირას ჩამოჭდებოდა და სიამოვნებით უს-  
მენდა ნადურს.

ადრე ნადურებს მხოლოდ ყანაში მღეროდნენ, ხოლო  
უფრო მოგვიანებით, თავშეურის ადგილებშიც დაიწყეს  
მისი შესრულება, მაგალითად წირვის შემდეგ შეიძლე-  
ბოდა ეკლესიის ეზოშიც ემღერათ.

ბაბუა, მთელი ჩემი მახსოვრობის პერიოდში, გუნდს  
ხელმძღვანელობდა, ამ გუნდში მაშინდელი ცნობილი  
მომღერლების გარდა ჩვენი ოჯახის წევრებიც მონაწი-  
ლეობდნენ. არტემის შვილები, შვილიშვილები, ძმისშვი-  
ლები, დისშვილები, რძლები...

ჩვენი ოჯახი, თავისთავად, ცალკე გუნდს წარმოადგენ-  
და. საოცარი მოსასმენი იყო, როცა ზამთრის გრძელ ღა-  
მეს შევიკრიბებოდით ან ჩვენთან, ან ლუკა თოიძის  
ოჯახში და ისმოდა ტკბილი საჩონგურო სიმღერება. ლუკა  
თოიძე ბაბუას სიძე იყო, დის ქმარი, შესანიშნავი  
მომღერალი, კარგი გარეგნობისა და კარგი ოჯახის პატ-  
რონი. იგი სიმღერას გიგოსთან სწავლობდა, შემდეგ მისი

ქალიშვილი შეირთო ცოლად და ერქომაიშვილებს ხიდგ-  
ლილამდე არ მოშორებია.

ლუკას ოჯახშიაც ყველა მღეროდა. განსაკუთრებით  
გამოირჩეოდა მისი ვაჟი ამირანი და მისი მეუღლე ნუნუ.

ჩვენი ოჯახური გუნდი დიდ კონცერტებსა და ოლიმ-  
პიადებშიც იღებდა მონაწილეობას და ყოველთვის მა-  
ლალ შეფასებასა და ჯილდოს იმსახურებდა.

განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით  
ექცეოდა ბაბუა ამირანის უფროს ვაჟს ბადრის. ბადრის-  
გან კარგი მომღერალი დადგებაო, ამბობდა ბაბუა და აკი  
შემდეგშიაც ჩემთან ერთად გაუკავა გზა მუსიკალური  
განათლებისაკენ.

ბაბუა ჩვენი ნათესაობის შემაკავშირებელი ხიდი იყო  
და ერთმანეთისადმი სიყვარულს უნერგავდა ყველას,  
„რაც უნდა დაკავებული იყო, იმის საშუალება მაინც  
უნდა ნახო, რომ ნათესავები მოინახულო. ნათესაობა და  
მოყვრობა სიახლოვეა. თუ ერთმანეთი ხშირად არ მოვი-  
ნახულეთ, ერთმანეთი დაგვავიწყდება და სიყვარულიც  
განელდება“, — იტყოდა იგი.

სუფრაზე თვითონ ცოტას სვამდა და გადაჭარბებული  
დალევა სხვისიც არ უყვარდა. ასევე ვერ იტანდა სიმღე-  
რის დამახინჯებას. ერთ სუფრაზე ერთმა სუსტმა მომღე-  
რალმა გააშარეა გურული სიმღერის ბანი, რომელიც  
ძალის ყეფას უფრო გავდა ვიდრე სიმღერას, ბაბუა  
საშინლად განაწყენდა.

„ახალგაზრდავ, არ გეკადრებათ ასეთი ხუმრობა,  
თქვენ ჯერ სიმღერის გალამაზების უფლება უნდა მოი-  
პოვოთ თქვენი ცოდნითა და გამოცდილებით, თორემ სიმ-  
ღერის დამახინჯების უფლება ვინ მოგცათ. თქვენი შე-  
ქმნილი სიმღერა შეგიძლიათ გააშარეოთ, თორემ ხალხის

შექმნილი საუნგის ხელყოფის უფლება არა გაქვთ“, —  
წყრომით თქვა მან.

თავისი და  
გვივრების გადა

ჩემი სტუდენტობის პერიოდში ბაბუა ხშირად ჩამო-  
ლიოდა თბილისში. ჩამოლიოდა იმიტომ, რომ სიმღერები  
ჩავეწერა და ჩვენი ვოკალური ანსამბლის რეპეტიციებს  
დასწრებოდა.

ანსამბლს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელწოდება.

ბაბუამ ახლოს გაიცნო ანსამბლის შემადგენლობა და  
როცა გაიგო, რომ კრიმანჭულის შემსრულებელი გომარ  
სიხარულიძე გვყავდა, დიდად გაიხარია. „არსებობს ერთი  
ძალზე ძველი ოთხემიანი მოკლე ნადური, რომელსაც  
თქვენი ანსამბლი კარგად შეასრულებს. აგერ გიგოს შემ-  
დეგ არავის უმღერია და ვფიქრობ, გურული ნადურების  
ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია“, — მითხრა ბაბუამ.

სიმღერა ნოტებზე ჩავიწერე და ბაბუას კონსულტა-  
ციით ანსამბლს შევასწავლე. იგი მართლაც ძალიან მო-  
გვეწონა ყველას და როცა მაყურებელმა ოვაცია გამარ-  
თა ამ ნადურის შესრულების გამო, გადავწყვიტეთ ან-  
სამბლისათვის ამ უძველესი ოთხემიანი ნადურის სახელი  
„გორდელა“ დაგვერქმია.

ბაბუა ძალიან დაუახლოვდა ანსამბლის წევრებს, რომ-  
ლებიც ლექციების შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ და ბა-  
ბუაც გვასწავლიდა ძველ სიმღერებს. „თქვენი ანსამბლი  
დიდ სახელს მოიხვეჭს. მან უდიდესი სამსახური უნდა  
გაუწიოს ერს, მსოფლიოს უნდა გააცნოს ქართული ხალ-  
ხური სიმღერებიო“, — გვითხრა ბაბუამ ერთხელ.

მართლაც, ანსამბლი თანდათან პოპულარული ხდებო-  
და, 1965 წელს ამიერკავკასიის მუსიკალურ გაზაფხულზე

ჩამოსული სტუმრები აღაფრთოვანა ქართულმა ხალხურა-  
გა სიმღერებმა ანსამბლ „ვორდელას“ შესრულებით.

პრესა უმაღლეს შეფასებას აძლევდა ქართველ ხალ-  
ხურ სიმღერებს და ანსამბლის საშემსრულებლად ჰულუკ  
ტურას, ხოლო გურული სიმღერისა და საგალობლების  
შესახებ ამერიკელი კომპოზიტორი აღან ოვანესი წერ-  
და: — „ბახი რომ ცოცხალი იყოს, ისიც აღფრთოვანდე-  
ბოდა ასეთი პოლიფონითო“.

და როცა ბაბუამ ეს სიტყვები წაიკითხა და ამ სიმ-  
ღერების შემჯრებთა შორის თავისი გვარი დაინახა, თვალ-  
ზე ცრემლი მოადგა. ეს სიხარულის ცრემლი იყო, მე იგი  
მეორედ და უკანასკნელად ვნახე აცრემლებული.

— „ქართულ სიმღერას, ბიჭებო, დიდი მომავალი  
აქვს, — ეუბნებოდა იგი „ვორდელას“ წევრებს, — ხომ  
ხედავთ, უცხოელებს როგორ მოეწონათ, აბა თქვენ ნა-  
ხეთ მისი წარმატება, როცა ამ სიმღერებს თვითონ უცხო-  
ეთში შეასრულებთ. მსოფლიო აღიარებს თავის დროზე,  
რომ ასეთი მრავალხმიანი და მრავალფეროვანი ხალხური  
სიმღერები, როგორიც საქართველოშია, არსად არ არის“.

ბაბუა თბილისში ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში  
გამოწყობილი დაღიოდა. ნაცრისფერი ჩოხა და თეთრი  
თმები შევნოდა. მე და ბადრი ყოველთვის გვერდით დავ-  
უვებოდით და გვეამაყებოდა, რომ გამვლელი დიდი სა-  
ყვარულით შესცემეროდნენ ამ ლამაზ მოხუცს.

ბაბუას ბევრი ძველი მეგობარი ჰყავდა თბილისში.  
ხალხურ მომღერლებს გარდა, მას ძველი მეგობრობა  
აკავშირებდა ონა ტუსკიასთან, შალვა მშველიძესთან,  
დავით ანდლულაძესთან, გრიგოლ ჩხილვაძესთან, შალვა  
ასლანიშვილთან, მიხეილ ძიძიშვილთან და სხვებთან.  
შალვა ასლანიშვილს ახლაც ახსოვს ბაბუას გუნდის

ტრიუმფალური გამოსვლა ლენინგრადში, მაშინ ის ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა.

ერთ საღამოს კომპოზიტორთა კავშირში ბაბუას შეხედრა მოუწყვეს, სადაც „გორდელამ“ კონცერტი გამართა. შეხედრაზე მოგონებებით გამოვიდნენ: იონა ტუსკია, შალვა მშველიძე, ბაბუა და სხვები.

საღამომ ძალზე თბილად ჩაიარა და იგი ალბად ყოველთვის ტკბილ მოგონებად დარჩება იქ დამსწრე საზოგადოებას.

ერთ დღეს „ლალიძის წყლების“ წინ ვიდექით მე, ბადრი და თამაზ ანდლულაძე, დავინახეთ ბაბუა, რომელიც კონსერვატორიაში მიდიოდა. შევატყვე, რომ არ მოეწონა ამ ადგილას უსაქმოდ რომ დაგვინახა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ხაჭაპურზე დაგვპატიუა. როცა სახლში მივედით მითხრა: „იცოდე, ბაბუ, აღამიანს რაც ყველაზე ცუდად ახასიათებს ეს არის სიცრუე და უსაქმურობა. გახსოვდეს, რომ რაც არ უნდა გაგიჭირდეს, არ იცრუო, სჯობია, ცუდი სიმართლე თქვა, ვიდრე კარგად იცრუო, რაც შეეხება უსაქმურობას, პირდაპირ საოცარია აღამიანის ბუნება. ისედაც ცოტა დროით ვართ მოსული ამ ქვეყნად და ზოგი ამ დროსაც უქმად კლავს. კაცი, რომელიც აღამიანს კლავს, სხვას უმოკლებს ცხოვრების დროს, ხოლო ვინც დროს კლავს უქმად, ის თვითმკვლელობის ტოლფას დანაშაულს სჩადის“.

ბაბუას დაფიცება არ უყვარდა და სხვა რომ იფიცებოდა იმასაც ვერ იტანდა. ფიცი სიმართლის დასამტკიცებლადაა მოგონილი. ზოგიერთ კაცს ფიცით ტყუილი უნდა დაგაჭეროს და მას ცრუმოწმესავით იყენებს, ფიცი სისუსტის ნიშანია. მართალ კაცს სიმართლის დასამტკი-

ცებლად ფიცი არ სჭირდება, მის სიტყვას ისედაც უნდა  
ენდონო — იტყოდა იგი.

ბაბუას წლების განმავლობაში ლვიძლის ტკივილი  
სტანჯავდა. ერთ დღეს მწვავე შეტევის გამო აუცილებელი  
ლი გახდა მისი საავადმყოფოში მოთავსება. გადაწყვდა,  
ნაღვლის ბუშტი უნდა ამოეკვეთათ, რაც 75 წლის კაცი-  
სათვის ადვილი საქმე არ იყო.

დილით საავადმყოფოს ეზო სავსე იყო ნათესავებით,  
ბაბუას მეგობარი ძველი მომლერლებით, მოწაფეებითა  
და თანასოფლელებით. საოპერაციოში რომ შეჰქავდათ  
ბაბუა თვალებით მოგვეფერა და დაგვამშვიდა.

ოპერაცია ჩვენმა ახლობელმა დასტაქარმა, ნესტორ  
თოიძემ გაუკეთა. იგი არ დაუძინებიათ. ნესტორი ლილი-  
ნებდა (ჩვეულება ჰქონია ასეთი), ბაბუა აუტანელ ტკი-  
ვილებს იტანდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, როცა ოპე-  
რაცია მოათავა ნესტორმა, ბაბუას უთხრა:

— რკინის კაცი ყოფილხარ არტემ ბიძია, ხომ გადა-  
გარჩინე, სამაგიეროდ სიმლერა უნდა მასწავლოო.

— „შენს ლილინს ოომ ვუსმენდი ჩემო ნესტორ, დავრ-  
წმუნდი, შენთვის სიმლერის სწავლებას სჯობს კიდევ  
ერთი ოპერაცია გადავიტან“ — უპასუხა ბაბუამ.

როცა მომჯობინდა, ჩონგური მოითხოვა. ნესტორი  
სასთუმალს უჭდა და სიყვარულით უსმენდა ბაბუას ლი-  
ლინს, მაგრამ სიმლერის სწავლა აღარ უთხოვია.

სოფელში ასვლა დიდხანს დაუგვიანდა. მისი თხოვ-  
ნით მამისეულ წყაროს წყალს ასმევდნენ, მალე მომარ-  
ჩენსო. როცა მომჯობინდა, სასაფლაოზე წავიდა, იქი-  
დან შეწუხებული დაბრუნდა, ბარდ-ეკალი მომძლავრე-  
ბულიყო და ზოვიერთი საფლავი მთლიანად დაეფარა.

ერთ საღამოს, ჭალის მაღაზიასთან მაკვანეთლები ბა-

ბუას ხელით დაწერილ განცხადებას კითხულობდნენ. იგი  
სთხოვდა რომ კვირას ნაკაშიძის გორაზე ამოსულიყვ-  
ნენ სასაფლაოს გასაწმენდად.

მე და ბაბუა კვირა დილით ნაკაშიძეს ულტაზე გრძე-  
ლებული ავედით. მზე კყაფშანას მთიდან ამოწვერილიყო. მდინარე  
აჭისწყლის ხეობაში ჯერ კიდევ ნისლი იწვა, რომელშიც  
თამარისდროინდელი ჭანიეთის ციხე ნელნელა იძირებო-  
და. შემოქმედის მონასტრის თავზე ფრინველების გუნდი  
ირაოს აკეთებდა, ხოლო გორმალაზე კანტიკუნტად  
გაისმოდა ერთლულიანი თოფების ხმა. ეს ბაბილონის  
ბიჭები აფრთხობდნენ ღამის წვიმისაგან დასველებულ  
ფრინველებს. ნაკაშიძის ქედზე გრილი სიო საამოდ ქრო-  
და და უკვე გალვიძებული სოფლის ხმაური მოპქონდა;  
შინაური ფრინველების კაյანი, დიასახლისების „ჭუ, ჭუ,  
ჭუ“, საქონლის ბლავილი, უფრო შორს — ბათუმისაკენ  
მიმავალი მანქანებისა და თვითმფრინავების მოტორების  
გუგუნი.

ასწლოვანი მარადმწვანე „ქაფურის ხის“ ძირში სამ-  
სონ ბაბილონე იდგა, თუთუნს აბოლებდა და თავის ბი-  
ჭებს რალაცას უყვებოდა.

სასაფლაოზე დიდი ჭადრის ძირში ალექსანდრე და მი-  
ხაკო ბაბილონები წალდებს ლესავლნენ, არტემ ჭანუ-  
ყვაძეს ყაბალახი მოეხსნა და ყურს უნასკვავდა, ლადიკო  
ანდლულაძე გულმოდგინედ ახვევდა თუთუნს გაზეთის  
ქალალდში, ხოლო ცოტა მოშორებით სოლომონ ბაბილო-  
ნებს ხელი მოეჩრდილა და უყურებდა თავის ბიჭს, ომა-  
რიას, რომელიც თოფით ხელში ნაძვის ხის წვერზე წა-  
მომჯდარ ფრინველს ეპარებოდა.

ბაბუას ყველა ფეხზე ამდგარი მიესალმა.

ნესტორ ბერსენაძე და ქესკინა თოიძე მელიტონ წივ-

წიგნის საფლავთან იდგნენ და მარმარილოს ქვის ათვა-  
ლიერებდნენ, საიდანაც მელიტონის კეთილი სახე იღი-  
მებოდა. ქვევით ეწერა, „1860—1960 წ.“.

— ბედნიერი კაცი იყო მელიტონი, — სთქვა ნესტორის გა — ასი წელი შეასრულა და თავისიანებიც ბედნიერად  
დატოვა.

— მაგ ხნის ახლა მართა წივწივაძე და იაკინთე გო-  
ლიაძე თუ იქნებიან — თქვა ქესეინაშ და წინდა „გა-  
ლიფე“ შარვლის ბოლოს ქინძისთავით მიამაგრა.

სასაფლაოზე მეტი ხალხი მოგროვდა, ვიდრე ველო-  
დით. ვის არ ნახავდით აქ: გოლიაძეებს ვალიდან, ცეც-  
ლაძეებსა და აბაშიძეებს გოგიეთიდან, თოიძეებსა და  
წივწივაძეებს ეწრიდან, ქორიძეებს, კალანდარიშვილებს,  
აბა მთელი ჩვენი კუთხე ხომ უკლებლივ გამოცხადდა  
თავისი ნამრავლით. ბრიგადირმა როლიანდი ცელაძემ  
ინატრა: — ნეტა ასე უკლებლივ სამუშაოზე ცხადდებო-  
დეს ეს ხალხი.

— „ეგერ „ურთხელა“ (წითელი ხე) რომ დგას, იქ  
ადრე ეკლესია იდგა. რომელსაც გალავანი ერტყა, ყოველ  
დღესასწაულზე წირვა იმართებოდა და ჩვენ ვგალობ-  
დით“ — თქვა ბაბუამ.

— „მერე და რა გალობა მახსოვს, — ჩამოართვა სი-  
ტყვა მიხავო ბაბილონებ — უკეთესს კაცი ვერ გეიგო-  
ნებდა“.

— „წირვა რომ დამთავრდებოდა, ეკლესის ეზოში,  
გალავანთან, ცხონებული გიგო ნადურს დააგუგუნებდა  
თავის ჯგუფთან“, — თქვა ლალიკო ანდლულაძემ.

— „ახლა ეკლესია დაინგრა, ისეა მოდებული ბარდი  
და ეკალი, რომ გალავანიც აღარ სჩანს, ჩვენი სირცეი-  
ლია ეს — თქვა არტემ ჭანულყვადემ, — არავის არაფრის-

თვის არ სცალია და ა, ბატონო, საფლავი ვეღარ გვი-  
პოვია ჩვენიანის, ამის წინ ცხონებული იაგორის საფ-  
ლავს რომ თხრიდნენ ვიღაცის სამარხი გვჭრეს”

ძველი გალავნის გარეთ ახალი საფლავები. სუფთად  
გამოიყურებოდა, ხოლო გალავნის შიგნით ძველი საფ-  
ლავები ბარდია და ეკალს დაეფარა.

— „კაცი თავის კარმიდამოს უცლის, — თქვა ბა-  
ბუამ, — ალამაზებს, ასუფთავებს, ყვავილებსა და ხე-  
ხილს რგავს, როცა მოკვდება, მისი ეზო მისი საფლავია,  
ამ საფლავს მოვლა სჭირდება. აქ დიდებული ხალხია და-  
საფლავებული. ბევრი მათგანი საზოგადოებაში გამორ-  
ჩეული იყო და ხალხში საპატიო ადგილი ეჭირა, სანამ  
შეეძლოთ პატიოსნად ემსახურნენ საზოგადოებას და  
ისე წავიდნენ ჩვენგან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ცხოვ-  
რება გრძელდება. ჩვენი სახელები ჩვენმა შვილებმა და  
შვილიშვილებმა უნდა შეინახონ. ზოგიერთს მარტო სუ-  
ფრაზე აკონდება თავისი წინაპარი და დიდი სასმისით  
სვამს მის სადლეგრძელოს, მისი საფლავი კი არც იცის  
სადაა. აბა, გური, — მიუბრუნდა ბაბუა გური ბაბილო-  
ძეს, — გიორგის საფლავს მიაგნებ?“

გურიმ თავი ჩალუნა. — „ვერა ხომ? სირცხვილია  
მაგი, მერე იცი შენ როგორი წინაპარი გყავდა? არ იცი.  
მოვა დრო და მის საფლავს მონახავენ. მონახავენ და  
ვეღარ იპოვნიან. აგერ დიდი მომლერლისა და საზოგადო  
მოლვაწის ფილიმონ ქორიძის მაგალითი ავიღოთ. ფილი-  
მონი იტალიიდან რომ დაბრუნდა იმდენად პოპულარული  
იყო, მის სანახავად ბილეთები იყიდებოდა. ახლა მისი სა-  
ფლავი ვერ უპოვნიათ. ოზურგეთის ექლესის ეზოში იყო  
დასაფლავებული. შემდეგ ეს ეკლესია დაანგრიეს, იმ  
ადგილას პარკი გააშენეს (თეატრის წინ) და არავის აზ-

რად არ მოსვლია, რომ ამ დიდებული კაცის ნეშტი ხა-  
პატიო აღგილას გადაესვენებინათ. შთამომავლობამ წმინ-  
დად უნდა შეინახოს მისი წინაპრის სახელი და შოთა-  
როს მათ საფლავებს. არ არის აუცილებელი ძვირფასი  
სასაფლაოების აშენება, როგორც ახლა აქეთებს ზოდი-  
ერთი, მთავარია საფლავი სუფთად იყოს მოვლილი და  
საფლავის ქვაზე მისი სახელი და გვარი ეწეროს, ამით  
გვარის ისტორია გრძელდება. ადრე, ხალხი მოუვლელ  
საფლავს რომ ნახავდა, მის შთამომავალს გაკიცხავდა და  
სოფელში შეარცხვენდა, ახლა ყველას დაავიწყდა ეს  
წესი“.

ხალხი მუშაობას შეუდგა. მალე დანგრეული გალავ-  
ნის კონტურები გამოისახა, რომლის ნანგრევებში სუ-  
როს გაედგა ფესვები და ერთ დროს მჭიდროდ დაწყო-  
ბილ ქვებს ერთმანეთისაგან აცალებებდა.

— არტემ ბიძია ერთი აქეთ მობრძანდით, — გაისმა  
ბიჟიკო ბერსენაძის ხმა, რომელიც საფლავის ქვას ათვა-  
ლიერებდა, მოთხრილი ბუჩქის ძირს რომ ამოპოლო-  
და. — „შეიწყალე უფალო სული მონისა შენისა, ნა-  
ოსა იორაშვილისა და მეუღლისა მისისა ჯაჭვისი,  
ამინ“. — ამოიკითხა ძეელი ქართულით დაწერილი ასო-  
ები ბაბუამ და სიხარულით გაებადრა სახე. მან იცნო  
მათი საფლავები ვიზაც ობოლი გიგო ერქომაიშვილი  
ერთ დროს შეიფარა, უპატრონა და აღზარდა.

ახლა გალავნის მეორე მხარეს ლეონიდე და ნიკო ბა-  
ბილოძეები უხმობდნენ ბაბუას, მათ აღმოაჩინეს საფლა-  
ვის ქვა წარწერით „ნიკიფორე მგელაძე“ — „ეს კაცი,  
რომელმაც მაკვანეთის სკოლა დააარსა, ჩემი მასწავლე-  
ბელი იყო, ასეთი ადამიანი დაკარგვის ღირსი არაა,  
თქვა ბაბუამ და საფლავის ქვა მიწაში ჩაამაგრა“.

მზე თანდათან უახლოვდებოდა გორმალალს. ხილხს  
ამოძირკვული ბუჩქები, ბარდ-ეკალი და ფიჩხი შეეწვინა  
სასაფლაოსაგან ცოტა მოშორებით. სუფთავდებოდა საფ-  
ლავები, ნელ-ნელა ჩნდებოდნენ მივიწყებული გვარები,  
მოხუცების თვალშინ ცოცხლდებოდა მათი სახეები.

შუალლეზე ბაბუამ მე, ჩემი ბიძაშვილი ირაკლი, გუ-  
რამ თენეიშვილი, სერგო და სოლომონ ბაბილონძეები  
სახლში წაგვიყვანა. დედაჩემს და ბიცოლა უუეუნას  
პურმარილი გაემზადებინათ და კალათებში ჩაეწყოთ,  
დამიანე ბიძია ნატურალურ „იზაბელას“ იღებდა ჭური-  
დან, რაც გურიაში ისევე სანატრელი გახდა, როგორც  
ძველი გურული სიმღერა. მარანში „იზაბელას“ არაჩვე-  
ულებრივი სურნელი იღვა. სოლომონმა და სერგომ  
მჩარჩე მოიგდეს ლვინით სავსე დიდი „ჭარიკები“ და  
სასაფლაოსკენ გასწიეს. კალათებაკიდებულნი ჩვენც  
მათ მივუევით. ბაბუამ ირაკლის ჩემოდანი მისცა წამო-  
სალებად.

სასაფლაოზე სამუშაო თითქმის დაემთავრებინათ.  
ყველა თავისიანის საფლავს ასუფთავებდა, და საფლავის  
ქვეს ისე სათუთად ასწორებდა, როგორც ავადმყოფის  
ზალიშს. გიორგი ბაბილონის საფლავთან გური იღვა  
და თავთან დარგულ ნაძვს ხმელ ტოტებს აჭრიდა. გიორ-  
გის გვერდით გრგო ერქომაიშვილი ესვენა, რომლის  
თავთან ატმის ხე იყო დარგული, მათ ახლოს ლუკა  
თოიძე განისვენებდა.

ჭალები და ბავშვები სოფლიდან ამოსულიყვნენ, სა-  
დილი მოეტანათ და მიწაზე შლილნენ სუფრას ჭანიეთის  
ციხის გადასახედზე.

სამუშაო დაამთავრეს და სუფრას მიუსხდნენ. რამდე-  
ნიმე საღლეგრძელოს შემდეგ ბაბუა წამოდგა და საფლა-

ვებისკენ გაემართა, თითოეულ საფლავთან ჩერდებოდა  
და აცნობდა დამსწრე საზოგადოებას, შემდევ საფლავ-  
ზე ჭიქა ღვინოს აქცევდა და ახლა სხვა საფლავთან მია-  
დიოდა. ვინ იცის რამდენი ხანია არ ლირსებრიათ ასეთი  
სტუმრები, ერთ დროს კარგ მასპინძლობას დაჩვეულ წი-  
ნაპრებს.

გიგოს, გიორგის და ლუკას საფლავს რომ მიუახ-  
ლოვდნენ, ბაბუამ სთხოვა ირაკლის ჩემოდანი მოეტანა,  
იქიდან პატეფონი ამოილო, გიგოს და გიორგის საფლა-  
ვებს შუა ჩადგა და ზედ 1907 წელს ჩამდერებული ფირ-  
ფიტა დასდო.

„ვიგო ერქომაიშვილო, ერთი ძველი შვიდყაცა თუ  
ქმა ხარ“, — გაისმა პატეფონიდან და გიგოსა და ლუკას  
ხმებს აჰყვა გიორგის არაჩვეულებრივად მაღალი და სა-  
ოცრად ლამაზი ტემბრის გამყივანი.

სიმღერა გუგუნებდა. ხალხი გარინდული უსმენდა  
ამ საოცარ მომღერლებს. ჩვენგან მარცხნივ ეკალ-ბარ-  
დების დიდი ზეინი ტკაცანით იწვოდა. მისი ალი გორ-  
მაღალზე მაღლა ასულიყო. მზე გურია-აჭარის მთებიდან  
გადაგორებულიყო და შავ ზღვაში ნელ-ნელა იძირებო-  
და. მე იზაბელათი სავსე ჭიქა მეჭირა ხელში და ჭიქიდან  
გავცეროდი ჩამავალ მზეს, რომელსაც იზაბელასფერი  
დასდებოდა. გიგოს, გიორგის და ლუკას საფლავებზე  
სანთლები ენთო, მათ მშეიღი ძილით ეძინათ, მაგრამ  
მათი ხმები საუკუნეებს მოარღვევდა და თანდათან  
შლიდა საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.  
გაღმა შემოქმედის მონასტრის თავზე ძველი მგალობ-  
ლების ვარლამ სიმონიშვილის, ანტონ და დავით დუმბა-  
ძეების აჩრდილები აღმართულიყვნენ და ნაკაშიძის  
ქედისაკენ იყურებოდნენ. ნაკაშიძის ქედიდან კი სო-

ფელში ნელ-ნელა იღვრებოდა „ქველი შვიდკაცია“, რომელმაც ჭერ ცეცხლის ტყაცანი, მერე ბათუმისაცნობი მიმავალი მანქანებისა და ცაში აჭრილი თვეზმფრინავების ხმაურიც კი დაფარა.

•

როცა მესამე კურსზე გადავედი კონსერვატორიაში, საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს. ბაბუა ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა, შეაწუხა იმიტომ, რომ ფერხდებოდა მთელი რიგი სამუშაო, რომელიც მე და ბაბუამ ჩავითქმირეთ. ბაბუას ამ დროს მძიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, იფიქრა შეიძლება ცოცხალიც ვეღარ დავხვდეო, და ითხოვა, იქნებ რამდენიმე წლით გადაუწიოთ გაწვევაო, მაგრამ წესი წესია და მაინც გამიწვიეს.

გამგზავრების წინ გული არ გამიტეხა და მითხრა: ნუ გეშინია, ბაბუ, მე კარგად ვიქნები, ჩამოხვალ და ჩვენს დაწყებულ მუშაობას დავამთავრებთო.

სანამ სამხედრო სამსახურს მოვიხდიდი, არტემს დრო უქმად არ დაუკარგავს. იგი თბილისში ჩამოდიოდა და კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტში პროფ. გრიგოლ ჩხიფვაძისა და კახი როსებაშვილის დახმარებით ფირზე სწერდა სიმღერებს. ამ უკანასკნელმა შემდეგში პირველმა გამოსცა საგალობლების კრებული, ჩაწერილი არტემ ერქომაიშვილისაგან. ჩაწერა ხდებოდა ორ მაგნიტოფონზე შემდეგნაირად: არტემი იმღერებდა პირველ ხმას, რომელიც იწერებოდა ერთ მაგნიტოფონზე, შემდეგ თავისივე ნამღერს ეუბნებოდა მეორე ხმას და უკვე მეორე მაგნიტოფონზე ორი ხმა იყო ჩაწერილი. ხოლო შემდეგ ამ ორ ხმას ბანს ეუბნებოდა და გამოდიო-

და სამხმიანი სიმღერა ან საგალობელი. ჩაწერის ეს ხერ-  
ხი თვითონ ბაბუამ მოიგონა. ამ ხერხის აუცილებლობა  
იმან მოითხოვა, რომ სიმღერების სხვა მცოდნე არავინ  
იყო, რომელიც ბაბუას დაეხმარებოდა. ასეთი წესით  
არტემმა კონსერვატორის ფოლკლორის კაბინეტისათვის  
ჩაწერა რამდენიმე ასეული საგალობელი.

როცა სამხედრო ვალდებულება მოვიხადე, ბაბუას  
ჯანმრთელობა უკვე გატეხოდა. თბილისში ჩამოვიყვანეთ  
და სამკურნალოდ დავაწვინეთ, მაგრამ ცოტა ხანში მიხ-  
ვდა, რომ გადარჩენის იმედი აღარ იყო და მითხრა: ბაბუ,  
სოფელში წამიყვანეთ, სადაც დავიბადე, იქაური წყალი  
და ჰაერი წამალზე უფრო მომიხდებაო. წავიყვანეთ.  
მღვამარეობა დღითიდლე უარესდებოდა. ერთ დილით  
გაიპარსა და მთხოვა, მისთვის ფოტოსურათი გადამელო.  
თხოვნა შევუსრულე. თუ ცუდი ფოტო გამოვიდეს, არა-  
ვის აჩვენოთ, — მითხრა, — საერთოდ, ცუდი ფოტოები  
არ უნდა შეინახო. ეს ხომ შენი სახეა და ეს სახე მხო-  
ლოდ გალამაზებული უნდა დაუტოვო შთამომავლობა-  
სო, სურათის გადაღების დროსაც ისეთივე სიკოხტავეა  
საჭირო, როგორც საზოგადოებაში გამოსვლის დროს.  
შთამომავლობამ ფოტოთი უნდა გაიცნოს თავისი წინა-  
პარი. ეს ნაცნობობა, უნდა ეცადო, რომ სასიამოვნო  
იყოს და მომავალი თაობა ამაყობდეს თავისი წინაპრის  
როგორც სასახელო საქმეებით, ასევე კარგი გარეგნობი-  
თაცო.

საღამოს ცუდად გახდა. საშინელი ტკივილები სტან-  
გავდა. ითხოვა, ყველა გასულიყო ოთახიდან ჩემს გარდა.  
როცა ყველანი გავიდნენ, მთხოვა მაგნიტოფონი მომე-  
ტანა და მომესმენინებია მისთვის ფირფიტაზე ჩაწერილი  
ძველი სიმღერები, რომელიც მან თვითონ გადაწერა  
4. ა. ერქომაიშვილი

მაგნიტოფირზე ყოველგვარი მოულოდნელობის თავი-  
დან ასაცილებლად.

და როცა გაისმა გიგოსა და გიორგის სხვბირატეჭა  
გაყუჩდა, თვალები მილულა, სახეზე ღიმილი მოეფინა.  
ერთ ადგილას, სადაც ბანის განსაკუთრებული ვარი-  
ანტი იყო ჩაწერილი, ბაბუამ მთხოვა, გააჩერე და ეს  
ადგილი ერთხელ კიდევ მომასმენინეო. თხოვნა შევუს-  
რულე. ნახე, როგორი ბანის ვარიანტი მაქვს ნამლე-  
რი, — მითხრა მან, — მაშინ 19 წლის ვიყავი და გიგო  
და გიორგი თავისითან მამლერებდნენ ტრიოში. აი ეს ვა-  
რიანტი, ბაბუ, არ ჩაგვიწერია და არ დაკარგო. აუცი-  
ლებლად გადაიტანე ნოტებზეო.

შემდეგ მეორე სიმლერა მოისმინა, მესამე და ღვინო  
მომიტანეო, მითხრა. რამდენიმე კოვზი მოსვა, ძალა  
მოიკრიბა და „ბაბუ მე დილამდე ველარ გავატან. მე და  
შენ კიდევ დაგვრჩა გაუკეთებელი ბევრი საქმე და თუ  
რა საქმე იყო ეს, ამას შენზე კარგად ვერავინ ვერ გაი-  
გებს. ახლა მომისმინე, ჩემს ოთახში მეორე მაგნიტო-  
ფონი დევს. იქ უჯრაში ფირებია და ამ ფირებზე ჩემი  
დასასაფლავებელი საგალობელია ჩაწერილი. როცა  
სახლში არავინ იყო, ორი მაგნიტოფონის გამოყენებით  
ჩავწერე მთელი „გლოვის წესი“. ძველი ტრადიციისა-  
მებრ დასაფლავების დღეს ბევრი სტუმარი მოვა და  
მხოლოდ ჩემი ჩამლერებული „გლოვის წესი“ დაუკა-  
რით. თუ „გორდელა“ მიმღერებს საგალობლებს, მაგას  
რალა აჭობებს. ახლა შენ ამას იმიტომ გეუბნები, რომ  
ვიცი, ყველაზე მეტად გამიგებ, რომ არ ვთქვა ახლა, მე-  
რე გვიან იქნება და ველარ ვიტყვი. მე კი არ ვკვდები,  
მივდივარ. მივდივარ და ცოცხალი ვიქნები შენით. შენ  
შეგიძლია მომკლა და შეგიძლია საუკუნეები მაცოცხლო,

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ გურულ სიმღერებს როგორ მოუვლი და შეინახავ. არაფერზე გული არ მწყდება, გარდა იმისა, რომ ის სამი წელი, ჯარში ჩორ ვარარე, რამდენ რამეს მოგცემდა. აფსუს, „შევეცალე და მაინც ვერ დავცალე ჩემი ქონება! ძალიან არ მინდა, მაგრამ მაინც მიმაქვს სიმღიდრე იქ, საიდანაც ვერაფრით დააბრუნებ. არა უშავს, მაინც მოვასწარით რაღაცის გაკეთება. ასე რომ, ჩემს წინაპრებთან პირნათლად მივდივარ.

ამბობენ, მომაკვდავს თავისი ახლობელი მიცვალებულები ელანდებიანო, მე არავინ არ მომლანდებია. მესიერება შემრჩა და შეგიძლია მენდო, რასაც ვამბობ, შეგნებით ვამბობ“. უცებ მან საღვთო სჭულიდან მთელი თავი წაიკითხა რუსულად. მე გაკვირვებული მივჩერებოდი. „გაგიკვირდა განა? ეს პირველ კლასში რომ გვასწავლეს, მერე არ მითქვამს, აგრე 72 წელი გავიდა მას შემდეგ. ხომ გითხარი, მესიერება შემრჩა-მეტქი. ჰო, იმას გეუბნებოდი, გახსოვს, მამაჩემი როგორ კვდებოდა? მაშინ მე და შენ ვიყავით მასთან მარტო ოთახში“. და მე გამახსენდა, თუ როგორ დაემშვიდობა გიგო არტემს, თითქოს საიქიოს კი არა, საღმე უცხო ქვეყანას მიემგზავრებოდა: „მივდივარ, ბიჭო, და თქვენ იცით, სიმღერები შეინახეთ. გვარი არ წაშალოთ“, — ესლა თქვა გიგომ და შემდეგ მოჩვენებები დაწყო.

„გახსოვს, როგორ იმღერა გიგომ ალიფაშა? — დაიწყო ისევ ბაბუამ, — ის მღეროდა და ყურში გიორგი ბაბილონისა და გიორგი იობიშვილის ხმები ესმოდა. თუ დააკვირდი, სიმღერის დროს ვარიანტებიც კი შეცვალა. ასე ჩაჰყავ გიგოს სიმღერის სიყვარული და ასე მიმყება მეც, და იცი, მაინცა და მაინც „ალიფაშა“ რატომ დაი-

წყო? ვიღაცამ თქვა, აჭარაში, სოფელ ქაქუთში ერთი კარგი ახალი სიმღერა სცოდნიათო. გიგომ, წაიყვანა, გიორგი ბაბილონე და გიორგი იობიშვილი და მივთვიდნენ ერთ ქორწილში, როგორც უცხო მგზავრები. მართლაც, ამ ქორწილში იმღერეს უცხო სიმღერა. ეს იყო „ალი-ფაშა“, ყველა თავის ხმას უსმენდა და როცა სიმღერა რამდენიმეჯერ გაიმეორეს, გიგომ და მისმა მეგობრებმა უკვე ზეპირად იცოდნენ. ასე „მოიპარეს“ ალიფაშა აჭარიდან. როგორ შეიცვალა დრო, ახლა სიმღერის „მოიპარვა“ საჭირო აღარაა. პირიქით, ვეხვეწებოდით, თუ კი ვინმე წაიღებდა. შენც ასე მოიქეცი, ვინმესთვის სიმღერის სწავლება არ დაგეზაროს. შენ მარტო არ იქნები, ჯერჯერობით ლადიკო და ნანიო დაგეხმარებიან, მერე შენ თვითონ დაეხმარები სხვას. ბევრი გულშემატკივარი გეყოლება, ხალხი დაგიჭერს მხარს. სიმღერა ხალხის საგანძურია და ხალხი თვითონ არ გაპატიებს მის წახდენას.

შენ მეგობრები გყავს, კარგი მეგობრებიც, ისინი შენი ერთგულნი არიან, ჩვენი სოფლიდან მარტო ნოდარი რაღ ლირს, ლომჯარია, ან გურამი, გენო, გურგენი, მალხაზი და სხვა ბიჭები, შენთან გაზრდილები. ასეთი ხალხი ცოტაა და ნუ დაკარგავ მათ. პირიქით, მეტი მონახე ასეთი ერთგული ბიჭები. საერთოდ თუ კაცთან მეგობრობა გინდა, მასში მხოლოდ კარგი თვისებები უნდა ეძებო.

შენთან ერთად ჩვენი სოფლელები სწავლობენ კონსერვატორიაში: გენო მუჭირი, თამაზ ანდოლულაძე, პადრი. დაეხმარე მათ, როგორც შეგიძლია. ჩვენს სოფელში ნიჭიერი ბავშვები იზრდება, ოდესმე ისინიც გვასახელებენ ჩვენ, წინაპრებს“.

ბაბუას ხმა დაუსუსტდა.

აბა ერთხელ კიდევ მომასმენინე ჩემი ჭინავრებისა  
და ჩემი სიმღერები და მეტს აღარ შეგაწუხებო, —  
ცითხრა. სიმღერის დროს ის დროდადრო შეაქებდა შევ,  
სრულებლებს, თან მეუბნებოდა, აბა ერთხელ კიდევ  
დააკვირდი და ნოტებზე გადაიტანე, ნახე, როგორი ვა-  
რიანტია. შემდევ თანდათან მოუკლო კომენტარებს და  
როცა „ლადიკომ „შავი შაშვი“ დაიწყო, მივხვდი, რომ  
ბაბუას იგი უკვე აღარ ესმოდა.

„შავი შაშვი ჩიო-ოო-და...“ მომესმა ნაცნობი ხმეპი  
და მეც იქითკენ მივაშურე, საიდანაც ეს ხმები მოდიო-  
და. უზარმაზარ დარბაზში ტელევიზორები იდგა. ხალხი  
დიდი ინტერესით უსმენდა ტელევიზორებს და როცა  
სიმღერა დამთავრდა, მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა  
ოვაცია გაუმართა ამ უძველეს ხალხურ სიმღერას და ეის  
შემსრულებლებს — ძმებს: არტემ, ანანია და ვლადიმერ  
ერქომაიშვილებს.

ეს იყო მონრეალში, საერთაშორისო გამოფენის  
დროს საბჭოთა კავშირის პავილიონში, როცა საქართ-  
ველოს კულტურის დღეებს მიეძღვნა სპეციალური გა-  
დაცემა.

იმ დღეებში მრავალი ქვეყნის ტელემაყურებელმა  
მოისმინა ძმები ერქომაიშვილების მიერ შესრულებული  
ხალხური სიმღერები, მოისმინა და ძალიან მოიწონა. ეს  
ამბავი გაიგეს საქართველოში, გაიგო ვლადიმერმა და  
ანანიამ, არ გაუგია მხოლოდ არტემს, მაგრამ მან ხომ  
იცოდა და მტკიცედ სწამდა, რომ ეს სიმღერები სულ  
მალე იქუჩებდა მსოფლიოში.

სიცივემ გამომაფხიზლა მოგონებებიდან. შეუმჩნევ-  
ლად დაღამებულიყო. შაშვს დაემთავრებინა გალობა და  
გაფრენილიყო. საფლავებს დავხედე, უნშოდ დავემშვი-  
ლობე ჩვენებს და გზას ნელი ნაბიჭით გავუყევი სანლი-  
საკენ. მივდიოდი და ყურში მესმოდა ბაბუას ხმა: „უკვ-  
ჯავია ქართული სიმღერა ბაბუ, ხომ გახსოვს ორმენ  
როლანის სიტყვები, ბედნიერია ის კუთხე, სადაც ასეთი  
ხალხი ცხოვრობს, ბედნიერია ის ხალხი, ვისაც ასეთი  
სიმღერები აქვს“.

1975 წ. სექტემბერი.

## ორი ანსამბლის ისტორია

სიძველისაგან გაცვეთილი გრამოფონის ფირფიტიდან ჯერ შრიალი ისმის, შემდეგ კი წყვეტილი ფრაზები: „აბა, ერ...ერ...ერ...“ ვასწორებ მემბრანას და ომახიანი შეძახილი მესმის — „აბა, ერთი ხასანბეგურა, წამოიწყე თუ ძმა ხარ“ — და იწყება „ხასანბეგურა“.

ასეთი ვარიანტი ჯერ არ მომისმენია. მომლერლები ხმაშეწყობილად მღერიან. განსაკუთრებით გამოიჩინა „წვრილის“ შემსრულებელი. მას არაჩვეულებრივად მალალი და საოცარი ტემბრის ხმა აქვს. ტრიოს „გადახახილი“ ცვლის და ჩემს თვალწინ ცოცხლდება დიდი ხნის წინათ ჩაწერილი ხმები, რომლებსაც მომლერლები თავისუფლად „ახვევენ“. სიმღერა კულმინაციას აღწევს. „წვრილის“ შემსრულებელს მალალ რეგისტრში შეწყობილად მისდევენ დამშეცები და ბანი. შემდეგ სიმღერა ნელდება და უჩვეულოდ მთავრდება: — „ვაშა, გიორგი,  
ვაშა“ — აღტაცებას ვერ ფარავს (ჩემთან ერთად) ის, ვინც „ხასანბეგურას“ დაწყება სთხოვა მომლერლებს.

ეს ფირფიტა მეტად სქელი და მოუხეშავია. მასზედ გამოსახულია ანგელოზი, ფირფიტის ნომერი, სიმღერის სახელწოდება, შემსრულებელთა ინიციალები და გვარები: გიორგი ბაბილონე, გიორგი იობიშვილი, გიგო ერქომაიშვილი. თბილისი.

დიდებულად მღერიან. დროთა ვითარებას ვერ წაუშლია მათი ხმის ტემბრი და სილამაზე; თუმცა სიმღერა

ზოგჯერ ძლივს ისმის, მაგრამ საქმის მცოდნე კაცი მაინც ადვილად გაარჩევს იშვიათ ხმებსა და სათცარ ხემუე-  
უბს.

ამ მომლერლების შესახებ ბაბუაჩემი შევრს მიამა აბ-  
და, თუ როგორ ნერგავდნენ, ალამაზებდნენ და ფიტა-  
რებდნენ ისინი გურულ სიმლერებს. მაშინ ჯეროვნად  
ვერ ვაფასებდი იმ სიტყვებისა და სიმლერების მნიშვნე-  
ლობას, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ერთი-ორი ათეული  
წლის შემდეგ ძველი გურული სიმლერები საერთოდ მი-  
ეცემა დავიწყებას და მერე გვიანლა იქნება სინანული  
იმაზე, რომ დროზე ვერ ვუპატრონეთ ხალხის საგან-  
ძურს.

ჩვენდა სასიხარულოდ, ზოგიერთმა ოჯახმა შემოინახა  
გრამოფონის ის ფირფიტები, რომლებზეც ჩაწერილია  
ძველი ხალხური სიმლერები ზემოთ ხსენებული ანსამბ-  
ლის შესრულებით.

ამასთან, აღმოჩნდა სხვა ანსამბლის მიერ ჩაწერილი  
სიმლერებიც, რომლებსაც ასრულებდნენ საქვეყნოდ  
განთქმული გურული მომლერლები: სამეულ ჩავლეიშვი-  
ლი, ვარლამ სიმონიშვილი, ალექსანდრე მახარაძე და ლა-  
დიკო დოლიძე. იგივე ფირმა ქუთაისშიც იწერდა სიმლე-  
რებს.

ეს არის პირველი ფირფიტები, რომლებიც საქართვე-  
ლოში ჩაიწერა. ამიტომ ეს ფირფიტები განსაკუთრებულ  
ყურადღებას იმსახურებს. რამდენიმე წლის წინ აღდვე-  
ნილი იქნა ხუხუნაიშვილების მომლერალთა ჯგუფის  
მიერ ჩაწერილი სიმლერები, რომლებიც ფირმა „მელო-  
დიამ“ გამოსცა. მაგრამ ეს სიმლერები ჩაწერილია მოგ-  
ვიანებით, 1913 წელს.

ჩემს მიერ ნაპოვნ ფირფიტებზე ჩაწერილია ის ანსამ-

ბლებიც, რომლებიც ძირითადად ქალაქურ მუსიკას ას-  
რულებენ და შედარებით სუსტია. ამიტომ, გადავწევი-  
ტე, ამჯერად მხოლოდ ამ ორი ანსამბლის სიმღერები  
აღვადგინო და მათი შემსრულებლები გავაცნო ხალხს.

ჩვენს ოჯახში ბევრი ასეთი ფირფიტა ანახებოდა ა-  
არტემ ერქომაიშვილი მათ სათუთად უვლიდა, თვითო-  
ნაც მუდამ დიდი სიყვარულით ისმენდა და საპატიო  
სტუმარსაც ამ ფირფიტებს ასმენინებდა.

მაშინ ჯეროვნად ვერ ვაფასებდი მათ მნიშვნელობას,  
ახლა კი, როცა მათი შეგროვება და აღდგენა განვიზრა-  
ხე, ჩვენს საოჯახო არქივში მხოლოდ რამდენიმე ცალი  
აღმოჩნდა.

ამ ფირფიტების აღდგენის იდეა მომაწოდა ჩემმა პედა-  
გოგმა პროფ. შალვა ასლანიშვილმა, რომელსაც მოვას-  
მენინე მაგნიტოფირზე გადატანილი რამდენიმე ძველი  
გურული სიმღერა ზემოთ ხსენებული ანსამბლების შეს-  
რულებით. ალფროთოვანებულმა მეცნიერმა მირჩია ამ  
უნიკალური ფირფიტების მოძებნა ოჯახებში, არქივებსა  
და მუზეუმებში, ანსამბლების წევრთა ბიოგრაფიების  
დაზუსტება ნათესავების დახმარებით, ფირფიტებზე  
ჩაწერილი სიმღერების გაშიფრვა და გადატანა სანოტო  
ფურცლებზე, შემსრულებელთა გვარების აღნიშვნა ხმე-  
ბის მიხედვით, ფირფიტების იღდგენა თანამედროვე  
ტექნიკის საშუალებებით და მათი გამოცემა ნოტებთან  
ერთად. თანაც დასძინა: ამ გზით შევადგენთ კრებულს,  
რომელიც ამ ორი ანსამბლის ისტორიასაც გაგვაცნობს  
და ქართველი ერის მუსიკალურ კულტურასაც დიდ სამ-  
სახურს გაუწევსო. მართლაც, ეს იქნება ვალის მოხდა  
გურული ხალხური სიმღერების მოამაგეთა წინაშე, რო-  
მელთა ნამოღვაწარსაც მივიწყება ემუქრება. ასე გაცო-

ცხლდებიან დიდებული სიმღერები და მათი შემსრულებლები, რომლებიც პატიოსნად ემსახურებოდნენ ქართველ ხალხს და, დიდი წინაპრების მსგავსიდ, შემდეგ უკვალოდ ქრებოდნენ.

შ. ასლანიშვილმა სამართლიანად აღნიშნა ისიც, რომ რადგან ჩემი თაობის ხალხურ მომღერლებს მიღებული გვაქვს მუსიკალური განათლება და შესაძლოა, ყური „გაფუჭებულიც გვქონდეს“, ტემპერირებული წყობის ინსტრუმენტების მიერ ჩაწერილი სიმღერები მოსალოდნელია შთამომავლობამ „შეკეთებულად“ მიიჩნიოს და ეკვი შეეპაროს მათ ხალხურობაში. ამისათვის გვესაჭიროება კრებულები, რომლებიც დაადასტურებენ ხალხური სიმღერების სიწმინდესა და ხელშეუხებლობას. მეც სწორედ ამ მიზნით შევუდექი საკმაოდ რთულ საქმეს.

პირველად გურიის სოფლებში, ნაცნობი მომღერლების ოჯახებში დავიწყე ფირფიტების შეგროვება, შემდეგ ტელევიზიით მივმართე მაყურებლებს და მალე მივიღე წერილები, რომლებიც მატყობინებლნენ ასეთი ფირფიტების არსებობას.

ამ ორი ანსამბლის მონიწილეთა ბიოგრაფიების დადგენაში, უპირველეს ყოვლისა, დახმარება ვთხოვე ძველ ხალხურ მომღერლებსა და ლოტბარებს, რომლებსაც კარგად ახსოვთ ანსამბლების გამოსვლები და პირადად იცნობდნენ მათ წევრებს. ასეთები არიან ცნობილი ლოტბარები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ვლადიმერ (ლადიკო) ერქომაიშვილი და ვასილ მახარაძე. ისინიც მეტად დიდი გულისყრით მოეკიდნენ ამ საქმეს.

მახარაძეში შევადგინეთ „ფირფიტების მაძებარი

ჭავჭავი”, რომელშიაც შედიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ცნობილი მომღერალი, კრიმანულის საუკეთესო შემსრულებელი მიხეილ შავიშვილი, მომღერალი და ძველი ჩანაწერების კოლექციონერი ჯგუფი „რაჯუ” მიშვილი, ლადიკო ერქომაიშვილი და ამ სტრიქონებას ავტორი.

ვინაიდან ლადიკო ერქომაიშვილს საუკეთესოდ ახ-სოვს ყველა მომღერალი და ლოტბარი, იცნობს მათ შთა-მომავლებს, ამიტომ მისი ავტორიტეტი და ცოდნა დიდად გვეხმარება ამ რთული საქმის განხორციელებაში. მან მიგვასწავლა ვისთან გვეძებნა ფირფიტები, ფოტოსურა-თები და ვისგან შეგვეგროვებინა ცნობები ძველ მომღე-რალთა შესახებ.

ცნობილი ძველი მომღერლის ნიკოლოზ დოლიძის ვაჟმა ლეომ მამისეული დალუქეული სკივრი გახსნა, რო-მელშიც აღმოჩნდა ერთ-ერთი საუკეთესო ფირმის კარ-გად შენახული გრამოფონი და რამდენიმე ფირფიტა.

განსაკუთრებით სასიხარულო იყო გრამოფონის აღ-მოჩენა, ვინაიდან იგი ფირფიტების აღდგენის იშვიათ საშუალებას წარმოადგენს. ეს ფირფიტები გრამოფონის-თვისაა გამოშეებული და ამ ინსტრუმენტიდან უფრო ! უფთად ჟღერს, ვიდრე თანამედროვე ელექტროსაკრა-ვიდან. ფირფიტები და გრამოფონი ლეო დოლიძემ ლა-დიკო ერქომაიშვილს გადასცა, რითაც უდიდესი სამსა-ხური გაგვიწია.

და აი, ლადიკო ერქომაიშვილთან ერთად შევუდექი მუშაობას, ვინიშნავ მის ყოველ ნამბობსა და კომენტარს სიმღერებისა და მომღერლების შესახებ.

კვლავ ნაცნობი შრიალი და წყვეტილი ფრაზები: გიო...გიო...გიო...გიო...“ ისევ ვასწორებ მემბრანას და

ძლივს ვარჩევ „კონფერანსიეს“ უცნაურ ხმას: „გეორგი ბაბილონევ, ძველი კალოს ხელხვავი ბრძანე ერთა“. ეს ივლიანე კეჭაყმაძეა, — მეუბნება ლადიკო, „ოდელო ღი-ლო-ვო“, — დაიწყო გიორგიმ და „ნა-ნა-საა-ო“ აპუ-ვა პირველი ხმა და ბანი. ჯგუფი ხმაშეწყობილად მღე-რის. მას გიორგი ბაბილონის არაჩვეულებრივად მაღალი და საოცრად ლამაზი ტემპრის „წვრილი“ ამშვენებს, — „ვაშა! გიორგი, ვაშა!“ — სიმღერის დამთავრება გვამცნო ივლიანე კეჭაყმაძემ და ფიქრებში წასულმა ლადიკო ერქომაიშვილმაც დაიწყო:

გიორგი ბაბილონე მამაჩემზე 5 წლით უფროსი იყო. ეს სიმღერები რომ ჩაწერეს, მაშინ იგი 70 წელს გადაცილებული იქნებოდა და ხომ ხედავ, როგორ უცდერდა ხმა. 96 წლისა გარდაიცვალა და ხმა მაშინაც შესანიშნავად ჰქონდა შენახული. იგი დაიბადა 1835 წელს სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთის მაზრა). მამამისი, ზოსიმე, ყმა ყოფილა. ზოსიმეს ისეთი ძლიერი „გამყივანი“ ჰქონია, რომ ნაცნობები ამბობდნენ: „ზოსიმელას იმისთანა ძლიერი გამყივანი აქვს, ქოთანში რომ ჩასძახოს, ქოთანს გახეთქავს“-ო. ზოსიმეს მეუღლე მასული, გორდელაძის ქალი, სოფ. ლიხაურიდან იყო. მასულის მამა ელიზბარ გორდელაძე მაღალი, ლამაზი გარეგნობის კაცი ყოფილა თურმე. იგი ხშირად მოდიოდა მამაჩემთან, გიგო ერქომაიშვილთან, უკვე ღრმად მოხუცებული, და შვილიშვილს, გიორგის ეჭიბრებოდა „გამყივანის“ შესრულებაში. ელიზბარ გორდელაძე ითვლებოდა სიმღერის კარგ მცოდნელ, ჰქონდა შესანიშნავი „გამყივანი“.

ერთი სიტყვით, გიორგი ბაბილონის მშობლები და წინაპრები საუკეთესო მომღერლები იყვნენ როგორც დედის, ისე მამის მხრიდან, გიორგის ამათგან დაჰყვა

მუსიკალური ნიჭი და ლეთისმომადლებული ხმა. გვი  
დლემდე „გამყივანის“ საუკეთესო შემსრულებლად ითვ-  
ლება გურიაში.

სიმღერა გიორგისათვის გართობა კი არა, ცხოვრების  
განუყოფელი ნაწილი იყო. მას სიმღერა ახალგაზრდა  
კაჯის—ვარლამის ტრაგიულად დალუპვის შემდეგაც არ  
შეუწყვეტია, თუმცა იგი ძველი ტრადიციების მიმდევა-  
რი გახლდათ და გლოვაც საკადრისი იცოდა. ჩოცა ვაჟი  
დაასაფლავა, ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემს უთხრა: „ვი-  
გოია, ბიჭო, რომ არ ვიმღერო ამით ვარლამას ვერაფერს  
ვუშველი და სიმღერას კი ვავნებო“ — მაშინ თვი-  
თონ წამოუწყო მამაჩემს სიმღერა. იგი ჩვენი ოჯახის  
წევრად ითვლებოდა (გიორგი დედაჩემის ძმა იყო), ამი-  
ტომ ჩვენ, ბავშვებს, მის გამოჩენას არაფერი გვერჩივნა.  
ერთხელაც არ მახსოვს, ჭიშკართან დაეძახოს, იგი ყო-  
ველთვის სიმღერით შემოდიოდა ეზოში. დიდებული ხმა  
ჰქონდა. პირდაპირ საოცარია მისი ხმის დიაპაზონი. გი-  
ორგის თავისუფლად შეეძლო ემღერა „წვრილი“ უმაღ-  
ლეს რეგისტრში. ხოლო, საჭიროების შემთხვევაში,  
მშვენიერი დაბალი ბანი ჰქონდა“.

როგორც ლადიკო ერქომაიშვილის სიტყვებიდან ირ-  
კევა, გიორგის სიმღერა მამამ და ბაბუა ელიზბარმა ას-  
წავლეს. როცა წამოიზარდა და ოჯახი შექმნა, ახალგა-  
ზრდა მომღერალს — გიგო ერქომაიშვილს დაუახლოვ-  
და. სიმღერის სიყვარულმა ისინი დაამოუკრა (გიგომ გი-  
ორგის და შეირთო ცოლად) და ამის შემდეგ სიკვდი-  
ლამდე აღარ მოშორებიან ერთმანეთს. შემდეგ მათ შე-  
მოუერთდათ გიორგი იობიშვილი და ნანიკო ბურძგლა,  
ხოლო უფრო მოგვიანებით ივლიანე კეჭაყმაძე და ერ-  
მილე მოლარიშვილი. შეამხანაგებული ჯგუფი 1860—70

წლებში რეგულარულად მონაწილეობდა როგორც სადღესასწაულო, ასევე სამგლოვიარო და ყველა საკულტო, საწესჩევეულებო პროცესში. ამიტომ მთელს გურიაში პოპულარული გახდა.

ეკლესიაში მათი მონაწილეობით ჩატარებულ წირვას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. სართოდ, მე-19 საუკუნის ბოლოს, აპოლონ წულაძის აზრით, ეკლესიებში ხალხი გალობის მოსასმენად უფრო დადიოდა, ვიდრე წირვის მოსასმენად“ (აპ. წულაძე „ეთნოგრაფიული გურია“).

„გურიაში ხალხური გუნდები ცნობილია მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან. მაგრამ ისინი როდი წარმოადგენდნენ მჭიდროდ შეკრულ კოლექტივს, ისინი მხოლოდ წლობით თუ არსებობდნენ ან გარკვეული შემთხვევისთვის ყალიბდებოდნენ. ასეთებად მიგვაჩნია: 1) სამუელ ჩავლეიშვილის გუნდი... 2) ერქომაიშვილების ოჯახის გუნდი მოხუცების მონაწილეობით სოფ. მაკვანეთადან, რომელმაც შემდეგში ცნობილი ლოტბარის, ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არტემ ერქომაიშვილის გუნდის ბირთვი შექმნა“<sup>1</sup>.

დიახ, ზემოთ ხსენებული „ერქომაიშვილების ოჯახის გუნდის“ ისტორია იწყება 50—60-იანი წლებიდან, მაგრამ იგი უკვე მჭიდროდ შეკრულ კოლექტივს წარმოადგენდა. ჩაც, პირველ რიგში, სიმღერისადმი უსაზღვრო სიყვარულმა, ანსამბლის წევრთა ნათესაობა-მოყვრობამ და ტერიტორიულმა სიახლოებემ (ისინი მეზობლები იყვნენ) განაპირობა. ეს ჯგუფი შემდგომში დიდი გუნდის

<sup>1</sup> ლ. გეგეპე რ. „ქართული ხალხური სიმღერის ისტატიზი, ნაწ. I, თბილისი, გვ. 59, 1954 წ.

ბირთვი ხდება და მისი ისტორია ძმები ერქომაიშვილების მოღვაწეობით გრძელდება, რომელთაგან ერთ-ერთს, ლადიკოს, ახლაც დიდი წვლილი შეაქვს ქართულთხალა სური მუსიკის განვითარების საქმეში.

რაც შეეხება „ჩავლეიშვილის ჯგუფს“, ის ცოტა მოგვიანებით ჩამოყალიბდა (წევრთა ასაკის გამო) და, ერქომაიშვილების ანსამბლისაგან განსხვავებით, მისი წევრები ტერიტორიულმა სიახლოებები კი არა, სიმღერის დიდმა სიყვარულმა და შესრულების უმაღლესმა დონემ დაახლოვა.

„გიორგი ბაბილონებ და გიგო ერქომაიშვილმა, — ანაგრძო ლადიკომ, — მონაწილეობა მიიღეს არტემ ერქომაიშვილის გუნდში 1927—1929 წლებში გამართულ ოლიმპიადებზე და თავიანთი ხელოვნებით ალტაცებაში მოიყვანეს უიურის წევრები და მსმენელები.

1931 წლის თებერვალში გიორგი ბაბილონებ იმყოფებოდა თბილისში, საღაც მისი გუნდი ამიერკავკასიის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს. მან ურთხელ კიდევ ალაფრთოვანა მაყურებელი თავისი განუმეორებელი სიმღერით, მაგრამ ეს კონცერტი მისთვის საბედისწერო გამოდგა. უკან დაბრუნებისას მატარებელში გაცივდა და რამდენიმე კვირის შემდეგ ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დასაფლავებულია მაკანეთში, ნაკაშიძის ქედის სასაფლაოზე. გიორგი ბაბილონების შვილებიდან ყველაზე კარგად მღეროდა სილევანი, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ მისი შთამომავლობა, სამწუხაროდ, სასიქადულო წინაპრის გზას არ გაჰყოლია.

ამის შემდეგ გრამოფონზე მოვსინგეთ შედარებით პატარა ფირფიტა, რომელზედაც ეწერა „ქრისტეშობის დღესასწაულებში სათქმელი სძლისპირი“. კვლავ მოგვეს-

მა ივლიანე კეჭაყმაძის ხმა: „გიგო ერქომაიშვილო, გალობა თქვი ერთი“ და გაისმა ლამაზი ტემბრის: „შო-პა-ი-ა-ი ა-ა-არს“... მას პირველი ხმით აჲყვა ვითავი ითბი-შვილი, ახალგაზრდა არტემ ერქომაიშვილი კი ამჟერად ბანს მღეროდა. საგალობელი უცხოდ და საინტერესოდ იღერდა, იგი, სამწუხაროდ, ამ უანრის ერთადერთი ნი-მუში აღმოჩნდა ამ ანსამბლის საფირფიტო რეპერტუარ-ში, საგალობლის დამთავრებაც ისევ ივლიანე კეჭაყმაძემ გვამცნო: „ვაშა, გიგო, ვაშა“.

„მამაჩემი, გიგო ერქომაიშვილი, — დაიშუო ლადიკომ, — ამ ანსამბლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სუ-ლისჩამდგმელი და სიმღერების საუკეთესო შემსრულე-ბელი იყო. იგი დაიბადა 1840 წ. ოზურგეთის გაზრის სოფ. აკეთში და მეტად საინტერესო ცხოვრება განვლო. გიგოს მამას, ივანეს, დედ-მამა იდრე დაეხოცა.

პატარა ივანე ყველას ხიბლავდა თავისი „კრიმანჭუ-ლით“. უპატრონოდ დარჩენილი ბიჭი სოფელ ასკანიდან მზითვად გაატანეს ასათიანის ქალს სოფელ აკეთში. იქ ალიზარდა ივანე, დაოჯახდა და სამი ვაჟი შეეძინა: ბეგ-ლარი, მიხეილი და გიგო. ბეგლარი და მიხეილი მალე ჯარდაიცვალნენ სახადით, მათ ივანე და მისი მეულლეც ჩქარა მიჰყვნენ და გიგო უპატრონოდ დარჩა. სოფ. მა-კვანეთში მცხოვრებმა ჯაჭიკი მგელაძემ ითავა თავისი ერთგული ყმის, ივანეს ვაჟის — გიგოს აღზრდა.

გიგოს მამის ნიჭი დაპყვა სიმღერაში და ტოლ-მეგობ-რებში ბადალი არ ჰყავდა. ახალგაზრდა გიგო მოიტაცეს და თურქეთში უნდა გაეყიდათ, მაგრამ პატრონმა დაი-სხნა.

გიგო დავაჟკაცდა, გიორგი ბაბილონძეს დაუმეგობრდა და ცოლად მისი და — ეგვიტი შეირთო. სწორედ აქედან

ჩაეყარა საფუძველი მათ ანსამბლს, რომელსაც ახლა  
კუსმენთ. გიგოს 10 შვილი შეეძინა. ჩვენს ოჯაში ყველა  
მოეროდა, ახლა მარტო მე დავრჩი“-ო, — ჰაინანულით  
დაამთავრა თხრობა ლადიკომ.

„გიგოს წერა-კითხვა ამ სათნო ქალმა, ჭავიკმა, ასწავ-  
ლა. გიგო სოფელში ნასწავლ კაცად ითვლებოდა და დი-  
რი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომ მასთან მნი-  
შვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად ხშირად მო-  
რიოდნენ, ხოლო შემდეგ სოფლის მამასახლისაღაც აირ-  
ჩიეს.

გიგო პატიოსანი კაცი იყო, უყვარდა ოჯახი, მეგობრე-  
ბი და სიმღერა. იგი სიმღერის საუკეთესო მცოდნედ  
ითვლებოდა და დაუზარებლად ასწავლიდა მოყვარულთ.

მე-19 საუკუნის მიწურულს გიგოს ანსამბლი ძალზე  
პოპულარული გახდა. მას იწვევდნენ გურიის სხვადასხვა  
სოფლებში, სადაც მათ გარეშე არც ერთი წვეულება და  
სახალხო დღესასწაული არ ტარდებოდა.

ანსამბლი თბილისს გაემგზავრა, სადაც ერთ თვეზე  
მეტხანს დაჰყო. სწორედ მაშინ ჩაწერეს ეს ფირფიტე-  
ბიო, — დასძინა ლადიკომ და მაჩვენა ოდნავ გაყვითლე-  
ბული ფოტოსურათი, რომელზეც არტემის ხელით ეწე-  
რა ანსამბლის წევრთა გვარები, გადაღების დრო (1907  
წ.) და ადგილი (თბილისი). ანსამბლის წევრებთან ერთად  
იყო მასიკ სალუქვაძე, კაცი, რომელმაც ამ ანსამბლის  
სიმღერებიც ჩაწერინა, მშვენივრადაც უმასპინძლა, მათ-  
თან სამახსოვრო სურათიც გადაიღო და ამით ანსამბლის  
უკვდავსაყოფადაც დიდი საქმე გააკეთა.

გრამოფონზე ფირფიტა გამოვცვალეთ, კვლავ მოგვეს-  
მა: „ აბა, ბიჭებო, ძველი ორიზა, თუ ძმა ხარ“ — „ორი-  
ზაი-ო-ჩე-ჩავ-და“ გაისმა გიორგი იობიშვილის „დამწყ-  
ს. ა. ერქომაიშვილი

ები“, „წვრილი“ გიორგი ბაბილონები უთხრა, ბანი გიგო ერქომაიშვილმა „დააწია“. გიორგი იობიშვილი „დამწყების“ საუცხოო შემსრულებელი იყო. მას სიმღერის თავისებური, ყველასაგან განსხვავებული მანერა, გააჩნდა. აյი ივლიანე კეჭიყმაძები სიმღერის ბოლოს შესძახა: „ვაშა, გიორგი, ვაშა“. (ივლიანე მხოლოდ იმ მომღერლებს აქებს, რომლებიც სიმღერაში წამყვანნი არიან).

„გიორგი იობიშვილი ფრიად წარმოსადევი კაცი გახლდათ. — განაგრძო ლადიკომ, — მისი სიმღერა კარგად მახსოვს, დიდებული მომღერალი და სიმღერის მცოდნე იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა გურული სიმღერების განვითარებაში, გიგოს მარჯვენა ხელი გახლდათ, შრომაში მარჯვე, მტერთან უშიშარი და გაჭირვებულთათვის მოწყალე. ხვალ მაკვანეთში წავალთ. გიორგი იობიშვილის ვაჟის — ტელემაქის ოჯახში და ის გვიამბობს მამამისზე“.

ტელემაქ იობიშვილიც კარგი მომღერალია. იგი ჯერ „მასპინძელსა მხიარულსას“ გვთავაზობს და შემდეგ მამამისზე ხალისით გვიყვება:

„გიორგი როსტომის ძე იობიშვილი დაიბადა 1849 წლის 24 მაისს ოზურგეთის მაზრის სოფ. მაკვანეთში. გურიაში მცხოვრები იობიშვილები წარმოშობით რაჭიდან არიან. გადმოცემით, რამდენიმე საუკუნის წინათ ორი ძმა გამოქცეულა რაჭიდან (ვინაიდან ბატონი მოუკლავთ) და გურიაში სოფ. მიქელ გაბრიელში (ახლანდელი „შრომა“) შეუფარებით თავი. უთროს ძმას იქაური ქალი შეურთავს და იქვე დასახლებულა, უმცროსი კი სოფ. მაკვანეთში კალანდარიშვილის ქალზე დაქორწინებულა.

მაკვანეთელი იობიშვილის შთამომავლები იყვნენ ძმები როსტომ და ოთარ იობიშვილები. ოთარის ვაჟი

ეგნატე იობიშვილი ცნობილი მომღერალი იყო მისი  
შვილები და შვილიშვილები ახლაც ცხოვრობენ მახარა-  
ძესა და მაკვანეთში).

როსტომს შეეძინა 7 შვილი — ორი ქალი და 15 უკა-  
უი, ყველაზე უმცროსი გიორგი იყო.

როსტომი ადრე გარდაიცვალა და მცირეწლოვან გი-  
ორგის მზრუნველობა მისმა ბიძაშვილმა — ეგნატე იობი-  
შვილმა გაუწია. მანვე შეასწავლა გიორგის გურული  
სიმღერები; შესანიშნავი ნიჭისა და ხმის წყალობით ისე  
დაოსტატდა, რომ ეგნატე ამბობდა: „მოწაფემ მაჯობა  
მასწავლებელს“-ო.

გიორგისთან ერთად ეგნატე სიმღერას ასწავლიდა  
თავის დისტულს — ნანიკო ბურძგლას, რომელიც ლანჩ-  
ხუთის სოფ. შუხუთიდან ჩამოიყვანა და თავის ახლოს  
დასახლა. ასე რომ, გიორგიმ და ნანიკომ ერთად შეის-  
წავლეს სიმღერები ეგნატე იობიშვილისაგან.

გიგომ და გიორგიმ ვინმე სიხარულიძის ოჯახში,  
ქორწილში მოუსმინეს პირველად გიორგი იობიშვილსა  
და ნანიკო ბურძგლას, რომლებიც მასწავლებელ ეგნატე  
იობიშვილთან ერთად ტებილად აღილინებდნენ სუფრულ  
სიმღერებს. გიგოს ძალიან მოეწონა ჭაბუკები და გიორგი  
იობიშვილს ხასანბეგურას დაწყება სთხოვა. გიორგიმ გა-  
ბედულად დაიწყო, გიორგი ბაბილონებმ წვრილი „დააწია“,  
გიგომ—ბანი. ახალგაზრდა „დამწყები“ იმდენად განსხვა-  
პებულად და თავისებურად მღეროდა „ხასანბეგურას“,  
ვარიანტებისა და იმპროვიზაციის ისეთი კორიანტელი  
დააყენა, რომ გიგოსა და გიორგის სიფრთხილის გამო-  
ჩენა დასჭირდათ.

სიმღერის შემდეგ მათ აღტაცება ვერ დაფარეს და  
გადაკოცნეს ეს საოცარი ჭაბუკი, ხოლო მის მასწავლე-  
67

ბელს — ეგნატე იობიშვილს მადლობა უთხრეს საეთი  
შესანიშნავი ვარიანტების შესწავლისათვის. ეგნატემ  
გულწრფელად აღიარა, — „ეს ვარიანტები მეტაზოს-  
წავლებია, იგი გიორგის შემოქმედების ნაყოფია“ დასკუ

იმ დღის შემდეგ გიგო ერქომაიშვილი და გიორგი  
ბაბილონე გიორგი იობიშვილის გარეშე აღარ მღეროდ-  
ნენ. ნანიკო ბურძგლაც მათი მუდმივი თანამგზავრი გახ-  
და. ჭერ კიდევ არასრულწლოვანი გიორგი მოხალისედ  
ჩაწერილა არმიაში (რომელსაც მაშინ მილიციას უწო-  
დებდნენ). ეს არმია თურქეთის საზღვარზე მდ. ჩოლოქის  
გასწვრივ იდგა. აქ იგი დაუახლოვდა გურულ მომღერ-  
ლებს და შექმნეს მომღერალთა ჯგუფი. არმიაში გიორ-  
გის უმცროსი ოფიცრის წოდება მისცეს, ხოლო რუსეთ-  
თურქეთის ომის დროს მამაცობისათვის საბრძოლო  
„წმინდა გიორგის სისხლის ჯერით“ დააჯილდოვეს.

შემდეგ გიორგი მაკვანეთში, მამისეულ კარმიდამოში  
დაბრუნდა და ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას, აქ იგი  
დაუახლოვდა გიორგი ბაბილონეს, გიგო ერქომაიშვილს  
და შექმნა გურიაში ცნობილი ერთ-ერთი საუკეთესო  
ტრიო. მალე მათ ნანიკო ბურძგლაც შეუერთდა და ასე  
ჩაეყარა საფუძველი შემდეგში ცნობილ ანსამბლს. გი-  
ორგი სიცოცხლის ბოლომდე მონაწილეობდა ანსამბლის  
ყველა გამოსვლაში.

გიორგი იობიშვილი გარდაიცვალა 1933 წლის თე-  
ბერვალში. დასაფლავებულია სოფ. მაკვანეთში.

ამ ანსამბლის განუყოფელი წევრი იყო ნანიკო ბურძ-  
გლაც, რომლის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მისმა შვი-  
ლიშვილმა შალვა თოიძემ:

„ნანიკო გაბრიელის ძე ბურგლა დაი-  
ბადა 1855 წელს. სოფ. შუხუთში. მშობლები ადრე გარ-  
68

და ცატრონად გამოუჩნდა ბიძა, — ლედის მშა,  
ეგნატე იობიშვილი, რომელმაც იგი ჩამოასახლა სოფ. მა-  
კვანეთში, სადაც ნანიკო დაუახლოვდა გიგო ერქომაი-  
შვილს, გიორგი იობიშვილს და სიკვდილამდევარს მოსცი-  
ლებიან ერთმანეთს, როგორც ალვნიშნეთ, მათ სიხარული-  
ებს ქორწილში გაიცნეს იგი. გიორგი იობიშვილის „გამო-  
ცდის“ შემდეგ მისმა მასწავლებელმა — ეგნატემ „შეიდგა-  
ცა“ წამოიწყო. მას გიორგი ბაბილონძემ და გიგო ერქომაი-  
შვილმა „დაუმშვენეს მხარი“, მაგრამ ტრიო დამთავრდა  
და „გადაძახილში“ „გამყივანის“ შემსრულებელი თით-  
ქოს არავინ ჩანდა. გიორგიმ ამოისუნთქა, შეისვენა და  
ის-ის იყო მოემზადა, სიმღერა „გადაძახილშიაც“ გაე-  
გრძელებინა, რომ გაისმა წერიალა „გამყივანი“ ეს იყო  
ნანიკო ბურძგლა. მშვენიერი ტემბრის ხმამ დიდი სია-  
მოვნება მოჰვეარა იქ მყოფთ, ხოლო გიგომ და გიორგიმ  
შეიძინეს მეორე „გამყივანი“, რომელიც ორპირულ სიმ-  
ღერებში დაეხმარებოდათ. ნანიკო გონებაგამჭრიახი კაცი  
იყო, ამასთან ენაწყლიანი, ხუმირა, მშრომელი გლეხი  
და კარგი მოღერალიც. მას დიდი დიაპაზონის ხმა ჰქონ-  
და და ანსამბლში როგორც პირველ ხმას, ისე „გამყივანს“  
ასრულებდა, რითაც ორპირულ სიმღერებში გიორგი ბა-  
ბილონძეს ენაცვლებოდა, ხოლო გადაძახილში ხშირად  
ბანსაც მღეროდა.

ნანიკო 1922 წელს ყველაზე ადრე გარდაიცვალა. და-  
საფლავებულია სოფ. მაკვანეთში”.

„მისმა მეგობრებმა მეტისმეტად მტკიცნეულად განი-  
ცადეს ნანიკოს დაკარგვა, — ჩაერია საუბარში ლადიკო. ჯერ  
ერთი, იგი ითვლებოდა ოჯახის წევრად და მეგობ-  
რად, და, რაც მთავარია, სიმღერის საუკეთესო შემსრუ-  
ლებლად, ამიტომ ძალიან გაუჭირდათ უიმისოდ.

გიგო ერქომაიშვილი, გიორგი ბაბილონე, გრიშაგი იობიშვილი და ნანიკო ბურძელა, რომლებიც მეზობლებ ცხოვრობდნენ, სულ ერთად იყვნენ. ჭირი და ლხინი მათ განუყოფელი ჰქონდათ. ყანაც საზიაროდ ჰელოთ და ცხვა დია, სულ ერთად მუშაობდნენ. მუშაობისა და შესვენების დროს ან სიმღერებს სწავლობდნენ, ან იმეორებდნენ. ერთხელ თურმე გიგო სურებში ყოფილა წასული რამდენიმე დღით. იქ შეუსწავლია „ზარმელის“ ნადური, რომელსაც „ლურღულიას“ ეძახდნენ. გიგომ ეს ნადური ყანაში მუშაობის დროს ასწავლა ამხანაგებს. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ამ ოთხეულს მარტო ემუშავა. ხალხი ბაბილონის „გამყივანს“ რომ გაიგონებდა, თავიანთ ყანებს ტოვებდა და მომღერლებს უერთდებოდა. თუ სამუშაოს ადრე მორჩიებოდნენ, მეზობელ ყანაში გადავიდოდნენ და იმასაც გათოხნიდნენ, ოლონდ სიმღერა არ შეწყვეტილიყო.

სოფელში მათ დიდად აფასებდნენ. ვინმეს სტუმარი რომ ეწვეოდა, მასპინძელი, თუ ყველას ვერ იპოვნიდა, ერთ-ერთ მათგანს მაინც მოიპატიუებდა, როგორც საპატიო კაცს.

ერთი სიტყვით, მტკიცე მეგობრობა აკავშირებდათ ანსამბლის წევრებს და ამიტომაც განიცადეს ასე მძიმედ ნანიკოს დაყარვება. მაგრამ ნანიკო სიკვდილის შემდეგაც მოზიარედ ითვლებოდა, შემოღვიმაზე მეგობრები თავის წილ მოსავალს მის ოჯახს უყოფდნენ, შემდეგ ნადს იწვევდნენ და ზამთრისათვის შეშას უზიდავდნენ. კალანდაზე კი მის ოჯახში „აგუნას“ დაიძახებდნენ, სადლეგრძელოებსა და სიმღერებს მოჰყვებოდნენ“.

ისევ ვუსმენთ ფირფიტებს: „ე-იდა, ე-იდა“, — ისმის ძველი გურული „მგზავრული“ დოლის თანხლებით. მომ-

ლერალთა შორისაა ერმილე მოლარიშვილი, რომლის შე-  
სახებ ცნობები მისმა შვილებმა თამარ და შალვა მოლა-  
რიშვილებმა მოგვაწოდეს:

„ერმალოზ (ერმილე) მაჭსიმელ ასტაშენ შესაძლებელ  
არიშვილი დაიბადა 1860 წელს ოზურგეთის მაზ-  
რის სოფელ ბოხვაურში. სიმღერები პატარაობიდანვე შე-  
ისწავლა სამუელ ჩავლეიშვილისა და ვარლამ სიმონი-  
შვილისაგან, ხოლო დაოსტატდა გიგო ერქომაიშვილთან.  
რომელმაც ანსამბლში მიიყვანა. ერმილეს თავდავიწყე-  
ბამდე უყვარდა სიმღერა, ჩონგურსა და დოლზე შესანიშ-  
ნავად უკრავდა. ნადურების კარგი მცოდნე იყო, ძლიერი  
ხმა ჰქონდა და კარგადაც ასრულებდა ნადურებში „შემ-  
ხმობარს“. „ერმილეს შეხმობას რომ გევიგონებ, ერთი-  
ორად მემატება ძალა“-ო, უთქვამს გიორგი ბაბილონეს.

ერმილე მოლარიშვილი თვითონაც ასწავლიდა სიმღე-  
რებს. და ყოველთვის გამართული გუნდები ჰყავდა, რომ-  
ლებიც დიდი წარმატებით გამოდიოდნენ მთელს გურია-  
ში.

ერმილე მოლარიშვილი გარდაიცვალა 1950 წელს.  
დაკრძალულია სოფ. ბოხვაურში“.

ანსამბლის სული და გული ყოფილა ივლიანე  
ყაფლანის ძე კეჭაყ მაძე, არაჩეულებრივი  
იუმორით დაჯილდოებული, სიმღერის ჩინებული მცოდ-  
ნე, ყველა ხმის შემსრულებელი, ყველა კარგი ლონისძიე-  
ბის წამომწყები, ხალისიანი და უცვლელი „კონფერან-  
სიე“. იგი დაიბადა 1845 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ.  
კვირიკეთში. დაამთავრა სოფლის სამრევლო სკოლა და  
შეუდგა სიმღერების შესწავლას, რომლისადმი დიდი სი-  
ყვარული პატარაობიდანვე გამოამჟღავნა. სიმღერის სი-  
ყვარულმა იგი გიგო ერქომაიშვილთან მიიყვანა. გიგოსა

და გიორგი ბაბილონეს ძალიან მოეწონათ ეს მხიარული ახალგაზრდა, რომელიც პირდაპირ „სულში უკვირებოდა ყველას“, დამეგობრდნენ და სიკვდილამდე აღარ დაშორებიან ერთმანეთს.

„ბაბუაჩემი, — იგონებს ივლიანეს შვილიშვილი სე-ვერიან კეჭაყმაძე, — სოფლის მეურნეობას მისდევდა, გლეხიყაცი იყო, მაგრამ გამჭრიახი გონება და მახვილი ენა ჰქონდა. ხალხი მას რიდითა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. სოფელ შემოქმედის მამასახლისად აირჩიეს. ბავშვებს პატარაობიდანვე გვინერგავდა სიმღერის სიყვარულს. შვილებსა და შვილიშვილებს ხშირად გვიან ლამემდე გვამეცადინებდა. ოჯახური ანსამბლიც კი შექმნა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

აპოლონ წულაძემ და ივლიანემ თავისი ანსამბლის დახმარებით „გურული დატირება“ და „ზარი“ ჩააწერინეს მწერალ შალვა დადიანს.

ივლიანე კეჭაყმაძე გარდაიცვალა 1947 წლის ოქტომბერში, მის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო და, ტრადიციისამებრ, ძველმა მომღერლებმა „ზარით“ დაიტირეს. ვერ დაიტირა მხოლოდ გიგომ, რომელიც თვითონ სიკვდილის პირას იყო და არც შეატყობინეს მისთვის საყვარელი ივლიანეს დაკარგვა. ივლიანეს გამოსათხოვარი ლექსი მიუძღვნა არტემ ერქომაიშვილმა. შემდეგ, მანვე ვ. სიმონიშვილთან და დიმიტრი პატარავასთან ერთად „ზარით“ გააცილა მისი ცხედარი. ივლიანე დასაფლავებულია სოფ. კვირიკეთის სასაფლაოზე“.

ანსამბლში ყველაზე ახალგაზრდები იყვნენ ლუკა თოიძე და არტემ ერქომაიშვილი.

„ლ უ კ ა თ ო ი ძ ე — იგონებს ლადიკო ერქომაიშვილი, — კარგი მომღერალი და წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო.

იგი დაიბადა 1883 წელს ლატაკი გლეხის ივანე თორმის  
ოჯახში. უსახსრობის გამო სკოლაში არ უსწავლია. მას  
ბავშვობიდანვე კარგი მუსიკალური მონაცემები აღმო-  
აჩნდა. სიმღერის სიყვარულმა იგი გიგო ერქომაიშვილ-  
თან მიიყვანა. გიგომ სიმღერები შეასწავლა ლუკას, რო-  
მელიც შემდეგ დაუმოყვრდა (ცოლად მისი ქალიშვილი  
ანეტა შეირთო) და სამუდამოდ დაუკავშირდა ერქომაი-  
შვილების ოჯახს.

ლუკა თავის შვილებსაც უნერგავდა სიმღერის სიყვა-  
რულს. მან შესანიშნავი ოჯახური გუნდი ჩამოაყალიბა.  
სუფრაზე სიმღერის დაწყებას იშვიათად მოასწრებდა  
ვინმე. ამასთან იგი იყო განთქმული თამადა, ოჯახური  
ტრადიციების დიდი მცოდნე და მიმღევარი, სოფელში  
კუასაყითხავი კაცი, ყველა სადაც საქმის მომრიგებე-  
ლი, ნაღის დროს კარგი „შემხმობარი“, სიმღერასა და  
შრომაში დაუღალავი, კარგი ხელოსანი და ხურო.  
„ლუკა შემხმობარია და შემხმობარივით სწორი ხეების  
გამოთლა იცის“—ო, — ხუმრობით იტყოდა ხოლმე ივ-  
ლიანე კეჭიყმაძე. ლუკა კარგა ხანს მუშაობდა მწყემსად.  
კარგი ცხენოსანიც გახლდათ და მთელი დასავლეთ  
საქართველო მოვლილი ჰქონდა. ყველგან სიკეთესა და  
სიმღერას თესავდა. თავისუფალ დროს ან თვითონ სწავ-  
ლობდა სიმღერას, ან სხვას ასწავლიდა.

ლუკა თოიძე გარდაიცვალა 1961 წ. მის დაკრძალვაზე  
მოვიდნენ ძველი თაობიდან შემორჩენილი მომღერლები,  
რომლებმაც ძველი მომღერლის პატივსაცემად „გლოვის  
წესი“ შეასრულეს. მათ შორის იყვნენ: არტემ, ანანია და  
ლადიკო ერქომაიშვილები, ილარიონ სიხარულიძე, დო-  
მენტი ქარჩავა, ვარლამ ვაშალომიძე, ძმები აროშიძეები  
და სხვები“.

გრამოფონზე ახმიანდა „ჩვენ მშვიდობა“. „დაკვირვილი ბანის შემსრულებელს“, — მითხრა ლ. ერქომაცვერლმა, სიმღერა გიორგი იობიშვილმა დაიწყო, მოძახილი ვიგომ უთხრა და მათ ლაპაზი ტემბრის მქუხირე ბანი ავტვა. „ეს არტემია, — თქვა მან — მათ შორის იგი ყველაზე ახალგაზრდა იყო, შემდეგში მანვე განავითარა გურული სიმღერებისა და ამ ანსამბლის ტრადიციები. ანსამბლი იმ დიდი გუნდის ბირთვად იქცა, რომელმაც ფართო აღიარება ჰპოვა.

არტემ ერქომაიშვილი დაიბადა 1887 წლის 24 ოქტომბერს სოფელ მაკვანეთში. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სკოლა და ოჯახის ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო. არტემს აღრიდანვე გამოაჩნდა არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები (აბსოლუტური სმენა და მეხსიერება. მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში კამერტონი არ უხმარია) და ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა ყველა გურული ხალხური სიმღერა, რომელიც გიგო ერქომაიშვილის ოჯახში ესმოდა. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ მამამისი გიგო და ბიძა გიორგი ბაბილონე.

ახალგაზრდა არტემი გაიცნო იმ დროს ცნობილმა მგალობელმა მელქისედეგ ნაკაშიძემ. იგი აღტაცებაში მოიყვანა არტემის ხმამ, მუსიკალურმა მონაცემებმა და ვიგოს სთხოვა ყმაწვილი მისთვის მიებარებინა გალობის შესასწავლად.

არტემი გულმოლგინედ შეუდგა ნაკაშიძესთან მეცადინეობას და სამი წლის განმავლობაში მისგან 2000-მდე საგალობელი შეისწავლა.

თავის წერილში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2 აპრილი, 1954 წ.) არტემი წერს

„1911 წელს გამავზავნეს სიმღერა-გალობის მასწავლებლად სენაკის მაზრაში (ახლანდელი ცხაკაიძის რაიონი) იქ დავყავი 1917 წლამდე. შემდეგ გადმოვედი გურიაში და დავიწყე სიმღერის მასწავლებლობა“.

სამეგრელოდან დაბრუნების შემდეგ მამამ მას მიანდო თავისი ანსამბლის ლოტბარობა, რომელსაც არტემი 1925 წლამდე ხელმძღვანელობდა.

1925 წელს ბათუმში სანაპიროს მტვირთავმა მუშებმა არტემი გუნდის ლოტბარად მიიწვიეს. შემდეგში ეს გუნდი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოხუცები: გიგო, გორგი და თავისი ძმები, ერთ-ერთი მოწინავე გახდა.

ლ. გეგეჭკორი თავის ნაშრომში „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (გვ. 74) წერს: „1927 წ. ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, ცირკის შენობაში, გაიმართა გუნდების შეჯიბრება — მხატვრული თვითმოქმედების პირველი ოლიმპიადა; საქართველოს გუნდების ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბათუმის მტვირთავთა გუნდიც არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ხალხური სიმღერის სწორად გადმოცემამ და ოსტატურად შესრულებამ ეს გუნდი მოწინავეთა რიგებში დააყენა. გუნდს ერგო პირველი ჯილდო და ფულადი საჩუქარი. შეჯიბრების უიურის მონაწილემ კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, განსაკუთრებით აღნიშნა ამ გუნდის მიღწევები.

1929 წ. გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს II ოლიმპიადაში, სადაც პირველი ჯილდო დაიმსახურა. დეკემბერში, სხვა გუნდებთან ერთად, ბათუმის გუნდიც იქნა მიწვეული ლენინგრადში. იქ პროფესორმა კუშნარიოვმა აღტაცება გამოთქვა ქართული სიმღერის გამო...

გურულ სიმღერებს მსმენელები და განსაკუთრებით

მუსიკოსები განცვიფრებაში მოჰყავდა. გასაკვირიც არ არის, ისეთი დახელოვნებული ოსტატის ხელში, როგორ რიც არტემ ერქომაიშვილია, გურული კილოები რომ ზედმიწევნით კარგად იყო გადმოცემული.

ამის შემდეგ გუნდი მოსკოვს ეწვია და იქ მოავალი კონცერტი გამართა. მოსკოვიდან ხარკოვში გამოიარა და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ 1930 წლის თებერვალში საქართველოში დაბრუნდა.

ამავე წლიდან გუნდი ბათუმის ქალაქის საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. 1934 წ. არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით გუნდი მონაწილეობდა სიმღერისა და ცეკვის ამიერკავკასიის მესამე ოლიმპიადაში, სადაც სიმღერის შესანიშნავი შესრულებისათვის მაღალი შეფასება მიიღო, 1935 წ. მონაწილეობდა რადიოფესტივალის საკავშირო გადაცემაში, სადაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. და ამავე წელს კონცერტებით საქართველოს სხვადასხვა რაიონები შემოიარა.

1936 წლიდან ამ გუნდს „აჭარის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი ეწოდა. იგი 1937 წ. წარსდგა მე-4 და 1938 წ. მე-5 რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, სადაც რწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1940 წლის ზაფხულში გუნდმა კონცერტები გამართა თბილისში, გორში, ბორჯომში, ხაშურში, აბაშაში, ზესტაფონში, ცხაკაიაში, სოხუმში, კიათურასა და წყალტუბოში. ხალხი ყველგან აღტაცებით ხვდებოდა გუნდის კამოსვლებს.

ომის მძიმე წლებში არტემ ერქომაიშვილი თავისი გუნდით უსასყიდლოდ მართავდა კონცერტებს როგორც სამხედრო ნაწილებში, ისევე პოსპიტლებსა და სხვაგან, რისთვისაც დიდ მაღლობას იმსახურებდა.

აშარის სიმღერისა და ცეკვის გაერთიანებულ გუნდი არემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით უდიდესი არმატება ხვდა წილად მე-6 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე 1949 წ. გუნდი მაყურებელთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგა, რომელიც სსრ კავშირის სახალხო არტისტმა — რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა დადგა. გერთიანებულ გუნდში მონაწილეობდნენ ბათუმის, ქორის, ხულოს, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (ქორეოგრაფი ალექსანდრე ჭიჭეიშვილი).

უარლამ სიმონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, არემ ერქომაიშვილს იშვევენ მახარაძის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელად. ეს ანსამბლი 1951 წ. მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ბრწყინვალეთ გამოვიდა და უმაღლესი შეტასება დაიმსახურა. (ანსამბლის ქორეოგრაფი ხელ. ლამს. მოლვაწე გიორგი სალუქვაძე).

არტემ ერქომაიშვილი ცნობილია როგორც თვითმოქმედი კომპოზიტორიც. მისი სიმღერები ისეა გაუღენთილი გურული კოლორიტით, რომ იგი ხალხურ სიმღერებში გაითქვითა და რჩეული გურული სიმღერების გვერდით დგას. ასეთებია: „პატარა ქართველი“, „ჩემი ბედი“ (სახუმარო), „სხვადასხვაგვარი სიყვარული“, „სიმღერა სამშობლოზე“, „მუშის სიმღერა“, „სიმღერა გურიაზე“ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არტემ ერქომაიშვილის ღვაწლი ძველი სიმღერებისა და საგალობლების აღდგენა-ჩაწერაში. იგი შემაერთებელი ხიდი აღმოჩნდა ძველსა და ახალ თაობებს შორის. მან, როგორც საგალობლების უკინასკუნელმა მცოდნემ, პროფ. გრიგოლ ჩხიფვაძესა და

კაზი როსებაშვილს კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტში ჩააწერინა რამდენიმე ასეული სიმღერისა და საგალობლის დღემდე უცნობი ვარიანტის მა უკანასკნელმა არტემისეული საგალობლების ორი ჭრვბული გამოსცა უკვე.

1951 წ. არტემ ერქომაიშვილს მიენიჭა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

იგი გარდაიცვალა 1967 წლის 2 თებერვალს. დასაფლავებას (გაასეუნეს მახარაძის სახელმწიფო თეატრიდან) დიდძალი ხალხი დაესწრო. დასაფლავებაზე ტრადიციისამებრ შესრულდა სამგლოვიარო საგალობლები ძველი მომღერლებისა და ანსამბლ „გორდელას“ შესრულებით.

დასაფლავებულია სოფ. მაკვანეთში თავისი საყვარელი მომღერლების გიგოს, გიორგისა და ლუკას გვერდით.

„ფირფიტების მაძებართა ჯგუფი“ მანქანით ნელა მიუყვება აღმართს ზემო აკეთისკენ. მანქანაში სამნავისხედით: რეზო რამიშვილი (მძღოლი), მიხეილ შავრშვილი და მე. რომ არ მოგვეწყინა, რეზო გურულ სიმღერებს გვთავაზობდა და დროდადრო მიხეილი იგონებდა ეპიზოდებს ძველი გურული მომღერლების ცხოვრებიდან. გზიდაგზა ვეწვიეთ სხვა სოფლებსაც — აკეთს, ატანას, ძიმითს, ლანჩხუთს, საღაც მიხეილ მორჩილადე მოვინახულეთ.

მიხეილი ცნობილი მომღერლის — ილიკო მორჩილაძის ვაჟია. მიხეილის დედამ, ქალბატონმა ლიდამ, ჩვენი სტუმრობის მიზეზი რომ შეიტყო, სინანულით თქვა „კაი ხანია, ნენა, აქანე გურული სიმღერა არ გამიგონია, — აღრე, ვინც მომღერალი იყო, ყველა ჩვენთან

მეიურიდა თავს. ჩემს ილიკოსთან მოდიოდნენ ჩოხატაუ-  
რიდან და ოზურგეთიდანაც კი: სიმონიშვილი, ბერძენი-  
შვილი, ჩავლეიშვილები, ერქომაიშვილები ჯარსახები.  
სამევიდოდნენ და დარჩებოდნენ ჩვენთან პირადენიმე  
დღეს. რამდენჯერ თავზე დაგვთენებია სიმღერაში ისე,  
რომ ვერც შეგვიტყვია. ჩემი ილიკო თავისი გუნდის წევ-  
რებს მეიუვანდა და იყო ერთი შეჯიბრი“ — ეს, რა ხალ-  
ხი და სიმღერები მახსოვს, — ამოიოხრა ილიკო მორჩი-  
ლაძის მეულლემ და თან რაღაც ფუთა მომაწოდა.

ფუთაში ილიკოს ხელით დაწერილი სიმღერების  
რეპსტები, საკუთარი ლექსები და ფოტოსურათები აღ-  
მოჩნდა. ფოტოებიდან ძველი მომღერლები გვიმჩერდ-  
ნენ, ერთ-ერთ ფოტოზე კი სრულიად ახალგაზრდა, დღეს  
უკვე სახელოვანი კომპოზიტორი შალვა მშველიძე იყო  
აღბეჭდილი, რომელიც ფილფონოგრაფით ილიკო მორ-  
ჩილაძისა და მისი გგუფის წევრებისაგან სიმღერებს  
იწერდა.

გადავათვალიერე ილიკო მორჩილაძის ხელით დაწე-  
რილი მისი სასიმღერო რეპერტუარი, რომელსაც ასეთი  
სათაურები აქვს: „კირკანტელი“, „ჩამირუუებული“ და  
„ფიგურიანი სამი კაცის ხმი“.

ქალბატონმა ლიდამ გადმოგვცა ეს ძვირფასი ჩანაწე-  
რები და თან სუფსაში ივანე ჩხაიძესთან გაგვგზავნა:  
იმასაც ექნება რამე.

სუფსაში უმალვე მიგვასწავლეს ივანე ჩხაიძის ადგილ-  
სამყოფელი.

ვნაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა ჩვენი მასპინძელი:  
„96 წლის გავხდი ივნისში. ათასი ამბის მომსწრე ვარ.  
კდო უკეთესს მოვესწრები, თვალს არ მაკლია და ყურს,

მარა იმისთანა სიმღერებს, ბაბუაშენ არტემთან რომ  
მიმღერია, ვეღარ მოვესწრები.

ვისთან არ მიმღერია; ბესონია ინწყირველთან, ალექ-  
სანდრე გახარაძესთან, ვარლამ სიმონეშვილთან, ფლია-  
ხომერიკთან, ლადიკო ლოლიძესთან, ლადიმე ბერძენი-  
შვილთან, რუბენა ვასაძესთან, ილიკო მორჩილაძესთან,  
გიორგი ბაბილონძესთან, გიგო ერქომაიშვილთან, ილა-  
რიონ ჩავლეიშვილთან და სამუელ ჩავლეიშვილთანაც კა-  
მიმღერია. იცით, სამუელი ვინ იყო? — არ იცით: გური-  
ის ბულბული, მაქთერი პირველი ხმა არ დაბადებული  
აქედან რომ ხმას ამოუშვებდა (საჩვენებელი თითი დათ-  
დო ყელზე) გეგონებოდა ხრინწიანი ხმა აქვსო, მარა  
ბაგეს რომ გამოცდებოდა მისი ხმა, თაფლი, შაქარი და  
კამფეტი რომ აურიო ერთმანეთში, იმნაირი ხმა ჰქონდა  
მაგის დაღლა არ იყო. სამი დღე ჭეიფით და სიმღერით  
გადაუბია ერთმანეთზე, ხმას ბზარიც არ დატყობია, სიბ-  
ლერას ორჯერ ერთნიარაღ არ გეიმეორებდა. როცა სხვა  
შეასწავლიდა თავის ხმას, მოსწავლის გასაკირველი  
თითონ სულ სხვანაირად იმღერებდა მერე. ავად რომ გა-  
და, სანახავად მივედით; მე, ვარლამი, სამველა ჩხივე  
შვილი, გალაკტიონ თალაკვიძე, აკაკი ბასილაშვილი, გიგ-  
მგელაძე და ნიკიფორე ჩავლეიშვილი. სამუელმა სუფ-  
რასთან მისვლა მოითხოვა. შევასრულეთ. დაჯდა ჩვენთა  
ეს მომაკვდავი კაცი. ახალუხის გახსნილი საყელო შეიქ-  
რა, სუფრაზე არ იკადრა ისე დაჯდომა, თითონ წამოგვა-  
წყო სიმღერები. ხმა ისე უელერდა, როგორც ახალგაზ-  
დას, გაიხარა და გაგვახარა, ბევრი სიმღერა იმღერა, და-  
ლამდე არ გაგვიშვა. იმის მერე ცოცხალი აღარ გვინახავ-  
თავისივე ეზოში დაასაფლავეს. სამი დღის შემდეგ ავა-

დით საფლავზე და ვუმღერეთ ცრემლნარევი ხმებით, მე  
ლაგვიბარა სამუელმა.

ახლა მე თქვენ გაგატინთ ფირფიტას, სამუელის ნაშე-  
ლერს. თქვენ იცით, როგორ გაუფრთხილდებით. თუ გაა-  
ცოცხლებთ იმ ხალხს, ამას რაღა სჭობია, ისინი მარადაუ-  
ლი სიცოცხლის ლირსნი არიან. სამუელ ჩავლეიშვილის  
შესახებ სხვა ცნობებს მისი შეილიშვილი, დავითი მოგა-  
წვდით“.

შემდეგ ვეწვიეთ დავით ჩავლეიშვილს, რომელმაც  
კვიამბო:

„სამუელ დავითი ს ძე ჩავლეიშვილი  
დაიბადა 1857 წელს ასკანის თემის სოფელ ოქროსქედში.  
სამუელის მამა — დავითი თავად მაქსიმელაშვილის ყმა  
ყოფილა.

სამუელ ჩავლეიშვილმა ასკანის ორკლასიანი სკოლა  
დამთავრა, მაგრამ უსახსრობის გამო სწავლა ვეღარ  
გაავრძელა.

თავადი სამუელ მაქსიმელაშვილი სიმღერის დიდი  
მოყვარული და მცოდნე ყოფილი. მისი ოჯახი წარმოად-  
გენდა ერთგვარ მუსიკალურ სალონს, სადაც თავს იყრა-  
ღნენ სიმღერის მცოდნენიცა და მოსწავლეებიც. სამუე-  
ლი თუ ვინმეში მუსიკალურ ნიჭს იღმოაჩენდა, ჯერ თვი-  
ოთნ ამეცალინებდა უფასოდ, შემდეგ თავის მეგობარს,  
ცნობილ მგალობელ-მომღერალს, დათა გუგუნავას უვ-  
ზავნიდა „დასაოსტატებლად“. დათა „თამარიანის“ გამ-  
ღექსავის — სიმონ გუგუნავას მამა იყო (1800—1880).

სამუელ ჩავლეიშვილმა ჯერ მაქსიმელაშვილის ოჯახში  
შეისწავლა სიმღერები, მერე დათა გუგუნავასთან შეი-  
ოვისა სიმღერა-საგალობლები, შემდეგ ცნობილ მგალო-  
ბელ ანტონ დუმბაძესთან განავრით დაოსტატება.

შესანიშნავმა ნიკეთი და ხმამ სამუელს სახელი ვაუ-  
თქვა მთელს გურიაში. სამუელი გაეცნო იმ დროს ცნო-  
ბილ მომლერლებს, რომლებიც მიიყვანდ მდექსიმელაშვილ



სამუელ ჩავლეიშვილი

ლის ოჯახში, საღაც საფუძველი ჩაეყარა მომავალ ვო-  
კალურ ჭგუფს.

ჩოხატაურის რაიონულ გაზეთში ("კომუნიზმის გან-  
თიაღი", 1968 წ., 1 თებერვალი) ვკითხულობთ: „მან

(სამუელმა) მაქსიმელაშვილის ოჯახში შეიყვანა საუკუთხოსო მომლერლები: ბესო ინწკირველი, ილარიონ ჩავლეიშვილი და ილიკო დოლიძე, რომლებიც სამუელის ჟელმძლვანელობით იშვიათი ოსტატობით ასრულებდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს. შემდეგ ამ ჯგუფს შემოუერთდნენ მომლერლები სამუელ ჩხიფვიშვილი და ალექსანდრე მახარაძე.

1906 წელს ამ გუნდმა ჭიათურაში მუშების სასარგებლოდ კონცერტი გამართა. 1913 წელს მონაწილეობა მიიღო ვაჟა-ფშაველას საღამოზე, ხოლო 1914 წელს ქუთაისში აკაკის იუბილეზე“.

გაზეთში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მოვიანებით მათ შეუერთდა ახალგაზრდა მომლერალი ვარლამ სიმონიშვილი და რომ ეს ჯგუფი 1908 წ. მიწვეულიქნა ქუთაისში ფირფიტებზე სიმღერების ჩასაწერად.

ანსამბლი ქუთაისში ასეთი შემაღენლობით ჩავიდა: სამუელ ჩავლეიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, ვარლამ სიმონიშვილი, ლადიკო დოლიძე, სამუელ ჩხიფვიშვილი და ბესო ინწკირველი. ილარიონ ჩავლეიშვილმა ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა სიმღერების ჩაწერაში. მოგვიანებით ამ ანსამბლმა კიდევ ჩაწერა სიმღერები.

ლ. გეგეტკორი თავის შრომაში „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (გვ. 59) წერს:

„გურიაში ხალხური გუნდები ცნობილია XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან.“

ასეთებად მიგვაჩნია: 1) სამუელ ჩავლეიშვილის გუნდი, სადაც ხალხური სიმღერის ამ დიდ ოსტატთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი ხალხური მომლერლები: ნიუა ლომინაძე, ერმილე სიხარულიძე,

ვლადიმერ ბერძენიშვილი, ბესო ინწყირველი, ილიქონ ნინიძე, ბებურ ჩხაიძე, დათა მამაკაიშვილი, ვახტანგ სიხარულიძე და სხვ. მოგვიანებით ვ. სიმონიშვილი „არა მარტინ გარებულის ცის გამოსახულის გადასაცემი“.

აქ ლაპარაკია არა იმ ჯგუფზე, რომელმაც ფრინფარტებზე ჩაწერა სიმღერები, არამედ იმ გუნდზე, რომელიც სამუელ ჩავლეიშვილმა ჩამოაყალიბა 1917 წელს ნოე სიხარულიძისა და კოტე ფოცხვერაშვილის თაოსნობით, თორემ იგი 50-იან წლებში ვერ შეიქმნებოდა, ვინაიდან ყველაზე უფროსი, სამუელი, დაიბადა 1857 წელს.

სამუელ ჩავლეიშვილი ახალგაზრდებს ასწავლიდა სიმღერას. მასთან ოჯახში თვეობით რჩებოდნენ ლადიმე ბერძენიშვილი, კალისტო რამიშვილი, ვახტანგ სიხარულიძე, თალაკვაძე, აკაკი ბასილაშვილი და სხვები.

ვასილ მახარაძის აზრით „სამუელ ჩავლეიშვილმა ვადატრიალება მოახდინა გურულ სიმღერაში. ყოველგვარ მანამდე არსებულ სასიმღერო კანონებს გადაუხვია და შემოილო ე. წ. თავისუფალი სიმღერა. განვითარების უმაღლეს დონეზე იყვანა პირველი ხმა (სხვა ხმას იგი არ იმღერებდა), მის მიერ დამუშავებული ვარიანტები მისაბაძი იყო ყველა გურული მომღერლისთვის. ამიტომ ყველა სამუელს ბაძავდა, ხოლო თვითონ სამუელი ახალ ვარიანტებს იგონებდა. ერთ წვეულებაში სუფრული სიმღერა „წამოკრული“ 50-ჯერ გაუმეორებია და სულ სხვადასხვანაირად უთქვამს. ჩვეულებრივ ხმა ოდნავ ხრინ-წიანი ჰქონდა, მაგრამ როცა სიმღერას დაიწყებდა, ყველას აჯადოებდა შესრულების ოსტატობითა და განუმეორებელი ტემბრით. ამიტომ მას გურიის ბულბული შეარწევს და იგი დღემდე რჩება, როგორც პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი“.

1927 წელს ქართველმა საზოგადოებამ სამუელ ჩავ-

ლეიშვილს იუბილე გადაუხადა თბილისში, რუსთაველის  
სახელობის სახელმწიფო თეატრში.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: კომპოზიტორ-  
მა კოტე ფოცხვერაშვილმა, მართ თარხნიშვილმა და  
სხვებმა. იუბილეზე მონაწილეობა მიიღო ვარლამ სიმონი-  
შვილის გუნდმა.

სამადლობელი სამუელს სიმღერით უთქვამს. უმღე-  
რია „ალითაშა“, „ხასანბეგურა“, „ჰა დილა“ და ბოლოს  
ჩონგურზე დაუმღერებია „შავი შაშვი“ (იგი ჩონგურზე  
სიმღერების უბადლა შემსრულებელი იყო), რითაც სა-  
ზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია და სცენიდან ხელში  
აყვანილი გაუყვანიათ.

ამის შემდეგ ს. ჩავლეიშვილს იუბილე გადაუხადეს  
ოზურგეთში (მახარაძე), სადაც არტემ ერქომიაშვილისა  
და ვარლამ სიმონიშვილის გუნდები მონაწილეობდნენ.

სამუელ ჩავლეიშვილი გარდაიცვალა 1932 წლის 2  
მაისს. ჯერ საკუთარ ეზოში დაასაფლავეს, შემდეგ კი გად-  
მოასვენეს ქ. მახარაძეში.

ცნობილი მომღერლის, გურული სიმღერის დიდი  
მცოდნის — ილარიონ ჩავლეიშვილის — შესახებ ცნო-  
ჟები მოგვაწოდა სამუელის შვილიშვილმა დავითმა და  
ამავე დროს ვისარგებლე ვ. შილაკაძის ნაშრომით „ხალ-  
ხური მუსიკის მოამაგენი“ (გვ. 46), სადაც წერია:

ი ლ ა რ ი ო ნ      გ ი ო რ გ ი ს      დ ე      ჩ ა ვ ლ ე ი შ ვ ი-  
ლ ი (სამუელის ბიძაშვილი) დაიბადა 1857 წ. სოფელ  
ოქროსქედში.

მან საქმაო განათლება მიიღო და, როგორც საყურად-  
ლებო ცნობებიდან ჩანს, მწიგნობარი, მოლექსე და პოე-  
ზიის კარგი მცოდნე ყოფილა, ამბობენ, „ვეფხისტყაო-  
სანი“ და „თამარიანი“ ზეპირად იცოდაო, გარდა ამისა,

ილარიონს კალამიც უჭრიდა და მაშინდელ პრესაში თავის მოსაზრებებს აქვეყნებდა ქართული ხალხური სიმღერის მდგომარეობის შესახებ.

1917 წლის 10 მარტი  
საქართველოს მთავრობის მიერ განცხადება



ილარიონ ჩავლეიშვილი

რაც შეეხება მის მუსიკალურ აღზრდას, იგი ბავშვობიდანვე დაკავშირებია სამუელს და მასთან ერთად უსწავლია სიმღერები ჭერ მაქსიმელაშვილთან, შემდეგ დათა გუგუნავასთან.

ილარიონი ბანის უბადლო შემსრულებელი იყო. მის მიერ დამუშავებული ბანის ვარიინტები დღემდე საუკეთესოდ ითვლება, მას თვითონ ხავერდოვანები წევ ჯერა ნია და სიმღერასაც დაუზარებლად ასწავლადას ჩამოვთქმულ ჯურიაში, ისე იმერეთში. ძველი მომღერლების აზრით, უცელა ცნობილმა მომღერალმა (ბანის მთქმელმა) სიმღერა ილარიონისაგან ისწვლა, ხოლო სამუელ ჩხიფვიშვილის გადმოცემით, ვარლამ სიმონიშვილსაც კი ილარიონისაგან გადმოულია ბანის ვარიინტები.

სამწუხაროდ, ილარიონ ჩავლეიშვილის ხმა ფირფიტაზე არ ჩაწერილა, მაგრამ ხალხში დღემდე ცოცხლობს ამ შესანიშნავი მომღერლის სასიმღერო თვისებები.

ილარიონ ჩავლეიშვილის მოღვაწეობა მციდროდაა დაკავშირებული სამუელ ჩავლეიშვილთან. გურიაში სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილების სასიმღერო მოღვაწეობა ჩავლეიშვილების სკოლად არის ორიარებული.

ილარიონ ჩავლეიშვილი გარდაიცვალა 1938 წელს.

„გურული ხალხური საგუნდო საქმის ერთ-ერთი ბურგი ვარ ლამ ოქრო პირის ძე სიმონიშვილი დაიბადა გურიაში, სოფ. შემოქმედში, მეტად ლარიბი დედ-მამის ოჯახში, 1884 წელს.

მშობლებს შეილისადმი ყურადღება არ მოუკლიათ, მიუბარებიათ შემოქმედის ორელასიან სასწავლებელში, რომელიც მას წარჩინებით დაუმთავრებია 1896 წელს. 12 წლის ჭიბუქს დიდი სურვილი პქონია სწავლის გაგრძელებისა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ მოუხერხდია.

სიმღერა-ვალობა მისთვის იმ დროის ცნობილ მგალობელს ანტონ დუმბაძეს უსწავლებია. ოთხი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ვარლამი სიმღერა-ვალობას და

17—18 წლის ახალგაზრდას შემდეგ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ნიშნავენ გალობის მასწავლებლად. იგი პარალელურად მასწავლებლობს გურიის სხვა.



ვარლამ სიმონიშვილი.

დასხვა სოფლებში, კერძოდ, შემოქმედის, გონების კარასა და უჩხობის სამრეცლო სკოლებში.

პირველი ჯგუფი ვ. სიმონიშვილმა ჩამოყალიბდა 1903 წ. 15 ქაცის შემადგენლობით, იგი ხშირად ვამორა-ოდა ოზურგეთის თეატრში“.

ვ. შილაკაძე თავის ხაშრომში „ქართული სალიკონი სიმღერის შესწავლისათვის“ აღნიშნავს:

„1906 წ. ვ. სიმონიშვილმა ჩამოყალიბა გურულ-აჭა-რული გუნდი. ამ გუნდში 7 ქობულეთელი მონაწილეობდა, რომელთაც ისწავლეს რა სიმონიშვილისაგან აჭა-რულ-გურული კილოები, შემდეგში ვამოიყენეს იგი და აჭარაში გაავრცელეს ეს სიმღერები“...

1900 წლიდან ვ. სიმონიშვილი გაეცნო და შეუამხა-ნაგდა იმ დროისათვის უკვე ცნობილ მომღერალს ს. ჩავ-ლეიშვილს და მის ჯგუფთან ერთად მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებებში. ტრიო — ს. ჩავლეიშვილი, ა. მახარაძე, ვ. სიმონიშვილი — დღემდე ითვლება გუ-რული სიმღერის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. სწორედ ეს ტრიო იქცა ღერძად იმ პატარა ჯგუფისა, რომელმაც ქუთაისში ჩაწერა სიმღერები ფირფიტებზე.

1910 წ. ვ. სიმონიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალგაზრდათა გურული გუნდი, რომელიც გურულ-აჭა-რულ მომღერალთა გუნდს შეუერთდა.

ვ. სიმონიშვილი თავისი გუნდით წლების მანძილზე მონაწილეობდა საქველმოქმედო მიზნით გამართულ კონ-ცერტებში.

1927 წ. მისი გუნდი სუმბათაშვილ-იუეინის სალამოზე მიიწვიეს მოსკოვში, რისთვისაც მადლობა ვამოეცხადა. ხოლო 1935 წ. დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში საბჭოების მე-7 ყრილობაზე.

1927 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ვ. სიმონიშვი-ლი თავისი გუნდით მონაწილეობდა რესპუბლიკაში გა-

მართულ ყველა თლიმპიადაზე, სადაც ყოველთვის შავალ  
შეფასებას იმსახურებდა.

აღსანიშნავია ვ. სიმონიშვილის პედაგოგურული მოღვა-  
წეობა. მან აღზარდა მთელი თაობა გურული მომღერა-  
ბისა, რომლებიც დღესაც წარმატებით მუშაობენ.

ცნობილი ლოტბარის ორტემ ერქომაიშვილის აზრით,  
ვარლამ სიმონიშვილმა, ბრწყინვილე ლოტბარმა და შემ-  
სრულებელმა, დიდი როლი შეასრულა გურული ხალხუ-  
რი სიმღერების განვითარებაში. მან შექმნა ამა თუ იმ სიმ-  
ღერის ცალკეულ ხმათა ვარიანტები, ვარლამს საკუთარი  
სიმღერებიც აქვს, ზოგი მათგანი საუკეთესო გურულ  
სიმღერადაა მიჩნეული.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. სიმო-  
ნიშვილს მიენიჭა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული  
მოღვაწის წოდება.

ვ. სიმონიშვილი გარდაიცვალა 1950 წლის 23 მარტს  
ოზურგეთში. დასაფლავებულია შემოქმედის ისტორიუ-  
ლი მონასტრის ეზოში. მისი მასწავლებლის ანტონ და  
დავით დუმბაძეების საფლავებიც იქვეა.

სამუელ თარხანის ძე ჩხიკვაშვილი  
დაიბადა 1874 წლის 10. ნოემბერს (ძვ. სტილით) სოფ-  
ფიაბზუში (ოზურგეთის მაზრა). სიმღერები მას მამამ  
შეასწავლა.

ს. ჩხიკვიშვილი მიაბარეს ოზურგეთის სამოქალაქო  
ოთხელასიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ  
სწავლა აღარ გაუგრძელებია.

17 წლის სამუელი, მამამ მაქსიმელაშვილის ოჯახში  
მიაბარა, სადაც ვ წლის მანძილზე ხალხურ სიმღერებს  
სწავლობდა.

ს. ჩხიკვიშვილი გაეცნო სამუელ ჩავლეიშვილს, რო-

მელსაც მოეწონა ახალგაზრდა „დამწყები“ და თავის  
ჯგუფში მიიწვია.

1921 წლიდან იგი მონაწილეობდა ვ. სიმონიშვილის აკადემიუმი  
მიერ ჩამოყალიბებულ გუნდში.



### სამუხლ ჩხიფვიშვილი

ს. ჩხიფვიშვილს არ ჰყოლია თავისი გუნდი, მაგრამ  
ჰყავდა ანსამბლები, რომლებიც წარმატებით მოღვაწე-  
ობდნენ.

ს. ჩხიფვიშვილი კარგი „დამწყები“ იყო და, ს. ჩავლე-

იშვილის გადმოცემით, ხშირად ცვლიდა მას, ხოლო ორ-პირულ სიმღერებში ერთ მხარეს ჩავლეიშვილი მღეროდა, მეორე მხარეს — ჩხიფვიშვილი.

ივი გარდაიცვალა 1969 წ. დაკრძალულიაქ. მახარაძეში.

ქველი ფირფიტების ძებნა-ძიებამ სოფელ ფამფალეთ შიც მიგვიყვანა ლადიმე მდინარაძესთან. ბუნებრივია, საუბარი სიმღერის ირგველივ გაიმართა.

„ტელევიზიაში მოგისმინეთ, თურმე ფირფიტებს აგროვებთ, კაი საქმეა ქველ მომღერლებს თუ გააცოცხლებთ, მაგანე მეტი მადლი რა იქნება. ამისთანა ხალხი დასაკარგავი არაა. აგერ 84 წლის კაცი ვარ და იმისთანა სიმღერა, სამუელი და მისი ჭგუფი რომ მღეროდა, არ მახსოვს, ან კიდევ ბაბილონე და ერქომაიშვილი. რა ამები ჰქონდათ! როგორ მღეროდნენ! სიმღერა ბავშვობიდან მიყვარდა, მარა მაგენმა ნამეტანი შემაყვარეს. მე, პირადად, ბესონია ინწკირველმა მასწავლა სიმღერა, ეკერ ციოვრობდა! იმ მეოთხე მოსახლის იქეთ. მასწავლა და ოცა მასთან მამღერა, ჩემზე ბეღნიერი კაცი ქვეყანაზე არ მეგულებოდა.

ერთხელ ალექსანდრე მახარაძე და სამუელ ჩავლეიშვილი ეწვია ბესო ინწკირველს, ბესომ მეზობლები დაუპატივა, მეც ვიყავი მათ შორის, მარა ხმის ამოღებს როგორ გავძედავდი, ისე ასრულებდნენ სიმღერებს. „შემდეგ, როცა შეხსურდნენ, „ლადიმე, ერთი ხელხვავი დაგვიწყეო“, — ბესონიამ გადმომძახა. მე ხმის კანკალით დავიწყე, მერე გავთამამდი და რიხიანად ჩივამთავრე სიმღერა. შემაქეს, გამეხარდა. აბა სიმღერა, იმას ქვია. იგენი რომ მღეროდნენ, თვარა ახლა რომ ზოგიერთი „წეიკნავლებს“ ტელევიზორში და კაცი ჰგონია თავი,

გასე კი არაა თლათ. გუშლამ (10 წლის წინათ) გუნდებს-  
ხელმძღვანელი დაგვინიშნეს კოლმეურნეობაში, დაგვა-  
წყო ვინცხა კომპოზიტორის სიმღერის სწავლება, მე უკა-  
თხარი — ერთი ჩემი ბიძიე თუ ხარ, „ჩეენ მშეირობაზე“  
მოძახილი მითხარი-მეთქი, არ ვიციო, მაშინ „მე რუს-  
თველი“ ვიმღეროთ-მეთქი, არც ეგ ვიციო, მაშინ „წამო-  
კრული“ მაინც დაგვიწყე-მეთქი, — მაგენის ნოტები არ  
მაქვსო, მითხრა. აბა, ბიძია, ნოტები ჩვენ არ ვიცით და  
სიმღერა შენ არ გცოდნია, დაგვანებე თავი, ტყუილად  
ნუ გვაწვალებ, აგერ, აი, სამი ბერიკაცი ორ-სამ თავ გუ-  
რულ სიმღერას ურეპეტიციოდ გიმღერებთ, თუ დაგვირ-  
ღება-მეთქი.

ასეა, ბიძია, რაცხა ორი თავი სიმღერა ვიცოდი, იგიც  
დამავიწყდა. მომხმარე არავინ მყავს და მარტო კაცი  
კურულ სიმღერაში ცოდვაა. დავდებ აგერ ამ „პლასტინ-  
კებს“ და ვუსმენ ჩვენი ძველების ნამღერს, ხანდახან  
ხმასაც ქე ვაყოლებ. ამ რამდენიმე ფირფიტას გაგატანთ,  
მარა რომ იღადგენთ, მერე უკან დამიბრუნეთ. ამით ვიქ-  
უვთ თავს. ბალნებზე მინდოდა მესწავლებია სიმღერები,  
მარა არ გამოვიდა, ტელევიზორმა „გაუფუჭა ყური“,  
კასში სიმღერას ვინც ასწავლის, იმან თითონ არ იცის  
იმღერა (ჩვენი გუნდის ხელმძღვანელის არ იყოს). აგერ  
ურთხე წელია ბალნას „ჭრელო პეპელას“ მეტი ვერა-  
უერი ასწავლეს. ჩემი აზრით, ბავშვს სულ პატარაობი-  
რინვე უნდა ჩაუნერგონ სიმღერის სიყვარული, თორემ  
მერე ძნელი იქნება. სკოლაში თუ არ მიაჩვიეს ბავშვები  
ხალხურ სიმღერას, გადავგვარდებით, გადავგიშდებით  
და მერე ჩვენი ბავშვები მამის მაგივრად მამინაცვალს  
დაიფიცებენ. კაია სხვისი სიმღერებიც, მარა ჭერ შენი  
ჭეთხის უნდა იცოდე. რამდენიმე ათეული წელი გავა და

გურიაში გურულ სიმღერას ვეღარ გაიგონები. კიდევ კაი, მაგ ფირფიტებს თუ გააკეთებთ, შთამომავლობას მაინც დარჩება, თუ რანაირი მომღერალი წინაპრები ჰყავდათ და რა სიმღერებს მღეროდნენ“.

თქვა ლადიმერ და ელექტროსაკრავი ჩართო.

„ჩვენ მშვი-ი-დო-ბა“ — გაისმა ჩავლეიშვილის, მახა-რაძისა და სიმონიშვილის ხმები.

„აქედან რომ წახვალთ ცხემლისხიდზე გაიარეთ ბუ-კი ხომერიკისას, შეიძლება იმას ჰქონდეს რომელიმე „პლასტინკა“ — თქვა ლადიმერ, შემდეგ სახლში შევიდა, რამდენიმე ფოტოსურათი და რამდენიმე ძველი გაზეთი გამოიტანა.

ყურადღება მივაქციე გაზეთში, „ლენინის დროშაში“ (14 დეკემბერი, 1971 წ.) გამოქვეყნებულ წერილს: „ხალხური ჰანგების ოსტატი“.

„იმათ შორის, რომლებიც გულმოდგინედ და უანგა-როდ ემსახურებოდნენ ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის დაცვა-განვითარების საქმეს, გარკვეული აღგილი უკავია ბესარიონ გიორგის ბე ინ-წკირველს.

სოფელ ფამთალეთის მკვიდრი ბ. ინწკირველი დაიბადა 1850 წ. თავისი მშვენიერი ხმით ყურადღება მიიქცია. ქართული ხალხური სიმღერები დამოუკიდებ-ლად შეისწავლა“.

„შემდეგ სიმღერა სამუელ მაქსიმელაშვილს უსწავ-ლებია, შემაწყვეტინა ლადიმერ. სიმღერა-გალობაში და-და გუგუნავასთან დაოსტატებულა, მაქსიმელაშვილთან გაუცვნია სამუელ და ილარიონ ჩავლეიშვილები, ალექ-სანდრე მახარაძე, ვარლამ სიმონიშვილი და ლადიმე-

დოლიძე. შეუკრავთ ჯგუფი და აპა ბატონი, ამ ჯგუფის  
სიმღერებია. იგერ ჩაწერილი რომაა".

„ბესარიონი ხელოსანი კაცი, ხარაზი იყო, — გავაგრძელ  
ქლე კითხვა, — და მომღერლობა მას ძირითად პროფესია".



ბესარიონ იაშვილი

სიად არ გაუხდია" ... „1913 წელს მან თავის ჯგუფთან  
ერთად მონაწილეობა მიიღო თბილისში, ვაჟა-ფშაველას

საიუბილეო საღამოზე, 1914 წ. ქუთაისში აკაკის იუბილეზე, 1915 წ. ბათუმში გამართულ „ნინობის“ დო-სასწაულზე, 1917 წელს თბილისის სახაზისა თეატრში გამართულ დიდ კონცერტში“. 1927 წელს მოსკოვში ალ. სუმბათაშვილ-იუეინის იუბილეზე და სხვ.“

„პირველად რომ ბესონიეს ხმაი გაუგონია, სამუელს უთქვამს: „აი, კაცი სანამ ვიმღერებ, ჩემს გვერდით უნდა იყოსო“, „აფი არ მოსცილებია კიდეც — სიკვდილამდე ემსახურა მასთან ერთად ამ საყვარელ საქმეს“, — ჩაურ-თო ისევ ლადიმებ.

გარდა ამისა, ბესო ინწყირველმა ბევრი მომღერალი აღზარდა და გურული სიმღერა შეასწავლა. მის მიერ და-მუშავებული და შექმნილი სიმღერის ვარიანტები დღე-საც დიდი მოწონებით სარგებლობს გურულ მომღერალ-თა შორის.

ბესო ინწყირველი გარდაიცვალა 1939 წელს.

საღამოს კოტე პაპავას ჭიშკარს მივადეჭით. კოტე პა-პავა ვარლამ სიმონიშვილის მოწაფე. კარგი მომღერალი და ენამოსწრებული კაცია.

კოტემ ორი ფირფიტა გამოიტანა, ერთს „ხასანბეგუ-რა“ ეწერა, ასრულებენ: ბაბილონე, იობიშვილი, ერქო-მაიშვილი, მეორე მხარეს, მათივე ანსამბლის შესრულე-ბით, „ნადური“ (საჯავახურა) იყო ჩაწერილი.

მეორე ფირფიტაზე „ჩვენ მშვიდობა“ და „გაყოფილი ხელხვავი“ ეწერა, ასრულებენ: ს. ჩივლერშვილი, ვ. სი-მონიშვილი, ა. მახარაძე, ლ. დოლიძე.

შემდეგ წავედით სოფელ წითელმთაში, სადაც ვარ-ლამ სიმონიშვილის მეორე მოწაფე, ძველი გურული სიმ-ღერების შესანიშნავი მცოდნე, მწიგნობარი და პედაგო-გი, აღმზრდელი და მასწავლებელი, შესანიშნავი ბანის,

პატრონი, მართალი და პატიოსანი კაცი შერმადინ ჭკუა-  
სელი ცხოვრობს. აი, რა გვიამბო მან:

„ჩვენ, ბავშვები რომ ვიყავით, იქედან ვსწავლობდეთ და  
ა სიმღერებს. სხვა მაშინ ყურში არაფერი გვესმოდა და  
ასლაუნებურად ვითვისებდით გაგონილს, თანაც მომღე-  
რალს დიდი დაფასება ჰქონდა. ახლა ჩვენს ბავშვებს ეს-  
მით გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მაშინ, რადიოთი,  
ტელევიზიით, მაგრამ ყველაზე ცოტა ესმით ხალხური  
სიმღერა. თუ შეგიძლიათ, დასვით საკითხი, რომ დროზე  
უშველონ ამ საქმეს, თორემ მალე ყველაფერი წაიშლე-  
ბა და მერე ერი არ გაპატიებს ამისთანა სიმღიდრის და-  
რგვას“.

ვასილ მახარაძის ოჯახში თვალისჩინივით  
უფრთხილდებიან ძველ ფირფიტებს. აქ მოისმენთ თითქ-  
მის ყველა ძველი მომღერლის ხმასა და სიმღერის ნების-  
მიერ ვარიანტს. ყველა ვარიანტი იცის ვასილ მახარაძემ.

ფირფიტებს შორისაა გიგო ერქომაიშვილის ანსამბ-  
ლის სიმღერები „ელესა“, „ხბოს ლექსი“, „ძველი ფერ-  
ხული“, „მაყრული“. ეს ფირფიტა ისეთ ოჯახში ვიპოვე,  
რადაც ათეული წლები იდო და არავის დაუკრავს. მე  
უწორედ იმ დროს მივუსწარი შემთხვევით, როცა სახლს  
ალაგებდნენ და ამ „ძველი ხარახურის“ გადაყრას აპი-  
რებდნენ. ავარჩიე ეს ფირფიტები და წამოვიღე, რითაც  
ახალგაზრდა დიასახლისი განცვიფრებული დავტოვე, ---  
უქვა ვასომ და ფირფიტა ელექტროსაკრავზე დადო.

„მელქისედეგ მახარაძის ხელხვავი ბრძანეთ ერთი,  
შელქისედეგ მახარაძის“, — გაისმა ფირფიტიდან ივლი  
ანეს ხმა და გიგომაც არ დააყოვნა „ჰა-დი-ლაა დააა...“

— ბატონო ვასო, „ჰადილას“ რატომ უწოდებენ ხან  
7. ა. ერქომაიშვილი


„გაყოფილ ხელხვავს“, ხან კიდევ „მელქისედეგ მახარაძის ხელხვავს?“ — ვეკითხები მე.

„მელქისედეგ მახარაძე აზნაური ყოფილა, სოფ—ბახვიდან. შეურთავს წერეთლის ქალი. ადრე გურიაში ქორწილი ერთდღიანი ან ერთღამიანი იცოდნენ, მაგრამ მელქისედეგი თავისი მაყრიონით გადაუპატიჟნიათ მეზობელ სოფელში ნათესავებსა და მეგობრებს. მაყრებს თან ახლდნენ თურმე იმ დროს სახელგანთქმული მომლერლებიც. ჭორწილი ერთ კვირას გაგრძელებულა. ალბათ, წარმოიდგინეთ, რამდენი სიმლერა იმლერებოდა ამ ერთი კვირის განმავლობაში. როცა მეშვიდე დღე ვათენდა, მომლერლებს შეუთხზავთ ახალი სიმლერა მეფედედოფლის პატივსაცემად და ეზოში შეუსრულებიათ „ჰა დილა“. ამის შემდეგ ამ სიმლერას ხან „ჰა დილას“, ეძახიან, ხან კიდევ „მელქისედეგ მახარაძის ხელხვავს“. „გაყოფილ ხელხვავს“ კი იმიტომ უწოდებენ, რომ სიმლერის მეორე ნაწილი „კალოს ხელხვავის“ მეორე ნაწილს ჰგავს. ამ სიმლერებს ჰგავს „ალიფაშაც“, რომელიც ცოტა მოგვიანებით შეიქმნა, აღრე რომ შექმნილიყო, ერთ-ერთი ანსამბლი აუცილებლად ჩაწერდა ფირფიტაზე. ამ სიმლერების სიმოკლისა და მსგავსების გამო „ჰა დილა“ და „ალიფაშა“ ხშირად ერთად იმლერება, როგორც ერთი სიმლერა, „ჰა დილა-ალიფაშას“ სახელწოდებით“, — გაგეიმარტა ვასომ.

„ჰა დილას“ ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა ალექსანდრე მახარაძე, თქვა ვასომ და „ჰა დილა“ დაღო ჩავლეიმშვილის ჯგუფის შესრულებით. სიმლერის ბოლოს ვარლამ სიმონიშვილის ხმა გაისმა: „ვაშა მახარაძე“.

„ალექსანდრე მახარაძე გურიაში აღიარებულია არა

მარტო „ჰა დილას“, არამედ როგორც კრიმანჭულის ხაურ  
კეთესო შემსრულებელიც. იგი ჩემი მასწავლებელი იყო.  
მშვიდი, მშრომელი, პატიოსანი და სიმღერის მოყვარული,  
ასეთი მახსოვეს მე ალექსანდრე მახარაძე“ — თქვა  
ვასილმა, — სამწუხაროდ, მისი ფოტოსურათი აქ არა  
მაქვს, მაგრამ ჩვენ ახლა წავალთ მისი ქალიშვილების  
ოჯახში, საღაც სურათებსაც მოგვცემენ და ბიოგრაფიულ  
ცნობებსაც მოგვაწვდიან“.



დგანან, მარცხნიდან: ალექსანდრე მახარაძე, ლადიკო დოლაძე,  
სხედან, სამუელ ჩავლეიშვილი, ვართამ სიმონიშვილი 1908 წ.

„მამაჩემი, ალექსანდრე მახარაძე, დაიბადა 1873  
წელს, საკმაოდ შეძლებული აზნაურის ოსტომე მახარა-  
ძის ოჯახში, — გვიყვება ქალბატონი ლუდმილა.

როცა წამოიზარდა, სამუელმა იგი მაქსიმელაშვილის  
ოჯახში მიიყვანა. იქ გაეცნო ალექსანდრე მაშინდელ  
ცნობილ მომღერლებს, აქვე დაოსტატდა, მერე კი სამუ-  
ელმა იგი თავის ჯგუფში ჩარიცხა.

როცა დაოსტატდა, ალექსანდრემ სიმღერის გიტავ-  
ლებლობა დაიწყო ჩიბათში, ჩოხხათში, ჩოხატაურისა და  
გურიის სხვა სოფლებში.

1907 წელს ალექსანდრემ მონაწილეობა მიიღო ქუთა-  
ისში სიმღერების ფირფიტებზე ჩაწერაში.

1909 წელს იგი ეცნობა ცნობილ ლოტბარს აქვსენტი  
მეგრელიძეს და მასთან ერთად თანამშრომლობს. აქვსენ-  
ტი მეგრელიძემ, ომელიც მაშინ ფოთში მუშაობდა,  
ალექსანდრე გააცნო ფოთის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლა-  
ძეს, რომლის ინიციატივით ალექსანდრე მახარაძემ პორტ-  
ში მტვირთავ მუშათა გუნდი ჩამოაყალიბა. მასში მონა-  
წილეობდნენ მისი ყოფილი გუნდების საუკეთესო მომ-  
ჯერლები.

1914 წელს ალექსანდრე საცხოვრებლად თბილისში  
გადადის და მუშაობას იწყებს რკინიგზაში, აქვე აყალი-  
ბებს გუნდს, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ცნო-  
ბილი მომღერლები: ერმალო სიხარულიძე, მიშა და ევ-  
გენი კოროშინაძეები, ლადიმე ბერძენიშვილი, თეოფილე  
ლომთათიძე, სიმონ მეგრელიშვილი, ძმები ვასილ და  
ლევან მახარაძეები და სხვები. ა. მახარაძე რადიოკო-  
მატეტის გუნდის ხელმძღვანელად მიიწვიეს, ამ გუნდში  
მან რკინიგზის გუნდის საუკეთესო მომღერლები მიიყ-  
ვანა.

1929 წლიდან ალექსანდრე მახარაძე სარეწაო კოოპე-  
რაციის გუნდს ხელმძღვანელობს. მონაწილეობს მეორე  
რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც მისი გუნდი მაღალ  
შეფასებას იღებს.

1927 წ. ალ. მახარაძემ სხვებთან ერთად მონაწილე-  
ობა მიიღო სუმბათაშვილ-იუჟინის საიუბილეო სალა-  
მოზე.

ალექსანდრე მახარაძე გარდაიცვალა 1933 წლის 30 აპ-  
რილს. დასაფლავებულია თბილისში კუკიის სასაფლაოზე.

გურიაში ცნობილი ბანი ლადიკო (ჭრადიმერი) გიორგის ძე დოლიძე დაიბადა 1858 წლის 1 აპრილი. გეთის მაზრის სოფ. ასკანაში საქმაოდ შეძლებული გლე-  
ხის ოჯახში.

მშობლებმა თავიდანვე იზრუნეს მის სწავლა-განათ-  
ლებაზე. ჯერ სოფლის სკოლა დაუმთავრებია, შემდევ  
ოზურგეთში მიუბარებიათ სწავლის გასაგრძელებლას.

მაქსიმელაშვილის ოჯახში დაოსტატდა ლადიკო, ლამა-  
ზი ტემბრის ბანი ჩამოუყალიბდა, სამუელ და ილარიონ  
ჩავლეიშვილებს დაუახლოვდა. შემდევ მათ შემოუერთ-  
დათ: ვ. სიმონიშვილი, ბ. ინწკირველი, ალ. მახარაძე,  
ს. ჩხიცვიშვილი და თანდათან ეს ჯგუფი დიდად პოპულა-  
რული ხდება.

ლ. დოლიძემ ცოლად შეირთო ჰელიძის ქალი (სოფ.  
ფამფალეთიძან), რომელიც ბესო ინწკირველის მეზობ-  
ლად ცხოვრობდა. ამიტომ ლადიკო ბესოს ოჯახის  
ხშირი სტუმარი იყო.

ლადიკო დოლიძე ცნობილია როგორც შესანიშნავი  
„ბანის მთქმელი“ და სიმღერის კარგი მასწავლებელი.  
მან ბევრ ახალგაზრდას შეასწავლა გურული სიმღერები.

სამუელ ჩავლეიშვილთან ერთად იგი თითქმის ყველა  
ღონისძიებაში მონაწილეობდა, ფირფიტაზეც ჩაწერა  
სიმღერები, რითაც მისი ხმა საუკუნოდ აღიძეს სხვა  
მომღერლებთან ერთად.

იგი გარდაიცვალა 1921 წ. დასაფლავებულია სოფ.  
ასკანაში.

ლადიკო დოლიძის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს  
მისმა ნათესავებმა ლეონიდე დოლიძემ და მეგობარმა ვე-

რასიმე ჩიტაიშვილმა, რომელსაც არაერთხელ უძღებია  
მასთან.

გურიაში ძველი გურული სიმღერების და ჭრილებულის  
შემსრულებელი ანსამბლებისა და მათი წევრების შესა-  
ხებ მრავალი ფირფიტა და მასალა შეგროვდა.

გ. ერქომაიშვილის ანსამბლში მღეროდნენ: გიორგი  
ბაბილონე (გამყივანი), გიორგი იობიშვილი (დამწყები),  
არტემ ერქომაიშვილი (ბანი), ნანიკო ბურძელა (გამყი-  
ვანი და პირველი ხმა გადაძახილში), ივლიანე კეჭაყმაძე  
(გამყივანი, პირველი ხმა, ხანდახან ბანი და სიმღერების  
ჯამომცხადებელი), ერმილე მოლარიშვილი (შემხმობარი  
ნადურებში, ბანი გადაძახილში და ლოლზე დამკვრელი),  
ლუკა თოიძე (შემხმობარი გადაძახილში, პირველი ხმა და  
ხანდახან ბანიც), თვითონ გიგო ერქომაიშვილი ძირითა-  
დიდ დამწყებისა და ბანის პარტიის ასრულებს ტრიოში.

მეორე ანსამბლის წევრები იყვნენ: სამუელ ჩავლეი-  
შვილი (დამწყები, პირველი ხმა), ალექსანდრე მანარაძე  
(კრიმანჭული, მოძახილი), ვარლამ სიმონიშვილი (ბანი),  
ლადიკო დოლიძე (ბანი), ბესო ინწურველი (დამწყები)  
და ილარიონ ჩავლეიშვილი (ბანი).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გურიაში ბევრი  
საუკეთესო მომღერალი და მომღერალთა ჯგუფი არსე-  
ბობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი სახელები  
თანდათან დავიწყებას მიეცა. ფირფიტებზე მხოლოდ  
ერთეულების ხმებია ჩაწერილი, რაც საშუალებას გვაძ-  
ლევს განვსაზღვროთ მათ მიერ გაწეული დიდი შრომა,  
გვაკეთოთ ქართული ხალხური სიმღერების მეცნიერუ-  
ლი ანალიზი, გაეარჩიოთ და ერთმანეთს შევადაროთ ვა-  
რიანტები, მაგრამ არსებობენ აღამიანები, რომლებიც  
ტურის სოფლებში იყვნენ მიმოფანტულნი და ბევრი

მათგანი ისე გაქრა, რომ ფართო ასპარეზზე „გამოშეულ ჩება“ არც კი ელირსა. მათ უფრო დიდი საქმეც გააკეთეს — აღზარდეს ის თაობები, რომელთაც კანკენამდე მოიტანეს გურული ხალხური სიმღერები, შვერიშ დღუშ მხოლოდ მათი სახელები შემოგვრჩა, ახლახან ზოგიერთი მათგანის ფოტოსურათიც აღმოვაჩინეთ. ესენი არიან დიდი მგალობელ-მომღერლები: ანტონ და დავით დუმბაძეები, ნესტორ კონტრიძე, მელქისედევ ნაკაშიძე, დათა გუგუნავა და მაქსიმე წეროძე. აი ის ხალხი, რომლებმაც გურული სიმღერა-გალობის მთელი სკოლა შექმნეს. თუმცა მათ გუნდები არ ჰყოლიათ, მაგრამ ჰყავდათ მარტაფეები, რომლებმაც მათი ტრადიციები განავითარეს.

ამ ტრადიციებზე აღზარდნენ ცნობილი გურული მგალობელ-მომღერლები და მომღერლები (გარდა ზემოთ დასახელებული ანსამბლის წევრებისა): დიმიტრი და დიონიდე პატარავები, სამუელ ჩხიკვიშვილი, ივისიხი სიმონიშვილი (ვარლამის ძმა), ანტონ და ბებურ ჩხაიძეები, იაგორ და ლომინ ნაცვალაძეები, აკაკი ბასილაშვილი, ვარლამ ნინიძე, ილიკო ხომერიქი ვლადიმერ (ლადიმე) ბერძენიშვილი, ვახტანგ, ბარნაბ და ერმილე (ერმალი) სიხარულიძეები, დათა მამაკაიშვილი, სამსონ ურუშაქე, ნიუა ლომინაძე, სოლომონ ჭანუყვაძე, გიგო მგელაძე, ილიკო ჭელიძე, ილიკო ჭაყელი, ივანე ჩხაიძე, კოწია, ალმასხან და ბესარიონ ხუხუნაიშვილები, ერასტო, შალეა. ლადიკო მახარაძეები, ილია გოგიბერიძე, სამსონ ჭაში, ნოე სარჯეველაძე, კოწია შილაკაძე, პავლე და ისიდორე ჩიჩუები, თაყა ლლონტი, საბა დოგვაძე, ტატო და რაფიელ შარაშიძეები, ივანე, გიგო, დათა და ლავრენტი ჭაყელები, ძმები: ლადიკო, ექვსენტი და მანასე სალუქვაბეგი.

მომდევნო თაობის წარმომადგენლები: რუბენ ვაჟაძე,  
დავით მდინარაძე, ეპისტოლე (მეფისტოლე) კეჭავშახე  
ვასილ და ლევან მახარაძეები, ანანია და ვლადიშვილ (ლა-  
დიკო) ერქომაიშვილები, ევგენი და მიხეილ კოროშინა-  
ძეები, გარსევან სიხარულიძე, ვალოდია დოლიძე, ვალო-  
დია გიორგაძე, ვარლამ ვაშალომიძე, დომენტი ქარჩავა-  
შერმადინ ჭყუასელი, ილარიონ სიხარულიძე, გიორგი  
სალუქვაძე.

ამ ორი ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერების  
უმეტესობა უკვე გადავიტანე სანოტო ფურცლებზე,  
ოლონდ გაშიფრვა გაჭირდა, რადგან ზოგიერთ ადგილას  
ხმები ცუდად ან საერთოდ არ ისშის. ხშირად ფირფიტას  
დაზიანებული აქვს თავი ან ბოლო, რაც მუშაობას აფერ-  
ხებს. ამიტომ როგორმე დაუზიანებელ ფირფიტას უნდა  
მივაკვლიოთ. ეს ჩვენი პირველი ამოცანაა. ასეთ შემთხ-  
ვევაში მივმართავ ხოლმე ძველ მომღერლებს, მათთან  
ერთად ვაზუსტებ ამ ადგილებს და ისე გადამაქვს სანო-  
ტო ფურცლებზე. მაგ. ლ. ერქომაიშვილსა და ვ. მახარა-  
ძეს ზუსტად ახსოვთ ის ვარიანტები, რომლებსაც ეს მომ-  
ღერლები ასრულებდნენ. ამდენად დაზიანებული სიმღე-  
რის აღდგენა, მათი დახმარებით, დიდ სიძნელეს არ წარ-  
მოადგენს. აღდგენილი ფრაზები სანოტო ფურცლებზე  
მინიშნებული იქნება.

ამ ანსამბლის სიმღერას რომ ისმენთ, პირველ რიგში  
ყურადღებას იპყრობს მათთვის დამახასიათებელი ტემბ-  
რი, რომელიც ერთი და იგივე სიმღერის შესრულების  
დროსაც კი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან.  
აღსანიშნავია აგრეთვე სიმღერის შესრულების სრული-  
ად განსხვავებული მანერა, ასე თავისებურსა და განუმე-  
ორებელს რომ ხდის ანსამბლებს. მათ რეპერტუარში

გვხვდება ერთნაირი სიმღერები, რომელსაც ყოველი წე-  
სამბლი თავისებურად ასრულებს. ვერ იტყვი რომელი  
ჯობია, მაგრამ ერთი კი ცხადია, ორივე ანსამბლი უმაღ-  
ლეს პროფესიულ დონეზე მღერის.

გ. ერქომაიშვილის ანსამბლი უფრო ადრე ჩამოყა-  
ლიბდა, მისი წევრები ლარიბი გლეხები იყვნენ, მიწათ-  
მოქმედებას მისდევდნენ და ამით ინახავდნენ ოჯახებს.  
ქალაქთან კავშირი არასოდეს ჰქონიათ. თავიანთ სოფელ-  
ში იყვნენ ჩაკეტილნი. და თითქმის არავის გავლენა არ  
განუცდიათ, ამიტომ მათ მიერ შესრულებული სიმღერე-  
ბი თვითმყოფადი, ხალასი და ნატურალურია, ყველას  
მიერ შესრულებული სიმღერებისაგან განსხვავდება. ისი-  
ნი თბილისში პირველად 1907 წელს ჩამოვიდნენ ფირ-  
ფიტებზე სიმღერების ჩასაწერად (მაშინ წევრთა უმეტე-  
სობა 70 წელს იყო მიღწეული).

ს. ჩავლეიშვილის ანსამბლის წევრები კი პროფესიო-  
ნალი მომღერლები იყვნენ. მათი შემოსავლის წყარო სიმ-  
ღერა იყო და ამიტომ ყოველდღე უხდებოდათ ვარჯიში.  
ბევრს მოგზაურობდნენ სხვადასხვა სოფელში, რაიონსა  
და ქალაქში, ჯერ თვითონ სწავლობდნენ ვარიანტებს და  
შემდეგ სხვებს ასწავლიდნენ. ამუშავებდნენ და ართუ-  
ლებდნენ სიმღერებს, განვითარების უმაღლეს წერტილ-  
ზე აიყვანეს გურული სიმღერები. მათ მიერ ჩაწერილი  
სიმღერები მაღალ პროფესიონალურ დონეზეა შესრუ-  
ლებული.

ძველი გურული მომღერლები ნაკლებ ყურადღებას  
აქცევდნენ ტექსტებს. ბევრ სიმღერაში ტექსტი დღემდე  
არაა დადგენილი. სიმღერის დროს ისინი მათ იმპროვი-  
ზირებულად წარმოსთქვამდნენ (რომელიც გაახსენდე-  
ბოდათ, იმ ტექსტს გამოიყენებდნენ და შეცვლიდნენ),

ძირითადად ტექსტებს „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ათაშა-  
რიანიდან“ იყენებდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი სიმღერების  
მოსმენის შემდეგ შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკუთოთ.  
მაშინდელი მომღერლები გართულნი ჩექუნები შხოლოდ  
თავიანთი ხმების დიდოსტატური შესრულებით, ამიტომ  
სიმღერაში სხვა ტექსტის გამოყენება ან უტექსტოდ სიმ-  
ღერა დიდ ცოდვად როდი მიაჩნდათ (შორისდებულები-  
თაც ადვილად გადიოდნენ).

აღსანიშნავია ისიც, რომ სიმღერები იწყება საკმაოდ  
ნელა (განურჩევლად უანრისა), შემდეგ ტემპი თანდათან  
მატულობს და დაბოლოებისას საკმაოდ ჩქარდება. ეს  
მათი შესრულების თავისუფალი მანერის შედევრია.

ხშირად სიმღერები თანდათანობით მაღლდება. სიმ-  
ღერის დროს ხმოვანება (წყობის სიმაღლის ნორმებთან  
შედარებით) ხშირად იცვლება, ამიტომ საწყისი და ბო-  
ლო სიმაღლით განსხვავდება. ყოველივე ეს სიმღერის  
თავისუფალი მანერის, იმპროვიზების შედევრია.

გურიაში მოვაურობის შედევრად იმ დასკვნამ ჟე მივე-  
დი, რომ იქ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხე-  
ებში, ხალხური სიმღერა მივიწყებას ეძლევა, თუმცა ჩვე-  
ნი ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისათვის საკავ-  
შირო თუ საერთაშორისო მასშტაბით ბევრი რამ კეთდე-  
ბა, ერთი, ორი და თუნდაც რამდენიმე კოლექტივი ამხე-  
ლა საქმეს ვერ აუვა. ამასთან, ცოტა ხანში ამ სიმღერე-  
ბის შემსრულებელი თაობაც აღარ იქნება.

ფაქტია, რომ ქართული ხალხური სიმღერისა და ცე-  
კვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ეძებს  
„კრიმანჭულის“ ახალგაზრდა შემსრულებელს, მაგრამ  
მთელ გურიაში დღემდე არ აღმოჩნდა ასეთი მომღერა-  
ლი. ანსამბლი კი სულ მაღვე უნდა წარსდგეს ამერიკის

კონტინენტზე, იმ ქვეყანაში, სადაც თანამედროვეობის  
უდიდესმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ ესოდენ  
დიდი შეფასება მისცა გურულ კრიმანჭულიან ხიმო-  
რებს.

ახალგაზრდებს არ აინტერესებთ ძველი სიმღერები.  
ისინი ხარბად ითვისებენ ყოველივე უცხოურს, თავიანთი  
კი ავიწყდებათ. ბითლზების, ტომ ჯონსისა და დემის რუ-  
სოს ფირფიტები „აუქციონით“ იყიდება, ძველი ხალხური  
სიმღერების ფასი კი უკვე ძალიან ცოტამ იცის.

დღეს საქართველოს ყოველ რაიონს ჰყავს რამდენიმე  
თვითმოქმედი დიდი გუნდი თუ ანსამბლი, მაგრამ მათი  
რეპერტუარი მეტისმეტად შეზღუდულია.

1976 წ. თბილისში ჩატარდა მხატვრული თვითმოქმე-  
დების რესპუბლიკური ფესტივალი. ფესტივალის წესდე-  
ბა ითვალისწინებდა ორი რუსული, ორი საბჭოთა კომპო-  
ზიტორისა და რამდენიმე ხალხური სიმღერის შესრუ-  
ლებას. თვითმოქმედ გუნდებს, რომლის წევრებს მუსიკა-  
ლური განათლება არა აქვთ, უჭირთ უცხო და საბჭოთა  
კომპოზიტორების ნაწარმოებთა ათვისება. ამიტომაც  
ჩვენი ხალხური გუნდები და ანსამბლები პროფესიული  
მუსიკის ნაწარმოებებს მეტად დაბალ დონეზე ასრულე-  
ბენ. ამ ნაწარმოებების შესასრულებლად არსებობს პრო-  
ფესიული კოლექტივები და თვითმოქმედი კაპელები.

ამ ფესტივალზე კოლექტივთა უმრავლესობას (წასახა-  
ლისებლად) ლაურეატის წოდება მიენიჭა. ლაურეატების  
კონცერტი შემდეგ ტელევიზიით გადაიცა, ზოგიერთმა  
გუნდმა მეტისმეტად დაბალი საშემსრულებლო დონე  
გამოავლინა.

1927 წელს ქუთაისში ჩატარდა პირველი რესპუბლი-  
კური ოლიმპიადა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა

კუთხიდან ჩამოსული გუნდები მონაწილეობდნენ. ოღამ პიადის უიურში იყვნენ ჩვენი სასიქადულო კომბინიტორები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ე. ჭავჭავაძე და სხვები.

ოლიმპიადაზე საქართველოს ყოველი კუთხიდან რამდენიმე გუნდი იღებდა მონაწილეობას. უიურის მიერ პროგრამა მკაცრად იყო შედგენილი და იმ კუთხის 10—15 საუკეთესო სიმღერას შეიცავდა, რომელსაც გუნდი ეკუთვნოდა. მათი შესრულება სავალდებულო იყო. პირველი ჯილდო მიეკუთვნებოდა იმას, ვინც უკეთ შეასრულებდა ამ სიმღერებს. გუნდი, რომელმაც არ იცოდა თავისი კუთხის ყველა სავალდებულო სიმღერა, ოლიმპიადაზე არ დაიშვებოდა.

კონკურსი მაღალ დონეზე ჩატარდა და პირველი ჯილდო საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მიეკუთვნათ მაგ., აღმოსავლეთ საქართველოდან — მართ თარხხის შვილის გუნდს, გურია-აჭარიდან — არ. ერქომაიშვილის გუნდს. დღეს ასეთი კონკურსების ჩატარება რესპუბლიკის ახალგაზრდობას დიდ სარგებლობას მოუტანდა.

რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკის სხვადასხვა რაომში დაარსდა ძველი სიმღერების შემსწავლელი მუსიკალური სკოლები, რომლებმაც პირველი გამოშვებისთანავე შეწყვიტეს არსებობა. ჩემი აზრით, მათ მიერ ჩატარებული მუშაობა უნდა გაანალიზდეს შეცდომების შესწავლის მიზნით. სასწრაფოდ უნდა აღდგეს ამ სკოლების მოღვაწეობა, სანამ ჯერ კიდევ არიან ძველი მომღერლები, რომლებსაც შეუძლიათ ახალგაზრდობას სიმღერები ასურავონ. ასეთი სკოლების მიერ გამოშვებული კაღრები ხალხურ სიმღერებს რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ასწავლის.

საქ. სსრ კომპოზიტორთა კავშირის მიერ ჩატარებულ  
სიმპოზიუმზე მიიწვიეს მოხუცთა ანსამბლები რესპუბლიკ-  
ას სხვადასხვა რაიონიდან და კონცერტი გაიმართა მე-  
ჭერის ტაძარში. დამსწრე საზოგადოება დღიდად აღიარებულ  
ჯრთოვანა მოხუცთა ოსტატობამ, მათმა საშემსრულებლო  
ცლტურამ.

ასეთი ლონისძიებები უნდა მომრავლდეს, ოლონდ მო-  
ხუცთა გვერდით ახალგაზრდებიც უნდა მღეროდნენ.

რატომლაც ყველა დაინტერესებულია ას და ორასკა-  
ციანი გუნდების შექმნით. არადა, უმჯობესია რესპუბლი-  
კაში აჩსებობდეს ასი პატარა ანსამბლი, ვიდრე ათი ორ-  
ასკაციანი გუნდი. შერმაღინ ჭიუასელი ამბობს: „იმ  
გუნდში, საღაც გურულ სიმღერას 100 კაცი მღერის.  
ჩაღვომა არ შემიძლია, თავისუფლად თუ არ გევინავარ-  
ე, ის რა სიმღერაა“—ო. ამიტომ საჭიროა მომრავლდეს  
პატარა ანსამბლები: ტრიოები, კვარტეტები, რომლებიც  
შოლოდ თავიანთი კუთხის სიმღერებს შეასრულებენ და  
შომღერლებსაც „თავისუფლად განავარდების“ საშუალე-  
ბას მისცემენ.

ამას გარდა, საჭიროა საშუალო სკოლებში პირველი  
ლასიდანვე შემოილონ ხალხური სიმღერების სავალდე-  
ბულო სწავლება, გამოიცეს ხალხური სიმღერების სპე-  
ციალური კრებულები, რომლებიც დაგვეხმარება ბავშვ-  
თა მუსიკალური აღზრდის საქმეში. ჩვენმა მოზარდებმა  
უედაენასთან ერთად უნდა შეისწავლონ ხალხური მუსი-  
კა, რაც უკვდავჰყოფს იმ უნიკალურ სისიმღერო ტრადი-  
ციებს, ასე შორს რომ გაუთქვა სახელი ქართულ ჭულ-  
ტურას, ჩვენს ხალხს.

## „ძველი სიმღერების პატიჟალა“

„ლაპარაკობს თბილისი! ვიწყებთ გადაცემას რუბ-  
რიეთ „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“. სიმღერები, რომელ-  
საც ახლა მოისმენთ, ჩაწერილია 1908 წელს, მომღერალ-  
თა ანსამბლის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა სა-  
მუელ ჩავლეიშვილი. იგი ჩაწერა უცხოეთის ფირმამ,  
ხოლო ახლახან აღადგინა საკავშირო ფირმა „მელო-  
დიამ“ და მალე გამოვა ფირფიტების სახით“ — ამბობს  
რაღიოს ლიქტორი და ისმის ვარლამ სიმონიშვილის რა-  
ხიანი შეძახილი:

„ჩავლეიშვილი, ჩხიკვიშვილი და სიმონიშვილი. ჩვენ  
შვიდობა წამოსძახეთ!“.

„ჩვენ მშეი-ი-დო-ი-ო-ბა“ — სამუელ ჩავლეიშვილის  
ოდნავ ხრინწიანი, თავისებურად კოლორიტულ, ყველასა-  
გან განსხვავებული ტემბრისა და ამოუწურავი შესაძლებ-  
ლობების განუმეორებელ დამწყებს დიდი ოსტატობით  
უხმატებილებენ: მოძახილი სამუელ ჩხიკვიშვილი და  
ბანი ვარლამ სიმონიშვილი.

დიდებულად მღერიან. ისე წმინდად ისმის ეთერში  
72 წლის წინათ ჩაწერილი სიმღერა, თითქოს აგერ, გუ-  
შინ ჩაწერეს იგი...

„გადაცემა რუბრიკით „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“  
დამთავრებულია, გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი აზრი ამ  
გადაცემის შესახებ — ამბობს ლიქტორი.

ეს გადაცემა 1979 წლის 6 იანვარს საქართველოს ო-  
დიოცის მოვაწყეთ, რის შემდეგაც უამრავი წერილები ში-  
ვიღე მოხუცი მომღერლებისაგან, რომლებსაც მათთან  
ერთად უმღერიათ და ვინ იცის, რამდენი ხანრა ტლიო გა-  
უგონიათ მათი ხმები.

„ცხადია თუ სიზმარი, სამველას და ვარლამის ხმები  
ისე ისმოდა, თითქოს აგერ მღეროდნენ ჩემს გვერდით.  
თუ შეიძლება ჩემი ბიძიე, მაი სიმღერები გადამიშერე,  
სანამ ფირფიტები გამუა სახლში მევისმენ ხანდახან, მაგ-  
ნიტოფონი მაქვს. მაგრენის გაზრდილი ვარ მე“ — მწერს  
85 წლის მომღერალი და ლოტბარი ვარლამ ვაშალომიძე.

„ას წელს მიტანებული ვარ და ახალგაზრდობის მერე  
აღარ გამიგონია მაგრენის ხმაი, — მწერს ივანე ჩხაიძე, —  
თქვენ აგაშენათ ლმერთმა, რავარც მე დამატებეთ. რაფერ  
გააცოცხლეთ ავი მომღერლები, ჩემო ბაბუა, ნუ დაგე-  
ზარება და მომწერე“.

\*

ეველ ფირფიტებს, რომელიც გურიაში შევაგროვე,  
სხვა კუთხის სიმღერებიც მივუმატე ცნობილ მომღერალ-  
თა შესრულებით და მივაღეები საკავშირო ფირმა „მელო-  
დიის“ სარესტავრაციო განყოფილებას. საქართველოს  
რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა საქ-  
მიანი კონტაქტი დაამყარა ფირმა „მელოდიასთან“ და  
სარესტავრაციო ხარჯების ინაზღაურება იქისრა.

ფირფიტების უმრავლესობა გაცვეთილიყო, აძირო  
გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა მათი სრულყოფილი  
აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

სარესტავრაციო განყოფილების გამოცდილი თანამ-

ურომლის კლავდი კლავდის ძე ტიხონრავრების ჩამოგათ  
პოსკოვში გლინკის სახელობის მუზეუმში მივეღი, რათა  
შედარებით უკეთ შენახული იგივე ფირფიტები მეპოვნა.

გლინკის სახელობის მუზეუმში აღმოჩნდა აჩა არქო-  
ლუციამდელი, არამედ 1928 წლის შემდეგ ჩაწერილი  
ფირფიტები: სანდრო კავსაძის, ნიკო ქუმსიაშვილის,  
სანდრო ინაშვილის, ვარლამ სიმონიშვილის, არტემ ერ-  
ჭომაიშვილის, მართ თარხნიშვილისა და სხვათა შესრუ-  
ბბით.

მე ვთხოვე მოესმენინებინათ ჩემთვის ზოგიერთი მათ-  
განი. ცალკე ოთახში, სადაც ფირფიტები ჩემს მიერ შერ-  
ჩეოლი ნომრების მიხედვით მოიტანეს, შევუდექი მოს-  
მენას.

ამ დროს ერთ-ერთი მუსიკალური სკოლიდან პედა-  
გოგმა ექსკურსიაზე მოიყვანა ბავშვები, რომლებიც და-  
ინტერესდნენ უჩვეულო სიმღერებით და მოსმენის ნე-  
ბართვა გვთხოვეს.

მე რასაკვირველია დავთანხმდი.

ბავშვები დიდი ინტერესით ისმენდნენ ხალხურ სიმ-  
ღერებს და მექითხებოდნენ თუ რამდენხმიანი და რომე-  
ლი კუთხის სიმღერებია, ვინ არიან შემსრულებლები, რა  
ჰქვია მაღალ „ჩახვეულ ხმას“ (კრიმანჭულს), როდის არის  
ჩაწერილი, მღერიან თუ არა ახლა ასეთ სიმღერებს და  
ა. შ.

მათ გაუთავდათ ექსკურსიისათვის განკუთვნილი დრო,  
მაგრამ ფეხი არ მოიცვალეს, სანამ მოსმენა არ დავამ-  
თვრე.

საინტერესო იყო ჩვენი რეაქციები სიმღერების მოს-  
მენისას. ბევრ მათგანს მეც პირველად ვისმენდი.

ბავშვები ხანდახან ტაშსაც შემოჰკრავდნენ. მათი

პედაგოგიც აღტაცებული იყო ქართული სიმღერებით და  
დიდი მაღლობაც გადამიხადა.

მე თუმცა კმაყოფილი დავრჩი ამ აღმოჩენით. მაგრამ  
სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაშერილი სიმღერები მუ-  
ზეუმში არ აღმოჩნდა, რის შესახებაც პედაგოგს ჩემი  
წუხილი გავუზიარე. როცა საქმის შინაარსი ვაიგო, რამ-  
დენიმე კოლექციონერის მისამართი მომცა, რომლებიც  
ჩევევას მაინც მომცემდნენ თუ ჩემთვის საჭირო ჟირ-  
ფიტები არ ექნებოდათ.

ვლადისლავ ივანეს ძე ბელოგუბოვი — ავალ იყო,  
საავადმყოფოში იწვა.

მარჯ მოსეს ძე შნაიდერი — დიდი ძებნის შემდეგ  
სოკოლნიკებში მივადექი ერთ ძველ სახლს, რომლის მე-  
სამე სართულზე ცხოვრობდა კოლექციონერი. კარი თვი-  
თონ გამიღო, იგი 80—85 წლისა იქნებოდა. ნახევრად  
მწოლიარე ავადმყოფი, დაბალ ლოგინზე, ფეხებთან ორი  
კატა ეწვა. სასთუმალთან სკამი ედგა. სკამზე ჩაის ჭიქა  
და ლამბაჭი ეწყო. მასპინძელი ენაწყლიანი აღმოჩნდა და  
სანამ მე რაიმეს ეოხველი, მიამბო, თუ ვის იცნობდა,  
ვინ უნახავს, ვინ მოუსმენია, რა უნიკალური ფირფიტები  
აქვს და ა. შ. კედლები ფირფიტებით სავსე თაროებსა და  
შალიაპინის, ჭილის, მილიცა კორიუსის, კარუზოსა და  
მაქსიმ გორეის სურათებს დაეფარა. ჩემს ფირფიტებს  
მაქსიმ გორეი ისმენდა, რომელიც თავისუფალ ლროს  
ხშირად მოღიოდა ჩემთან — მომიგო მოხუცმა. თავისი  
სურათიც მაჩვენა, შალიაპინთან გადაღებული.

ჩემი იდეალი შალიაპინიაო — დასძინა, შემდეგ კარი  
გამოაღო, რომელიც აღრე კარალის მევონა და იქ გრა-  
მოფონი აღმოჩნდა (რაღაც განსაკუთრებული). თარო-  
დან გადმოიღო ფირფიტა, ხსნარში დასველებული ბამ-  
8. ა. ერქომაიშვილი

ბით ფრთხილად გაწმინდა და ასევე ფრთხილად დადო  
გრამოფონზე.

დონ კიხოტის სიკვდილის სცენას მღვროდა „შალია-  
ზინი მასნეს ოპერიდან. მე მონუსხულივით — ვუსმენდი  
მართლაც სიმღერის ამ ჯადოქარს. შალიაპინმა სიმღერა  
დაამთავრა. შნაიდვრმა ფირფიტა ისე ფრთხილად აიღო  
და შეინახა, თითქოს ახალდაბადებული ბავშვი აეყვანოს  
ხელში.

როცა ჩემი მისვლის მიზეზი შეიტყო, გულდაწყვეტია  
მითხრა: „სამწუხაროდ, ხალხურ სიმღერებს არ ვაგრო-  
ვებ, არც ვინმე ისეთი მეგულება, ვინც ქართულ ხალხურ  
სიმღერებს აგროვებდეს“—ო. აქვე მირჩია კრისნოვორ-  
სკის ფოტო-ფონო-კინო და მოსკოვის ცენტრალურ ხმის-  
ჩამწერ არქივებში მისვლა. ფირფიტების ნომრებს. რომ  
ვაეცნო, უმალვე მითხრა: „ეს ფირფიტები 1907—1910  
წლებშია ჩაწერილი. თქვენ ფირფიტები კი არა, მატრი-  
ცები ან მათი ასლები უნდა მოითხოვოთ. შესაძლოა,  
თვით არქივებშიც არ იცოდნენ ამ მასალის არსებობა,  
ამიტომ არ მოეშვათ და კატალოგებს გაეცანით. საზღვ-  
არგარეთული ფირმა, რომელიც ამ სიმღერებს იწერდა,  
აქ გრამოფონნებით ვაჭრობდა და მატრიცებს ადგილზე  
სტოვებდა. გარდა მოსკოვისა მათ ჰქონდათ ფილიალე-  
ბი კიევში, რიგაში, თბილისში, ლენინგრადში, ვარშავა-  
სა და სხვა ქალაქებში.“

მაღლობა გადავუხადე გულისხმიერ მასპინძელს და  
მის მიერ მითითებულ არქივებს მივაღევი. კრისნო-  
ვორსკში შევიტყვე რომ ფონო არქივი კარგა ხანია, რაც  
გადაუტანიათ მოსკოვში, ბაუმანის ქუჩაზე მდებარე ცენ-  
ტრალურ ხმისჩამწერ არქივში, საღაც აუცილებლად სა-  
შვი იყო საჭირო. ამისათვის თბილისში დაბრუნება დამ-

ჭირდა, სადაც უნტრალური ორქივის დირექტორი, კურ-  
ძოდ, პატივულმა ვახტანგ გურგენიძემ შევრი საჭირო  
ცნობა მომაწოდა, შანვე მომიზადდა საბუთი, რომლათაც  
შემეძლო ჩემთვის საჭირო ორქივებში მემუშვი.

ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაშურე  
კიევის, რიგისა და ლენინგრადის ორქივებს, სადაც დიდი  
გულისხმიერებით მომეკიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ  
ომის დროს რევოლუციამდელი ჩანაწერები გადაუგზავ-  
ნიათ მოსკოვის აპრელევის ქარხანაში. ლენინგრადში  
დიდი დახმარება გამიწია თეატრის, მუსიკისა და კინემა-  
ტოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორმა ლარისა ქუთათე-  
ლაძემ და ლენინგრადის კონსერვატორიის ფონეტიკის  
კაბინეტის გამგემ ალექსანდრე გომართელმა, რომელსაც  
დაცული აქვს, ს. კივსაძის, ლ. გერმესაშვილის, ს. ინა-  
შვილის, პ. ამირანაშვილისა და სხვათა ფირფიტები.

აქვე შევიტყვე, რომ მოსკოვში, 30-იან წლებში ხელ-  
მეორედ დაიბეჭდა 1907—1910 წლებში გამოცემული  
მატრიცები, რაც იმის იმედს მაძლევდა, რომ მეორე ორი-  
გინალები მაინც იქნებოდა შემორჩენილი.

ერთი სიტყვით, უველა გზას მოსკოვის აპრელევის ქარ-  
ხანაში მივყავდი. იქ გაირკვა, რომ სხვადასხვა ქალაქე-  
ბიდან მიღებული მატრიცები სპეციალურ საცავებში იყო  
დაცული, რომლებიც დამწვარა, გადარჩენილი მასალა კი  
გადაუგზავნიათ მოსკოვის ცენტრალურ ხმისჩამწერ არ-  
ქივში. ორქივის დირექტორმა ო. ბუდნოვმა ყურადღებით  
ჰომისმინა და მითხრა: მატრიცები და ფირფიტები კი  
გვაქვს, მაგრამ იმ პერიოდს, თქვენ რომ ეძებთ, აქ არ  
არისო. მოვითხოვე კატალოგები, სადაც მხოლოდ საქარ-  
თველოს ხალხური სიმღერისა და ციკვის ანსამბლის

„გორდელასა“ და „რუსთავის“ ჩინაშერები იყო აღნიშნული.

ხანგრძლივი ძიების შემდეგ ვიპოვე 1928—1934 წლებში ჩინაშერებილი კირილუ პატკორიას, კიწი გეგევექორის, ვაზლამ სიმონიშვილის, მართ თარხნიშვილისა და სხვათა გუნდების ჩინაშერები, რომელთა აღრიცხვას რამდენიმე დღე მოგანდომე.

განკოტილების ფფროსმა პროხოროვამ მითხრა, რომ რამდენიმე დღის წინ ძველი კატალოგის ერთი ყუთი ნახა, მაგრამ შინაარს ამ კატალოგისა არ იცოდა. შევუდექი ამ კატალოგის ვადასინჯვას. სიმღერებს ვეძებდა 1907 წელს ვამოშვებული ფირფიტების ნომრების მიხედვით. მართლაც, აღმოვაჩინე ორი ნომერი, მაგრამ ორივე რუსული სიმღერა აღმოჩნდა. როგორც ჩანს, აქაური ნომრები არ ედრებოდა ჩემი ფირფიტების ნომრებს. მატრიცები აჩქივის ნომრების მიხედვით იყო აღნუსხული. იძულებული ვიყვაი მატრიცები მეძებნა სიმღერების დასახელებისა და შემსრულებელთა გვარების მიხედვით, მაგრამ ამ გახუნებულ ბარათებზე სიმღერის სახელწილდება ხშირად არ ეწერა, ან ეწერა ზოგადად: „ქართული ხალხური სიმღერა“, „გურული სიმღერა“ და სხვა.

როგორც იქნა, ვიპოვე ერთი ბარათი, რომელსაც ეწერა: „გურული სიმღერა, ბიბილოძის ტრიო 1901 წ.“ ჩემს სიხარულს საზღვრი არ ჰქონდა. მივხვდი, რომ გურული სიმღერა ჩაწეროლია ცნობილი მომღერლის გარეგი ბაბილონის ტრიოს მიერ 1907 წელს.

იმ დღეს კიდევ რამდენიმე ნომერი ვიპოვე, საღაცერებელა: „კახური სიმღერა“, „გურული სიმღერა“, „შეღუდულება ანსამბლი ბურატას ხელმძღვანელობით“ და სხვა.

ალბათ დიდხანს ვიქნებოდი იქ, რომ არ შეეხსენებოდა, სამუშაო საათები დამთავრდათ. თანდათან შევანომრებიც ვიპოვე. ძალიან ბევრი იყო მეღუღვეეფაზე სამბლის — კერძოდ ბაგრატას დასტას მიერ ჩაწერილია და სიმღერები.

განსაკუთრებით გამახარა ბარათმა, რომელსაც ეწერა: „დ. ლევანის სიმღერა“, მივხედი, რომ ეს იყო გამოჩენილი მომღერალი ლევან ასაბიშვილი, რომელიც ხალხში ცნობილია „დედას ლევანას“ სახელით. იქვე მივაკვლიე „ჩაკრულოს“ — დედას ლევანის, ბათო როსტომაშვილის, ალექსი ელოშვილის, ს. ქურციიძისა და კნიაზაშვილის შესრულებით. ესენიც ცნობილი მომღერლები არიან, განსაკუთრებით ბათო როსტომაშვილი და ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), რომლებსაც ხალხი დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს.

თანდათან აღმოჩნდა: კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, ფალავას, ს. ტომაშვილის, ქუთაისის ქოროს (კიბარენკოს ხელმძღვანელობით), ჩავლეიშვილების ჩანაწერები... სრულიად მოულოდნელად წავაწყდი ბარათს, რომელზეც ეწერა „ურმული“ — ვ. სარაჯევი“. ავლელდი და აღვთროვანდი, რადგან ჩემს წინაშე იყო ვანო სარაჯიშვილი. ამ ლეგენდარული მომღერლის ჩანაწერის ორივინალი...

ამ მომღერალთა სახელები დღესაც ცოცხლობენ, მაგრამ უმეტესობის ნამდვილი სიმღერა არ გაგვიგონია. მარტო დედას ლევანა რად ღირს, ქართლ-კახური სიმღერების ღმერთი, რომ არაფერი ვთქვათ ვანო სარაჯიშვილზე.

ძველი მატრიცების ნომრები ამოვწერე. ახლა საჭირო იყო პირველი სამამულო ფირფიტების (1922 —

1936 წ.) აღდგენა. მაგრამ სანამ ვ. სარაჯიშვილის, დედას ლევანას, ჩავლეიშვილის, ბაბილონისა და სხვათა აღდგენილ ხმებს გავიგონებდი, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. ამიტომ საბჭოთა პერიოდის მატრიცების მიერა სხვა დროისათვის გადავდე.

თბილისში დაბრუნებისთანავე ჩემს მიერ ამოწერილი ნომრები ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს გადავცი. კომიტეტმა „მელოდიას“ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც ითხოვა ზემოთ ჩამოთვლილი ნომრების მატრიცების აღდგენა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვან შენაძენს. ამ წერილის საფუძველზე „მელოდიამ“ არქივიდან ძველი მატრიცები გამოიწერა. არქივის საცავში მეც შემაშვენებარდა თაროებზე ვერტიკალურად დალაგებული უამრავი მატრიცა ვნახე, რომლებშიაც ვინ იცის კიდევ რამდენი ქართული სიმღერაა მიმაღული, ვინაიდან ბევრ მათგანს არც სიმღერის სახელწოდება აწერია და არც შემსრულებლის გვარი.

მატრიცები მივიტანეთ ფირმა „მელოდიაში“, რომელმაც მოსკოვის საცდელ ქარხანა „გრამზაპისს“ მატრიცებიდან მეორე ორიგინალების გაკეთება შეუკვეთა. ამ რთულსა და საინტერესო პროცესს მეც დავვესწარი. ყოველივე ეს შევატყობინე კინორეჟისორ სოსო ჩხაიძეს, რომელიც მოსკოვში კინოგადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა და ძველი მატრიცების აღდგენის მთელი პროცესი ფირზე აღბეჭდა.

მატრიცა ლითონის (სპილენძი ან თითბერი) სქელსა და მძიმე ფირფიტას წარმოადგენს, მისი პირველი ორიგინალი „ნეგატივია“, მისგან ნამდვილი ხმა არ მიიღება. ხმა მიიღება მეორე ორიგინალისაგან, რომელიც მზად

დება შემდეგი წესით: რამდენიმე საათის განმავლობაში, ქიმიურ ხსნარებში სხვადასხვანიირად ხდება მატრიცუ გაწმენდა. თუ მატრიცას კიდევები დაბრეცილი ან გაფრპებული აქვს, ხდება მისი რესტავრაცია. რესტავრაციული მატრიცა გადადის სააპარატოში, სადაც სხუალასხედ ხსნარებში ვერტიკალურად ჩაკიდული მატრიცა ბრუნვას იშუებს და თანდათან ნიკელის ფენით იფარება. შემდეგ მატრიცას ნიკელის ფენას სპეციალური მოწყობილობით ფრთხილად აცლიან, დებენ ცენტრიდანულ მანქანაზე, რომლის საშუალებითაც იხვრიტება ცენტრი, რათა დაკვრის დროს რხევა არ გამოიწვიოს. ყოველივე ამის შემდეგ ნიკელის ფირფიტას ამუშავებენ, წმენდენ, აშრობენ და გზავნიან ფირმა „მელოდიაში“, სადაც სპეციალური პარატის საშუალებით მიიღება ხმა, რომელიც ფილტრებში გადადის და ისე იშმინდება, რომ ხმის ხარისხი და ტემპრი არ დაზიანდეს. მიღებული ხმის გადაწერა ხდება თანამედროვე მაგნიტოფირზე. სპეციალური მოწყობილობით დგინდება სტაბილური სიჩქარე. მოგეხსენებათ, რომ მაშინდელი ფირფიტები ჩაწერილია გრამოფონისათვის, რომლის სიჩქარე წუთში 78-დან 90-მდე აღწევდა. ამიტომ თანამედროვე ელექტროსაკრავზე მატრიცის სიჩქარე მეტყეობს, რაც იწვევს ხმის ამიღლებას ან დაღაბლებას. დიდი ყურადღება და გამოცდილებაა საჭირო, რომ ფირფიტის ბრუნვის სიჩქარე სიმღერის ტონალობას მიესადაგოს.

ფილტრებში გატარებული, მაგნიტოფირზე გადატანილი სიმღერებისაგან მზადდება ხელახალი მატრიცა, რომლისგანაც იბეჭდება ფირფიტები.

აი, ასეთი რთული წესით იქნა აღდგენილი ძველი მატრიცების პირველი პარტია. „მელოდიის“ საპარატო-

ში გულის ფანცქალით ველოდებოდით ნიკელის ჭირ-  
ფიტების ახმოვანებას. პირველად მოვისმინეთ ერთ-ერთი  
გურული სიმღერის მატრიცა, რომელსაც არ ეწერა არც  
სიმღერის დასახელება და არც შემსრულებელთა გვარე-  
ბი. გაისმა ხმები, რომელთა შემსრულებლებს მაშინვე  
იცნობ, თუ კი ერთხელ მაინც მოვისმენია მათი სიმღერა,  
დიდებული გურული მომღერლები: სამუელ ჩავლეი-  
შვილი, სამუელ ჩხივვიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი  
ასრულებდნენ „წამოკრულს“ (ჩაწერილი 1908 წ.).

ეს სიმღერა იმპროვიზაციის დიდ საშუალებას აძ-  
ლევს შემსრულებელს, მაგრამ ასეთი საშემსრულებლო  
ტექნიკა და გამომგონებლობა იშვიათია. განსაკუთრებუ-  
ლი შთაბეჭდილება მოახდინა სიმღერის მეორე მუხლშა,  
სადაც მომღერლებმა შესრულების მწვერვალს მიაღწი-  
ეს. ვარლამ სიმონიშვილი ნამდვილი ვირტუოზია, ვერც  
კი წარმომედგინა, რომ „წამოკრულში“ შეიძლებოდა  
ასეთი როტული ბანის მისადაგება დამწყებისა და მოძახი-  
ლისათვის, ეს რომ შეაფასო ამისათვის „წამოკრულის“  
ბევრი ვარიანტი უნდა გქონდეს მოსმენილი სხვათა შეს-  
რულებით.

შემდეგი ფირფიტის მოსმენისას გაისმა ვარლამ სი-  
მონიშვილის ხმა: „ბესარიონ ინწყირველო, ერთი, სტო-  
ლის ხელხვავი თქვი, სტოლის, გურული“ ეს ძველი „სუ-  
ფრის ხელხვავია“, რომელიც ასევე უბადლოდა შესრუ-  
ლებული ბესარიონ ინწყირველის, სამუელ ჩავლეიშვი-  
ლისა და ვარლამ სიმონიშვილის მიერ.

ვინაიდან მატრიცაზე შემსრულებელთა გვარები და  
სიმღერების დასახელება ხშირად სწორად არ იყო აღ-  
ნიშნული, ამიტომ საჭირო გახდა სიმღერისა და შემს-

სულებლების გამოცნობა. გურულ სიმღერებში ეს კა-  
კამჭირვებია, რადგან ფირფიტების საშუალებით თითქმის  
უცელა ძველი მომღერალი მყავს მოსმენილი, მაგრამ,  
ეცბად გაისმა კახური „მრავალუამიერი“... საზტად და-  
კრჩი. გაისმა ულამაზესი ტემბრის საოცრად მაღალი,  
კართო მოცულობის ტენორი, რომლის მსგავსი ჯერ არ  
ჰამისმენია. ასეთი ხმა უცელა საოპერო მომღერალს შე-  
შურდებოდა (მას ღირსეულ პარტნიორობასაც ვერ  
წევინ). ეს ხმა თავისუფლად დაცურავდა „მრავალუა-  
მიერის“ მაღალ რეგისტრში და როცა „სი ბემოლა“  
აიღო, მივხვდი, რომ ეს „დედას ლევანა“ იყო, თავის  
როზე ზაქარია ფალიაშვილიც რომ განაცვითრა. სა-  
რია მასზე წერდა:

„ორი-სამიოდე ჭიქა ღვინის გადაკვრის შემდეგ დაი-  
წყეს სიმღერა, მაგრამ რა სიმღერა! მე ამისთანა მწყობ-  
რად შესრულებული კახური სიმღერა ჯერ არ გამიგო-  
ნია. სანიორის მომღერლები ხომ კარგები იყვნენ, მაგ-  
რამ შილდელებმა ბევრად აჯობეს. განსაკუთრებით იმათ-  
ზე გამოიჩინდნენ: ლევან ივ. ასაბაშვილი (მეტსახე-  
ლად „დედას ლევანა“), ბათო დავ. როსტომაშვილი,  
ალექსა გიორგის ძე ელოშვილი და ლაზარე სვ. კოკილა-  
შვილი. ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნო  
მკითხველს ამ მომღერალთა ვინაობა. „დედას ლევანა“  
არის მაღალი ტანისა, წარმოსადევი მხარ-ბეჭიანი გლეხი  
43—45 წლისა. მღერის როგორც მოძახილს ისე დამწყებ-  
საც, მომეტებულად კი მოძახილს, მაგრამ ამ მდევ-კაცს  
ბუნებით ისეთი მშვენიერი გავარჩიშებული დიდი ხმა  
(ტენორი) აქვს, რომ მე ვგონებ ბევრი ჩვენი ოპერაში.  
მომღერალიც არ დაიწუნებდა და კიდეც ინატრებდა იმ-  
ისთანა იშვიათ ხმას. ამას გარდა მშვენიერი გამოთქმაცა

აქვს. საუცხოვო მოღაპარაკეა, თამაში მიხერ-მოგვრა  
 ერთი სიტყვით ლმერთს მოუნიჭებია იმისფერის ურველი-  
 ვე ის, რაც კარგი არტისტისათვის აუცილებელ საჭირო-  
 ებას შეადგენს. ბათო როსტომაშვილი მა.წ.წ. მოხუცი  
 გლეხია, ძლიერ დაბალი ტანისა, მაგრამ ესუც დიდი ჩვის  
 პატრონია, იმის თოვლივით გათეთრებულ თმას რომ არ  
 უყუროთ და ისე მოისმინოთ მისი სიმღერა, თავის დღეში  
 არ იფიქრებო, რომ მღერის ესეთი მოხუცი და არა ახალ  
 გაზრდა ყმაწვილი კაცი, იმდენად სუფთა და გამჭრიახი  
 ხმა აქვს. მღერის მარტო პირველ ხმას, ელოშვილიც მო-  
 ხუცია. იმ უკანასკნელს, როგორც თვით მომღერლებმა  
 გადმოგვცეს და თითონაც იკვეხნიდა, ერთ დროს შესა-  
 ნიშნავი ხმა ჰქონია, მთელი ოჯახიც მომღერალი ყოფილა  
 და ამ ზემოხსენებულ მომღერლებისთვის ამას უსწავლე-  
 ბია სიმღერა, მაგრამ რაღაც მიხეზით ხმა აღრე დაჰკარ-  
 გვია, თუმცა ამ „ოსტატ ალექსას“ (ასე ეძახდნენ) ხმა  
 სრულებით აღარა აქვს, მაგრამ სიმღერები კი ზედმიწევ-  
 ნით იცის. გადამეტებით არ ვიტყვე და ამათთანა მომ-  
 ღერლებს პირადად მე არასოდეს არ შევხედოვარ,  
 თუმცა ბევრი ქართველი მომღერლისთვის დამიგდია  
 ყური...“ („მოგზაურობა კახეთში“, გაზეთი „ამირანი“  
 № 51, 1908 წ.).

ჩანაწერში, რომელიც მე მოვისმინე, მონაწილეობაზ  
 დნენ ქურციკიძე და კნიაზიშვილი, რომელთა ვინაობას  
 ზაქარია არ გვაცნობს. მათი გვარები ფირფიტაზეა ალ-  
 ნიშნული.

მართალია, ეს ანსამბლი ძალიან შეწყობილად არ  
 მღერის, მაგრამ იგი განცვითებას იწვევს ხმების სილა-  
 მაზითა და „მრავალუამიერის“ მათებური შესრულებით,  
 ძალზე თავისებური ინტერპრეტაციით, შემდეგ მოვის-  
 122

მინე დედას ლევანისეული „ჩაკრულოს“ ვარიანტია  
რომლის მსგავსი არ მომისმენია.

„პარალე პარი არალოოო... გაისმა სანდრო კავშაძის  
სასიამოვნო ტემბრის ტენორი, რომელიც გულში ჩამ-  
წვდომად მღეროდა „ურმულს“, სიმღერა კარგიდ არის  
ჩაწერილი და შენახული. ეს ჩანაწერიც, ჩემის აზრით,  
განუმეორებელია. (ჩაწ. 1909 წ). იგი ისტორიაში შევა,  
როგორც ერთ-ერთი უკვდავი ქმნილება ქართული ხალ-  
ხური სასიმღერო ხელოვნებისა.

ელექტროსაკრავზე მორიგი ნიკელის ფირფიტა დავ-  
დეთ. კიდევები პქონდა დაბრეცილი, ამიტომ დასაწყი-  
სიდან მისი აუღერება არ მოხერხდა. მემბრანა ფირფიტის  
შუაში დავაყენე, მოისმა სახუმარო ლექსი, რომელსაც  
ვიღაცა სასიამოვნოდ კითხულობდა. გამოვუძახეთ ხე-  
ლოსნებს, გაასწორეს ფირფიტის კიდე და გაისმა: „მო-  
ისმინეთ ძველი თბილისის სურათები, წაკითხული ვასო  
აბაშიძისაგან (ჩაწ. 1915 წ.). მონუსხულივით ვუსმენდი  
ქართული თეატრის ამ კორიფეს, თვალწინ დამიდგა კე-  
თილშობილებით აღსავსე მისი სახე, რა ბედნიერებაა,  
რომ აღმოჩნდა მისი ჩანაწერი, რაც ქართველ კაცს  
ვ. აბაშიძის ხმის გავონების საშუალებას მისცემს.

გაისმა რომანი „შენ გეტრფი მარად“, რომელსაც  
1909 წ. ეწერა. შემსრულებლის გვარი არ იყო მითი-  
თებული. ჯერ ვანო სარაჭიშვილი მეგონა, მაგრამ რამდე-  
ნიმე ფრაზის შემდეგ მივხვდი, რომ სხვა მღეროდა, რო-  
მანისი შშვენივრად არის შესრულებული. მრავალგზის  
გადამოწმების შემდეგ დადგინდა შემსრულებელი — ია  
კარგარეთელი, რომელსაც, პროფ. გრ. ჩხილვაძის გადმო-  
ცემით, ძალზე სასიამოვნო ტემბრის ლირიკული ტენორი  
პქონდა. ი. კარგარეთელის შესრულებით აღმოჩნდა კი-

დევ ერთი რომანსი — „ელეგია“ ილია ჭავჭავაძის /შექსა  
ტზე, მუსიკა გ. ჩუბინიშვილისა.

ისევ გურული სიმღერა, ხუხუნაიშვილების ანსამბლი „ხასანბეგურას“ მღეროდა. ეს ჩანაწერი, ასე თუ ისე, ცნობილია, მაგრამ სულ სხვაა პირველი ორიგინალიდან აღდგენილი სიმღერა. ალმასხან ხუხუნაიშვილი მაღალ რეგისტრში ბრწყინვალედ ასრულებს კრიმანვულს. მშვენივრად არიან მასთან შეწყობილნი კოწია, ბესარიონ, იოსებ, რაედენ ხუხუნაიშვილები და სერაპიონ კუკულავა. მატრიცის ნომერია 12696 (ჩაწ. 1915 წ.). მას აწერია „ხასანბეგურა. პაპალაშვილის გუნდი“. აქ შეცდომაა. უნდა იყოს ზიქარია ფიცაიშვილი. ეს იყო მდიდარი კაცი, რომელსაც თბილისში საკუთარი დუქნები ჰქონდა. მან ორგანიზაცია გაუკეთა ხუხუნაიშვილების ანსამბლის ჩამოყვანას და მათი სიმღერების ჩაწერას ფირფიტებზე. ამ ანსამბლს იგი დიდ პოპულარიზაციას უწევდა.

და აი, როგორც იქნა გაისმა განოს განუმეორებელი ექმბრის ხმა. ნიკელის ფირფიტა იმდენად უხარისხო აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა ხელახალი ანაბეჭდის გაკეთება, რომელიც ქარხანამ საგულდაგულოდ დაამზადა ჩემი კონტროლით. მაგრამ ფირფიტის დასაწყისი მაინც დაზიანებული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მატრიცის არხები იყო დაწყვეტილი. ამიტომ მემბრანის ნემსი წინ გადადიოდა და ერთ ადგილას ჩერდებოდა. ეს განსაკუთრებით ემჩნეოდა რომანსის დასაწყისს. მაშინ ასეთ ხერას მიემართეთ: მემბრანის წინა ნაწილი საგრძნობლად დაუმძიმეთ (ხტუნვა რომ არ დაეწყო) და ფირფიტა ორჯერ.

კლებ სიჩქარეზე დავატრიიალეთ. დაზიანებული ფრაზები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩავწერეთ მაგნიტოფონზე. ამან შედეგი გამოიღო. ხმის ოპერატორმა ნ. ტერპუგოვამ აღ-

დგენილი ფრაზები ერთმანეთს შეაბა, ფირი წორმალურ  
სიჩქარეზე გაუშვა და მივიღეთ ვანო სარაჭიშვილის მიერ  
შესრულებული რომანის „დავრდომილი სწეული“ (№  
13445, ჩაწ. 1915 წ.).

რა სუნთქვა, რა ფრაზირება, რამდენი გრძნობა და  
გზნება გამოსკვითდა ვანოს სიმღერიდან, რომელიც, რო-  
გორც იქნა, 55 წლის შემდეგ იქცერდა. ბედნიერად ვგრ-  
ძნობდი თავს, რომ პირველად მე მომეცა საშუალება მო-  
მესმინა ვანოს ოვთაებრივი ხმა, მისი ჯადოსნური სიმღე-  
რა აღდგენილი პირველი ორიგინალიდან, თუმცა უღერა-  
რობას ჯერ კიდევ სკირდებოდა გასუფთავება. ფილტ-  
რებში გატარების შემდეგ ხმა კი გადა უფრო გაიწმინდა.  
გრამაფონის სიჩქარე 78-ზე მეტი იყო, ამიტომ სიმღერა  
ცოტა მაღლა უღერდა. საჭირო გახდა შესაბამისი სიჩ-  
არის მოძებნა, რათა სასიმღერო ტონალობა დაზუსტე-  
ბულიყო.

ისევ ფორტეპიანოს აკომპანემენტი. ისმის ლამაზი  
ტემბრის ბანი. როგორც გირკვა ეს სოსო ტომაშევიჩია,  
იგი ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე გამოდიოდა. რო-  
გორც იქნა, გამოჩენდა ის ნომერი სულ პირველად კატა-  
ლოგში რომ შემხვდა და რომელსაც ეწერა „მუმლი მუ-  
ხასა“, ასრულებს ბიბილონის ტრიო. 1910 წ. ივნისი  
(№ 4589, I ორიგინალი და სამუშაო მატრიცა № 2966,  
3 მაისი, 1907 წ.). „გიორგი იობიშვილო ერთი სტოლის  
ხელხვავი თქვი, სტოლის“. გამოცნობა არ გამჭირვებია,  
ეს ივლიანე კეპაყმაძეა. „ჩვენ მშვიდო-იოო-ბა“ დაიწყო  
გიორგი იობიშვილმა, მოძახილი ივლიანემ უთხრა, ხო-  
ლო ბანი — 20 წლის არტემ ერქომაიშვილმა. ეს ფარ-  
თიტა მეცა მაქვს, თუმცა იგი უკვე ძალზე გაცვეაილია.  
ეს ის ფირფიტაა, ბაბუამ სიკვდილის წინ რომ რამდენ-

ჭერმე მომასმენინა, — „დააკვირდი როგორი ვარისან-ტია და როგორ გვაქვს ნამლერი“-ო. მართლაც, საოცრად მლერიან, ეს ახლა გამოჩნდა, როცა სიმლერამ პირვენდე-ლი სახე მიიღო. ეჭ! ნეტავ ამას ახლა ბაბუა ისმენდეს და იცოდეს, რომ მათი ნამლერი არასოდეს წაიშლება-მეთქი, — ვიფიქრე.

„ჰა დილა-ა და-ა-ა“ — აგრძელებს იმავე ფირფიტა-ზე გიგო ერქომაიშვილი. მას ეხმარებიან გიორგი იობი-შვილი და გიორგი ბაბილონე.

ეს მატრიცა მშვენივრად არის შენახული. აქ პირვე ლად გამოჩნდა მთელი სიცხადით გიორგი ბაბილონის წვრილი, რომელსაც ლენინგრადში შუსიკოსებმა „კოლო-რატურული ტენორი“ უწოდეს. ძართლაც, რა წმინდად ელერდა მისი ხმა. განსაკუთრებით მაღალ რეგისტრშა. როცა ეს სიმლერები ჩაიწერა, მოხუცები 70 წელს იყვ-ნენ გადაცილებულნი. ამ მატრიცის დასათაურებაში ჩამ-დენიმე შეცდომაა დაშვებული. ჭერ ერთი, გიორგი ბაბი-ლონე და არა ბიბილონე, ტრიო მლერის არა „მუმლი მუ-ხასას“, არამედ „ჩვენ მშვიდობასა“ და „ჰა დილას“. შემდეგ აღმოვაჩინე იგივე სიმლერა — „ჰა დილა“ ჩაწე-რილი 1933 წელს არტემ ბაბუას, მისი ძმის ვლადიმერი-სა და მამაჩემის, 11 წლის დავით (დათიქო) ერქომაიშვი-ლის შესრულებით, რომელიც „გამყივანს“ ასრულებს.

იგივე სიმლერა ჩვენმა ანსამბლმაც ჩაწერა 1977 წელს ვასრულებთ ბადრი თოიძე, ანზორ ტულუში და მე. ვა-ნაიდან „ჰა დილას“ მობრუნება შეიძლება სამჯერ, ამი-ტომ 1907, 1933 და 1977 წლის ჩანაწერები ერთმანეთს გადავაბით და მივიღეთ „ჰა დილა“, რომელშიც ერქომა-იშვილების ოთხი თაობა მონაწილეობს. გიგო ერქომაი-შვილი, არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილები, დავით

ერქომაიშვილი და მე. ვფიქრობ, ეს უნიკალური შემთხვევაა.

ნაპოვნ მატრიცებს შორის აღმოჩნდა ანსამბლით. და ლ. ჯაფარიძეების, ნ. საყვარელიძის, ა. ჩახუნაშვილისა და გ. გაჩეჩილაძის მონაწილეობით. ისინი ასრულებენ ქალაქურ სიმღერებს, „ნინა, ნინა“, „ხუჭუჭა ქალო“ და სხვა, რომლებსაც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდებიათ.

100-მდე ჩანაწერი აქვთ შესრულებული მედუდულ-თა დასტებს, რომლებიც ძირითადად, ქალაქურ და სომხურ მელოდიებს ასრულებენ, ბევრია ბაიათებიც. აქ განსაკუთრებით გამოიჩინევა ბაგრატის დასტა. ყველა ამ ჩანაწერის აღდგენა შეუძლებელია. ულერს ქუთაისის ქორო კიბარენკოს ხელმძღვანელობით, ისინი „მრავალ-ეამიერს“ ასრულებენ (ჩაწ. 1915 წ.).

მატრიცებზე სათაურებისა და ნომრების არევამ სავონებელში ჩამაგდო. მე ვთხოვე არქივის დირექტიას, მოეცათ უფლება უკვე დაზუსტებული და გამოცნობილი სიმღერების დასათაურება და შემსრულებელთა გვარები სწორად დამეწერი. უფლება არ მომცეს. ამას სპეციალური კომისია სჭირდებაო. მაშინ სათაურები დავაწერ აღდგენილი დედნების ფირებს, რომლებიც „მელოდიაში“ დარჩი, ვფიქრობ, ეს მკვლევარებს მუშაობას გა-ეადვილებს.

სამწუხაროდ, რევოლუციამდე ჩაწერილი სიმღერების ყველა მატრიცა არ აღმოჩნდა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ეს მატრიცები 70 წელზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ სხვადასხვა არქივში, რომლებსაც ბევრი რამ ვადახდათ — პირველი მსოფლიო ომი, დიდი სამამულო ომი, ევაკუაცია, ბლოკადა, მატრიცებს რამდენიმეჯერ შეუცვალეს ადგილი. ხანძარი, ჟანგი, გულგრილი დამოკიდე-

ბულება, ყოველივე ამის შედეგად ბევრი სიმღერა დაიწარგა. მათ უკვე ვერასოდეს ვეღარ აღვადგენთ. ნაბოვნიც უმეტესწილად უხარისხოა, დრომ თვევისი დადგა დააჩნია. ერთი რამ მაინც მანცვიფრებს — აქამდე რატომ არ მოხერხდა ამ ჩანაწერების მოძებნა? თავი დავანებოთ ხალხურ სიმღერებს. ვანო სარაჭიშვილის ჩანაწერების მიკვლევა ხომ მაინც შეიძლებოდა, ნუთუ არავის არ უფიქრია თუ რა იქნა მისი ჩანაწერები, სად გაქრა? მით უფრო, რომ მისი ფირფიტები ოჯახებშია შემორჩენილი. ეს ფირფიტები დროთა ვითარებაში გაცვდა, გატყდა, გაიცრიცა და ვერ გაიგებ ეს ხმა ვანოსია თუ ვინ მე სხვისი.

გარდა ამისა გაზეთი „თეატრი და ცხოვრება“ (№ 29, 1915 წლის 19 ივნისი) წერდა:

„ქართული სიმღერები გრამაფონის ფირფიტებზე „ამურის“ საზოგადოების თხოვნით დაამღერა ვ. სარაჭიშვილმა. გადაღებულია: ირავლის არია, ახ, მთვარევ, მთვარევ, არაყიშვილის ურმული, ბუნდოვან გულსა, მარი, მშვენიერთა ხელმწიფევ — ია კარგარეთელისა და აენაცვალე (მეორედ), პონორარიად შიულია 1200 მანეთაშედე“.

მაშ რა იქნა მათი მატრიცები? თუ კი 1907 წელს ჩაწერილი „პა დილა“ და „ფერხული“ 1930-იან წლებში ხელმეორედ გამოსცა „პატეოლევის ქარხანამ“, რატომ ვანოს სიმღერებს არ აღმოუჩნდათ პატრონი? მით უფრო, რომ კურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წლის № 3-ში წერდა:

„მოსკოვის ცენტრალურ არქივთან არსებულ ფოტო-ფონო-კინო არქივში გ. ტოროშელიძის მიერ აღმოჩნდა იქნა გრამოფონის ფირფიტების მატრიცები, რომელიც

მეფის დროს აქციონერულ საზოგადოება „გრამოფონის“ მიერ იყო დამზადებული. ამ მატრიცების საშუალებით შეიძლება გრამოფონის ფირფიტების აღდგვნა. აღმოჩენილ მატრიცებს შორის აღსანიშნავია კ. სარაჯიშვილის ოთხი სიმღერა და ვ. აბაშიძის სცენები».

როგორც ჩანს, 1935 წელს კიდევ რამდენიმე ცალი მატრიცა იყო ვანო სარაჯიშვილისა და ვასო აბაშიძის შესრულებით. ახლა კი მხოლოდ თითო-თითო აღმოჩნდა. ერთ-ერთს აწერია: „ურმული, სარაჯევი“. მაგრამ ამ მატრიცაზე სხვა სიმღერაა ჩაწერილი. იქნებ ეს მატრიცა თვალს მიეფარა. როგორც ბატონშა ვახტანგ გურგენიძემ მითხრა, ვანოს მატრიცები მარტო ქართულ კატალოგებში არ უნდა მომენახა. შესაძლებელია იგი ქართველიდ არ მიიჩნიეს და სხვა ეროვნებათა კატალოგებში მოათავსეს, ამასაც შევამოწმებ. მთავარია, რომ რამდენიმე ათეული წელი ვანოს ჩანაწერები უპატრონოდ ეყარა და არავინ აღმოჩნდა, რომ ამ მატრიცებისათვის მიეხედა.

1979 წ. მაისს ვახტანგი „კომუნისტმა“ დაბეჭდა პროფესორ პავლე ხუჭუას წერილი, რომელშიც აკტორი მკითხველს აცნობს ვანო სარაჯიშვილის ხმის სრულყოფილი აღდგენის ამბავს. როგორც ჩანს, პატივცემული აკტორი შეცდომაში შეიყვანეს. საქმე ისაა, რომ ჩემი ინიციატივით ვაიწმინდა ის რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც ვააჩნდა საქართველოს რადიოკომიტეტს, მაგრამ ჩანაწერის ვაწმენდა ნაწილობრივ მოხერხდა და ცხადია, ვანოს ხმაზე სრულ წარმოდგენას ვერ ვეიქმნის. დედნიდან აღდგენილია ერთადერთი რომანსი „დავრდომილი სნეული“, რომლის მატრიცა ინახებოდა 13445 ნომრით.

არქივში არ აღმოჩნდა ჩემს მიერ შეგროვილი ფირფიტების შესატყვისი ყველა მატრიცა. ამიტომ ისევ გაცა. ა. ერქომაიშვილი

ვეთილი ფირფიტების ალდგენას „შევუდექი ვიპოვე „ხა-  
სანბეგურას“ უნიკალური ჩანაწერი გიორგი ბაბილონის  
შესრულებით. მაგრამ ფირფიტა იმდენად გაცვეთილიყო,  
რომ მისი ალდგენა თითქმის შეუძლებელი-აღმოჩნდა,  
სათანადო მუშაობა მაინც ჩავატარეთ. ვინაიდან არხები  
ძალიან დაზიანებულიყო. ამიტომ ხმას შიშინი გასდევს.  
მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ წარმოდგენას მაინც  
გვიქმნის ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხელოვნებაზე  
და მკვლევარებისთვის ძვირფას მასალას იძლევა.

ხალხური სიმღერების გულშემატეივარმა რეზო რა-  
მიშვილმა მომაწოდა ფირფიტა, რომელსაც ეწერა „მე  
რუსთველი“. შემსრულებელთა გვარები წაშლილი იყო.  
ფირფიტა ძალიან გაცვეთილი და რამოდენიმე ადგილას  
გატეხილი აღმოჩნდა, ვინაიდან სხვა ასეთი ფირფიტა  
უკარ ვიშოვეთ და მისი შესატყვისი მატრიცაც არ გამოჩ-  
ნდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ ფირფიტის ალდგენა.

ჯერ ფირფიტის ნატეხები მივაწეოდეთ ერთმანეთს. მე-  
რე ჩავატარეთ ყველა ის მანიპულაცია, რომელსაც ვა-  
წარმოებდით ვ. სარაჭიშვილის სიმღერის ალდგენისას.  
ვანსაკუთრებით გაგვიჭირდა დასაწყისის მონტაჟი, სა-  
ღაც სიტყვები გაუგებრად იყო ჩაწერილი, ტერპუვოვამ  
ცალ-ცალკე აკრეფილი სიტყვები ერთმანეთს მიაწება და  
ფირი ნორმალურ სიჩქარეზე გაუშვა. „ილარიონ ჩავ-  
ლეიშვილო, ერთი კაი სიმღერა, კაი“ — გაისმა ვარლამ  
სიმონიშვილის ხმა და ილარიონმა ხავერდოვანი ბანით  
დაიწყო „მე რუსთველი“. აქამდე ვიცოდი, რომ ილარი-  
ონ ჩავლეიშვილი, რომელსაც ჩინებული ბანი ჰქონდა  
სიმღერების ჩასაწერად ანსამბლს ავაღმყოფობის გამო  
არ წაჰყოლია. ამიტომ მისი ხმის აღმოჩენამ დიდად გაზ-  
ვახარა.

არ მოხერხდა მეორე კუპლეტის აღდგენა. ამიტომ  
იგი ფირიდან ამოვკერით და პირველი კუპლეტი პირდა-  
პირ მესამეს მივაწებეთ — „გადაძახილის“ შემდეგ. მსმე-  
ნელი ამას ვერც კი შეამჩნევს. მხოლოდ გამოცდილი  
მომღერლები დაეჭვდებიან — რატომ გამოტოვა ილარი-  
ონმა მეორე კუპლეტიო. ასევე აღვადგინეთ ჩავლეიშვი-  
ლის ანსამბლის შესრულებით ორი საგალობელი „შენ  
რომელმან განანათლე“ და „სიყვარულმა მოვიყვანა“,  
აგრეთვე „ჰა დილას“ იშვიათი ვარიანტი, რომლის მატ-  
რიცა არ აღმოჩნდა.

გიგო ერქომაიშვილის ანსამბლს ჩაწერილი აქვს ოთხ-  
ხმიანი გურული ნადური „საჯავახურა“. ნადური დიდია  
და ამიტომ ორ ნაწილად ჩაუწერიათ. როგორც ჩანს, ფირ-  
მის მუშაკებს დავიწყებიათ მათი გაერთიანება და „საჯა-  
ვახურა“ სხვადასხვა ფირფიტაზე დაუბეჭდიათ. არქივში  
აღმოჩნდა მხოლოდ მეორე ნაწილის მატრიცა, ამიტომ  
იძულებული გავხდით პირველი ნაწილი ფირფიტიდან  
აღვედგინა. როგორც ირკვევა: ნადური ჩაწერილი ყო-  
ფილა სხვადასხვა დღეს, ამიტომ მომღერლებს ვერ გა-  
უთვალისწინებიათ სიმღერის ტონალობა — მეორე ნაწი-  
ლი ერთი ტონით დაბლა ჩაუწერიათ. ვარდა ამისა, მაშინ-  
დელი ტექნიკის გამო ნადურის პირველი ნაწილი უხერ-  
ხულ ადგილას მთავრდება — ფირფიტის ბოლოს მოხვე-  
ღრილა მეორე ნაწილის დასაწყისი. ამიტომ პირველ ნა-  
წილს დამაბოლოებელი ფრაზა მოვაცილეთ, მეორე ნაწი-  
ლი ხელოვნურად ავაჩქარეთ და პირველის ტონალობას  
გავუტოლეთ, ორივე ნაწილი ერთმანეთს გადავაბით და ამ  
გზით მივიღეთ „საჯავახურა“, მაგრამ ფირფიტიდან აღ-  
დგენილი პირველი ნაწილი თავისი ხარისხით ჩამოუვარ-  
დება მატრიციდან აღდგენილ მეორე ნაწილს.

ყველაზე მეტი (ოცამდე) მატრიცა აღმოჩნდა გრგო  
ურქომაიშვილის ანსამბლის შესრულებით, თუმცა მათი  
რეპერტუარის შესავსებადაც მოგვიხდა ფირფრებას. შე-  
კოწიშება.

ვესწრებოდი ყველა ფირფიტისა თუ მატრიცის აღდ-  
გენას. ჩემი დასწრება აუცილებელი იყო, რადგან საჭირო  
გახდა არამარტო სიმღერებისა და შემსრულებლების გა-  
მოცნობა, არამედ მონტაჟისა და სწორი სიჩქარის შერ-  
ჩევაც, რათა დადგენილიყო სიმღერათა ტონალობა.

გარდა ამისა, გიგო ერქომაიშვილის ანსამბლის მიერ  
ჩაწერილ სიმღერებს სხვადასხვა თარიღი აწერია, რაც სი-  
ნამდვილეს არ შეესაბამება. ყველა სიმღერა მათ მიერ ჩა-  
წერილია თბილიში 1907 წლის აპრილსა და მაისის პირ-  
ველ ნახევარში, რაც ბაბუა არტემისაგან ვიცი. ამასვე ადა-  
სტურებს ვლადიმერ ერქომაიშვილიც. თარიღების აღრევა  
გამოიწვია მატრიცების გადაბეჭდვამ, პირველი ორიგინა-  
ლიდან გადაბეჭდავდნენ მეორე ორიგინალს და მას მია-  
წერდნენ ხოლმე გადაბეჭდის თარიღს, ამან შეიძლება  
შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი. ასევე აწერია ჩავლე-  
იშვილებისა და სხვათა ჩაწერილ სიმღერებს. მაგალითი-  
სათვის მოვიყვან ერთ-ერთ ბარათს, რომელსაც აწერია  
„მუმლი მუხასა“ № 4589, 1910 წლის ივნისი და № 2968,  
1907 წ. 3 მაისი, სამუშაო მატრიცა.

ორი წელი მოვანდომე არქივებსა და ფირმა „მელო-  
დიაში“ მუშაობას. ძველი ფირფიტებიდან და მატრიცე-  
ბიდან აღვაღვინეთ ორასამდე სიმღერა ჩაწერილი 1907—  
1915 და 1926—1936 წლებში.

1907—1915 წლებს მიეკუთვნება სიმღერები შესრუ-  
ლებული ვანო სარაჭიშვილის, ვასო აბაშიძის, ია კარგა-  
რეთელის, ფალავას, ს. ტომაშევიჩის, პოლოსოვას, ძმები

კავსაძეების, ხუხუნაიშვილების, სამუელ ჩავლეიშვილის, გიგო ერქომაიშვილის, დედას ლევანას ანსამბლების, ქუთაისის ქოროს — კიბარენკოს ხელმძღვანელობრივ ბაგრატიანის მედუდუკეთა დასტისა და სხვათა შიერ. პასუხით 1926—1936

წლებიდან აღსანიშნავია ძმები კავსაძეების, ძმები ერქომაიშვილების, ორაგველიძისა და ძმები ქოროშინაძეების, აკობიას, რემა შელეგიას, მარო თარხნიშვილის, მარგიანის, ბურდულაძის, კიში გეგეჭიორის, მიხეილ კობასიძის გუნდების, მიხა ჭილაურის, ვანო შვედლიშვილის, ნოკო ხურციას, აქესენტი მეგრელიძის, კორილე პაჭკორიას და სხვათა ჩინაწერები.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო სიმღერები მიხა ჭილაურისა და ნოკო ხურციას შესრულებით. ჭილაურის ხმა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს, განუმეორებელი გამომსახველობით ასრულებს იგი „ბერიქაცს“. პროფ. გრიგოლ ჩხიფვაძეს გადმოცემით, 30-იან წლებში ერთ-ერთ კონცერტზე, რომელიც საოპერო თეატრში ტარდებოდა, ჩამოუყვანიათ დედას ლევანა და მიხა ჭილაური, დედას ლევანა ხანშიშესული ყოფილა. მათ ერთად უმღერიათ „მრავალუამიერი“, სიმღერა მაღალი მოსვლიათ და როცა დედას ლევანას მაღალხმებში გაუჭირდა, თურმე მიხამ მკლავი ჰქონა და სწრაფად შეუცვალა ხმა. ეს ისე მოხდა, რომ მსმენელთა უმრავლესობამ ვერც კი გაიგო. ხმა, რომელსაც მაღალ რეგისტრში წერილი გაჭირდა, მიხა ჭილაურისა იყო და არა დედას ლევანასი. სამწუხაროდ, მათი დუეტი არ არის ჩაწერილი, ამბობენ, ეს რაღაც სასწაული იყო.

ნოკო ხურცია მეგრული სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ. მღელვარებას იწვევდა მისი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის ნიჭი და უნარი. მისი

„ჰარირა“, ალბათ, დიდხანს დარჩება ამ სიმღერის შესრულების ეტალონად.

დღეს ეს „ლდგენილი ჩანაწერები ინახება საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, მათი დედნები კი ფირმა „მელოდიაში“.

ახლახან საქართველოს კულტურის სამინისტრომ უირმა „მელოდიის“ წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ეს ალდგენილი სიმღერები ხელახლა გამოიცეს ფირფიტებად. ხალხმა უნდა მოისმინოს იმ მომღერალთა ხმები, რომელთა მხოლოდ გვარებილა შემოგვრჩა.

საქმე ამით არ დამთავრებულა. ცენტრალურ მუსიკალურ არქივში იმდენი ნომერია არეული, რომ შესაძლებელია უნიკალური ჩანაწერები კიდევ აღმოჩნდეს.

ამ ცოტა სის წინათ კინორეკისორმა სოსო ჩხაიძემ მაცნობა, რომ ლენინგრადში ძველი ჩანაწერები ინახება არა არქივებში, სადაც მე ვეძებდი, არამედ „მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში“ (პუშკინის სახლი). ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მივაკითხე ამ ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ბუშმინს, რომელმაც ყურადღებით მომისმინა და მითხრა: მატრიცები აქ არ არის, ფირფიტები და ფილფონგრაფიის სანთლის ლილვაკები კი ფონოგანყოფილებაში ინახებაო.

ფონოგანყოფილების გამგე, კორგუზალოვი, ცოტა ცივად შემხვდა, შემდევ გამომიღო კატალოგი, სადაც ფირფიტები იყო აღრიცხული. 30-იან წლებში ჩაწერილმა 40-მდე ფირფიტამ ახალი ვერაფერი მომცა, სამაგიეროდ ჩემი ყურადღება მიიქცია ლილვაკების თაროებმა და კატალოგში ჩაწერილმა მათმა პასპორტებმა. ეს სიმღერები ჩაწერილია ფილფონოგრაფზე 1910 წელს ნ. დერჯავინის, ხოლო 1927 წლიდან შილინგერისა და გიბიუსის მიერ.

აქვე ინახება ჩვენი მხცოვანი მეცნიერების შ. ასლანიშვილისა და გრ. ჩხილვაძის მიერ ჩაწერილი კოლექცია, აგრეთვე, ს. მაგილისა და აქვსენტი მეგრელიძის კოლექციების მე ვთხოვე კორგუზალოეს ამ ჩანაწერების მრავალი კაცია, ვისი თაოსნობითაც გამოგონებული იქნა ელექტროაპარატი რომელიც აღადგენს ლილვაკის ხმას კარგ დონეზე. ამ პარატის შექმნას, როგორც თვითონ გვიამბობდა შემდეგ, ათი წელი მოაწყოშეს.

კორგუზალოვმა მაცნობა, რომ ეს სიმღერები თავის ღროვე გადაუწერია ცნობილ ლოტბარ ვლადიმერ ბაბილუას და ამეამად ეს ჩანაწერები თბილისის ცენტრალურ არქივში ინახებაო. აღმოჩნდა, რომ ეს სიმღერები გადაუწერილია პირდაპირ ლილვაკებიდან, აღდგენის გარეშე, ამიტომ მათი გარჩევა შეუძლებელია. ახლა კი უკვე გვაქვს საშუალება თანამედროვე პარატურის მეშვეობით ეს სიმღერები მაღალ დონეზე აღვადგინოთ და ფირფიტაც გამოვუშვათ.

მოვისმინეთ რამდენიმე სიმღერა. აღმოჩნდა, რომ გიპიუს 1930 წლის დამდეგს ჩაუწერია არა მარტო სიმღერები, არამედ ცალ-ცალკე ხმებიც, მოვისმინე გიორგი ბაბილონძის „გამყივანი“ გუნდთან ერთად და ცალკეც. ეს გახლავთ 95 წლის მოხუცის ბოლო ჩანაწერი (ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა). დღეს უკვე აღარ მიკვირს თუ რატომ განაცეიფრა მან რომენ როლანი და რატომ გაუსინჯეს ყელი სიმღერის შემდეგ. ასევე ცალ-ცალკეა ჩაწერილი სხვა მომღერლების ხმებიც. გიპიუსის ხელით შევსებული ერთ-ერთი სიმღერის პასპორტი („ხასანბეგურა“ № 926, ჭრიმანჭული — გ. ბაბილონძე და თ. დოლიძე 4/II. 1930 წელი. გიპიუსი).

გამახსენდა ბაბუა არტემის მონაცემით: „1929 წლის  
ბოლოს საგასტროლოდ მიგვიწვიეს მოსკოვსა და ლენინ-  
გრადში, სადაც ჩვენს კონცერტებს ბევრი ჰერხი დაესწ-  
რო, მათ შორის მაქსიმ გორგი და რომელი როლანი. ლე-



აჭარის გუნდი არტემ ერქომაიშვილის ხელვაძლვანელობით,  
რომელმაც სიმღერები ჩაწერა ლენინგრადში.

შუაში არტემ ერქომაიშვილი მამასთან (გიგო ერქომაიშვილი)  
და ბიძასთან (გიორგი ბაბილონე) ერთად.

ნინგრადელმა მუსიკოსებმა ჩვენი სიმღერების ნოტებზე  
გადატანა ფონოგრაფის საშუალებით სცადეს, მაგრამ გა-  
უჭირდათ. შემდეგ თითოეულს ცალ-ცალკე დაგვიდგეს  
ფონოგრაფები და ისე გვამღერეს“. ეს სწორედ ის ჩანა-  
წერები იყო, რომელზედაც ბაბუა მიამბობდა.

ახლა საჭირო გახდა ამ ლილვაკების აღდგენა და მაგნიტოფირზე გადაწერა, მაგრამ აქაც წავაწყდით წინააღმდეგობას. მუზეუმიდან ფონდების გადაწერა ფურმეცვალიალულია და ამას სპეციალური ნებართვა სსჭირდება. ასე საქმეში დირექცია ჩაერია.

კორგუზალოვი დამეხმარა იმ პირების ბიოგრაფიულ ცნობების შეკრებაში, რომლებმაც ქართული ხალხურ სიმღერები ჩაიწერეს. ყველაზე ძველი ჩანაწერი ეკუთვნის ნიკოლოზ სევასტიანეს ძე დერეავინს, დაბადებულს 1877 წელს. 1896 წელს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში, მეორე კურსიდან გადავიდა ქ. ნიკინში. 1900 წელს დამთავრა ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა რუსული ენის მასწავლებლად ბათუმში, სადაც 1904 წლამდე მუშაობდა. აქედან გადაიყვანეს თბილისში, სადაც მუშაობდა 1907 წლამდე. 1905 წ. ხელმძღვანელობდა თბილისის „სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას“, იყო ამიერკავკასიის პედაგოგთა კავშირის წევრი. 1910 წელს მეცნიერებათა აკადემიის მიერ მივლინებულ იქნა ბესარაბიის გუბერნიაში ბულგარელების ლაპარაკის ჩასაწერად, სადაც პირველად გამოიყენა ფონოგრაფი. ნ. დერეავინი ავტორია მრავალი გამოკვლევისა, აქვს შრომები დაკავშირებული კავკასიასა და საქართველოსთან. აკადემიკოსი ნ. ს. დერეავინი გარდაიცვალა 1953 წლის 26 თებერვალს, დასაფლავებულია ლენინგრადში. სადან ვისგან ჩაიწერა დერეავინმა გურული ხალხური სიმღერები არსად არ არის მითითებული, ლენინგრადის ხელნაწერების ინსტიტუტში დაცულია მისი შრომები. შესაძლოა აქ იყოს აღნიშნული გურული ხალხური სიმღერების ჩაწერის ისტორია.

იოსებ შილინგერი — კომპოზიტორი და გეორგიევი.  
სი — დაიბადა 1895 წ. ხარკოვში, 1914—1917 წლებში  
სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაში, 1917 წელს  
ხარკოვის სახელმწიფო მუსიკალურ აქტივისაში. შელ-  
მძღვანელობდა უკრაინის სიმფონიურ ორკესტრს. მო-  
ლვაწეობდა ლენინგრადში, როგორც მასწავლებელი, შერ-  
და მუსიკას აკადემიური თეატრისათვის. 1929 წ. გაემ-  
გზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 32—36  
წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლიდა მუსი-  
კას, ხელოვნების ისტორიასა და მათემატიკას. დაწერილი  
აქვს სიმფონიური პოემები „ოქტომბერი“, „აღმოსავლუ-  
რი სვლა“ და სხვა. შექმნილი აქვს „მუსიკის კომპოზი-  
ციის შილინგერისეული სისტემა“, ავტორია გამოკვლე-  
ვისა „ხელოვნების მათემატიკური საფუძვლები“ (ნიუ-  
იორკი — 1948 წ.), საქართველოში იმოგზაურა 1927  
წლის ზაფხულში. დუშეთის რაიონსა და ბათუმში ფი-  
ლფონოგრაფზე ჩაიწერა უნიკალური სიმღერები

ევგენი ვლადიმერის ძე გიბიუსი — ხელოვნებათ-  
მცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ამჟამად ცხოვ-  
რობს მოსკოვში, მუშაობს რსფსრ კომპოზიტორთა კავ-  
შირში ფოლკლორული კომისიის კონსულტანტად.

ამ სიმღერების ჩაწერაში მონაწილეობდა გერმანელი  
მუსიკოსი ერნსტ ერმაიმერი, იგი აქვსენტი მეგრელი-  
ძესთან ერთად იმყოფებოდა ექსპედიციაში. ამჟამად  
სტოკოლმში ცხოვრობს. 1977 წელს ჩამოვიდა ლენინ-  
გრადში, აღადგინა და გადაიწერა 12 გურული სიმღერა,  
რომელიც შვეციაში წაიღო. როგორც კორგუზალოვმა  
მითხვა, აპირებს წიგნის გამოცემას ამ სიმღერების შე-  
სახებ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა

ევგენი ხარაძემ მისწერა წერილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და მიიღო თანხმობა ლენინგრადის „პუშკინის სახლიდან“ ქართული სიმღერების, გადაწერის შესახებ. აღმა, მაღვე დავიწყებთ მუშაობას. ამ წერებაში ნაწერების აღდგენაზე, რაც კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს ჩასწერს ქართული ხალხური სიმღერების ისტორიაში.

სიმღერების ძებნა ამით არ დამთავრებულა.

ინგლისში ყოფნის დროს იქაურ კოლეგებს ვთხოვე ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერების მოძებნა, დახმარებას შემპირდნენ. პარიზში „გრანდ ოპერის“ სცენაზე 900-იან წლებში მიშელ დარიალის ფსევდონიმით გამოდიოდა ჩვენი თანამემამულე, შესანიშნავი ტენორი მიხეილ ნანობაშვილი. დახმარება ვთხოვე იქაურ ქართველს ორესტ გორდელაძეს, რომელმაც საქმეში ჩარია ქართული სიმღერების დიდი თაყვანისმცემელი, პროფესორი ქალბარონი გრიმო. იქნებ მათი დახმარებით ამ შესანიშნავი ქართველი მომღერლის ჩანაწერებიც აღმოჩნდეს.

გარდა ამისა, ლაიფციგის გამომცემლობის შეკვეთით მზადდება ქართული ხალხური სიმღერების ანთოლოგია, რომელშიაც შევა ცნობილი ქართველი მომღერლების მიერ 1907 წლიდან დღემდე ჩაწერილი საქართველოს ყველა კუთხის 50 სიმღერა, თანდართული ნოტებით, რომელზედაც ვმუშაობ ვ. გოგოტიშვილთან და ე. ჭოხონელიძესთან ერთად.

საქართველოს რაიონებში დაინტერესდნენ ძველი სიმღერების შესრულებით. ბევრი ანსამბლის რეპერტუარში თანდათან იკავებენ ადგილებს ჩვენი ხალხური სიმღერები. ლოტბარები რადიოს ფონდიდან იწერენ აღდგენილ სიმღერებს, სწავლობენ და ცდილობენ თავიანთ

ანსამბლებში დანერგონ დღემდე უცნობი სიმღერები და ვარიანტები.

სწავლობენ არა მარტო დიდები, ეთერში ხშირად გა-იკონებთ ხალხურ სიმღერებს ბავშვების „შესრულებული“, ხოლო მახარაძის ბავშვთა ანსამბლის „კრიმანჭულის“ (ხელმძღვანელი მ. შავიშვილი) და ქ. თბილისის განათლების სამმართველოს მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ბიჭუნათა გუნდის „მართვეს“ (ხელმძღვანელები ა. ერქომაიშვილი, რ. მიქაბერიძე) რეპერტუარს მხოლოდ ძველი ქართული ხალხური სიმღერები შეადგენს.

უნდა ნახოთ, რა დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვები ამ საქმეს, რა შესაშური სიყვარულით მღერიან ხალხურ სიმღერებს.

მინდა ალვნიშნო ერთი ფაქტი. მახარაძეში რაიონის ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ხელს უწყობს ძველი გურული სიმღერების აღდგენის. კერძოდ:

„საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიონის ბიურომ დაადგინა, რომ რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო (საშუალო და რეაწლიან) სკოლებში შეიქმნას გურული ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდიები“ (გაზეთი „ლენინის დროშა“, 29 სექტემბერი, 1979 წ.).

დიახ, მახარაძის ყველა სკოლაში სწავლობენ ხალხურ სიმღერებს, მათ სხვა რაიონებმაც უნდა მიბაძონ. საქართველოში უნდა შეიქმნას ბავშვთა ბევრი ანსამბლი, ჩატარდეს შეჯიბრებები მათ შორის, დაწესდეს ცნობილ ხალხურ მომღერალთა პრიზები კუთხეების მიხედვით და გადაეცეს იგი საუკეთესო მომღერალ ბავშვებს, მაშინ

აღარ წაიშლება „დედას ლევანას“, ს. ჩივლეიშვილოს,  
მ. ჯილაურის, ს. კავსაძის, ნ. ხურციას, ვ. მჭედლიშვი-  
ლის, ვ. სიმონიშვილისა და სხვათა გვარები.

ბავშვები ისწავლიან ხალხურ სიმღერებს, შეინახავენ  
მათ და შემდეგ მომავალ თაობას გადასცემენ. ეს უკვდავ-  
ყოფს ქართულ სიმღერას, ქართველ მომღერლებს და  
მათ უძველეს საშემსრულებლო ტრადიციებს.

1980 წლის 14 იანვარი.



## სარჩევი

ბაბუა	3
ორი აცხადების ისტორია	55
ქველი გევლირების კვალიდაკვალ	110



რედაქტორი მზია ერისთავი  
მხატვარი ლერი ლვინჯილია  
მხატვარი რედაქტორი ოლია გორგალევიჩი  
ტექნიკური რედაქტორი ნანა აფხაზავა  
კორექტორი მზია რამიშვილი  
გამომუები დონარა იამანიძე

ს. პ. № 2161

გადაეცა წარმოებას 27/VI-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
1/X-80 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×100<sup>1/32</sup>. პირობითი  
ნაბეჭდი თაბაზი 5,8. სააღრ.-საგამომცემლო თაბაზი 4,96.  
უ 06163. ტირაჟი 5000. თ 14 805



ЭРКОМАИШВИЛИ АНЗОР ДАВИДОВИЧ

**ДЕДУШКА**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелог»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1980

78/12

